

ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
გიორგი ნარიმანიშვილი

ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის

(ძვ.წ. III-II ათასწლეულები)



ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
გიორგი ნარიმანიშვილი

ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ
კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის

(ძვ.წ. III-II ათასწლეულები)

თბილისი
2016

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი „ტრიალეთი“**

ნინო შანშაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
გოდერძი ნარიმანიშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
გიორგი ნარიმანიშვილი (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი)

ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის
(ძვ.წ. 3 - 2 ათასწლეულები)

თბილისი, 2016

**GEORGIAN NATIONAL MUSEUM
UNION – CENTRE FOR PRESERVATION AND STUDIES OF ANTIQUITIES “TRIALETI”**

Nino Shanshashvili (Tbilisi, Georgian National Museum)
Goderdzi Narimanishvili (Tbilisi, Georgian National Museum)
George Narimanishvili (Tbilisi, Free University of Tbilisi)

Trade and Trade Roads between South Caucasus and Near East
(3rd – 2nd Millenniums B.C.)

Tbilisi, 2016

**НАЦИОНАЛЬНЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ
ЦЕНТР ОХРАНЫ И ИЗУЧЕНИЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ – “ТРИАЛЕТИ”**

ნინო შანშაშვილი (თბილისი. Национальный Музей Грузии),
Годердзи Нариманишвили (თბილისი. Национальный Музей Грузии),
გიორგი Нариманишвили (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი)

Торговля и торговые пути между Южным Кавказом и Ближним Востоком
(3-2 тысячелетиях до н.э.)

Тбилиси, 2016

ISBN 978-9941-465-50-5

© ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი, გიორგი ნარიმანიშვილი, 2016
© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2016

© Nino Shanshashvili, Goderdzi Narimanishvili, George Narimanishvili, 2016
© Printing house «Mtsignobari», 2016

ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხული იყო ქ. ტირეში (თურქეთი) 2010 წლის 1-5 მარტს ევრაზიის არქეოლოგიის მეორე საერთაშორისო კონგრესზე. გამოქვეყნდა მოხსენებათა მოკლე თეზისები – Second International Congress of Eurasian Archaeology, East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures, ICEA 2010 TIRE. Abstracts. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს ჩაბარდა ინგლისური და რუსული ტექსტები. კონგრესის მასალები დაიბეჭდა 2013 წელს - “*Proceedings of The ICEA 2010 TIRE 2nd International Congress of Eurasian Archaeology: East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures*”, Ed. A. Semih Güneri, 1-5 March 2010. Tire, Izmir, Turkey. 2013, გვ. 363-388.

მოხსენების ტექსტზე მუშაობის დროს დიდძალი მასალა დაგროვდა. ჩვენი კვლევა მრავალ საკითხს შეეხო და ამდენად, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ქართული და რუსული ტექსტის ვრცელი ვარიანტების სრულად დაბეჭდვა.

This article was read at the ‘Second International Congress of Eurasian Archaeology, East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures, ICEA’ in 1 – 5 March, 2010 in Tire, Turkey and a brief thesis was published as abstract. Texts of the article in English and Russian were delivered to the organizational committee of the conference. Proceedings of the conference were published in 2013 - ‘*Proceedings of The ICEA 2010 TIRE 2nd International Congress of Eurasian Archaeology: East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures*’, Ed. A. Semih Güneri, 1-5 March 2010. Tire, Izmir, Turkey. 2013, pp. 363 - 388.

During the work on the text, lot of materials were collected. Our research covered several important problems, so, we decided to publish here a full and extended version of the Russian and Georgian texts.

Доклад был прочитан на втором международном конгрессе археологии Евразии, который проходил в г. Тире (Турция) 1-5 марта 2010 года. Были опубликованы тезисы докладов – Second International Congress of Eurasian Archaeology, East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures, ICEA 2010 TIRE. Abstracts. В организационный комитет Конгресса был сдан текст на английском и русском языках. Материалы конгресса были опубликованы в 2013 году – “*Proceedings of The ICEA 2010 TIRE 2nd International Congress of Eurasian Archaeology: East Anatolian and Caucasian Bronze Age Cultures*”, Ed. A. Semih Güneri, 1-5 March 2010. Tire, Izmir, Turkey. 2013, стр. 363-388.

В процессе работы над текстом доклада был собран обширный материал. Наше исследование коснулось различных вопросов и поэтому мы посчитали целесообразным опубликовать полную версию грузинского и русского текста.

სარჩივი
CONTENTS
СОДЕРЖАНИЕ

შესავალი	6
თავი I. მტკვარ-არაქსის კულტურა	
§ 1. ინოვაციები არქიტექტურაში	14
§ 2. ქვით ნაგები აკლდამები	23
§ 3. ნიშან-სიმბოლოები	25
§ 4. მოხატული კერამიკა	26
§ 5. რქისებური სადგრები	27
§ 6. გლი პტიკა	28
§ 7. ნაცარგორას ჰორელიეფი	31
თავი II. შუა ბრინჯაოს ხანა. თრიალეთის კულტურა	
§ 1. გზიანი ყორღანები	33
§ 2. ტორევიტიკა.....	37
§ 3. ოქრომჭედლობა	40
§ 4. მოხატული კერამიკა.....	41
§ 5. საკიდი - ამულეტები	
ა). ბუზის ფორმის საკიდი	42
ბ). ფეხის ფორმის ამულეტი	43
გ). გულის ფორმის საკიდი	43
დ). საკიდი – გოჭი	44
ე). ნიჟარა	44
§ 6. საყოფაცხოვრებო ნივთები	45
თავი III. გვიანი ბრინჯაოს ხანა. ბარეთის კულტურა	
§ 1. საბეჭდავები.....	46
§ 2. სკარაბეები და სკარაბეოიდები	49
§ 3. სარიტუალო ქვები	50
§ 4. ინსიგნია	52
§ 5. შტანდარტები	57
§ 6. მცირე პლასტიკა	60
§ 7. ქალის ჰორელიეფები კახეთიდან	61
§ 8. ბაყაყის ფორმის ამულეტები	63
§ 9. მძივები	63
დასკვნა	67
Trade and Trade Roads between South Caucasus and Near East in 3rd – 2nd Millenniums B.C.	91

Торговля и торговые пути между Южным Кавказом и Ближним Востоком в 3-2 тысячелетиях до н.э.

Предисловие	99
Глава I. Куро-Араксская культура	
§ 1. Иновации в архитектуре	104
§ 2. Каменные гробницы	112
§ 3. Знаки-символы	114
§ 4. Расписная керамика	114
§ 5. Роговидные подставки	115
§ 6. Глиптика	116
§ 7. Горельеф из Нацаргора	118
Глава II. Среднебронзовая эпоха. Триалетская культура	
§ 1. Курганы с ритуальными дорогами	120
§ 2. Торевтика	123
§ 3. Ювелирные изделия	125
§ 4. Расписная керамика	126
§ 5. Подвески-амулеты	
а) Подвеска в форме мухи	127
б) Подвеска в форме человеческой ноги	127
в) Подвеска в форме сердца	128
г) Подвеска в форме свињи	128
д) Раковины	128
§ 6. Предметы быта	129
Глава III. Эпоха поздней бронзы. Баретская культура	
§ 1. Печати	130
§ 2. Скарабеи и скарабеоиды	132
§ 3. Ритуальные камни	133
§ 4. Инсигнея	135
§ 5. Штандарты	136
§ 6. Мелкая пластика	139
§ 7. Женские горельефы из Кахетии	139
§ 8. Амулеты в форме лягушек	141
§ 9. Бусы	141
Заключение	143
ტაბულების აღწერა	162
Description of the Plates.....	170
Описание таблиц	177
ლიტერატურა	185
Bibliography	185
Литература	185
შემოკლებათა განმარტება	200
ტაბულები	201
Plates	201
Таблицы	201

შესავალი

სავაჭრო ურთიერთობას სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის შესაძლოა ზედა პალეოლითში ჩაეყარა საფუძველი [Kushnareva 1974: 28]. ეს სავაჭრო ურთიერთობა, ქრონოლოგიური წყვეტილებით, გრძელდებოდა უკერამიკო და კერამიკული ნეოლითის, აგრეთვე ენეოლითის ეპოქაში. თუმცა რეგულარულ კონტაქტებს ადრებრინჯაოს ხანაში ეყრება საფუძველი [Mellaart 1985: 21].

ადრებრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩამოყალიბდა მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში დიდ ტერიტორიაზე გავრცელდა (ტაბ. I). ამ კულტურამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიის, ანატოლიის, ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველეს ისტორიაში. არცერთი კავკასიური კულტურა არც მანამდე, არც შემდეგ ასე ფართოდ არ გავრცელებულა და არც ასეთი შესამჩნევი კვალი დაუტოვებია ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში.

მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მეტალურგიის დიდი აღმავლობაა. ამ დროს ჩნდება ლითონის ჩამოსხმის წესით დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების იარაღი. მრავალფეროვანი ხდება ლითონის სამკაული. სამხრეთ კავკასიაში მეტალურგიის სწრაფი და ინტენსიური განვითარება ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან ურთიერთობით არის ახსნილი. არაერთხელ აღინიშნა, რომ წინააზიური წარმომავლობის ნივთები სამხრეთ კავკასიის გავლით მოხვდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

მტკვარ-არაქსის კულტურა ბ. კუფტინმა გამოყო XX ს-ის 30-იან წლებში და მანვე პირველმა აღნიშნა, რომ ეს კულტურა დაკავშირებული იყო მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველეს ცივილიზაციებთან [Kuftin 1948:18]. მეცნიერები მტკვარ-არაქსის და მცირე აზიის კულტურების სიახლოვეს ხაზგასმით აღნიშნავენ. ამასთან ერთად, ირანული და მესოპოტამიური კულტურების ზემოქმედებაზეც მიანიშნებენ [Gogadze 1972: 81; Japaridze 1976: 71]. ო. ჯაფარიძე თვლის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წინამორბედი ადგილობრივი კულტურის და ანატოლიის ადრეული კულტურების შერევის საფუძველზე ჩამოყალიბდა [Japaridze 1976: 71,84]. მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტებში მომხდარ ცვლილებებს მეცნიერთა ნაწილი ახალი ეთნიკური ელემენტების შემოსვლას უკავშირებს [Chubinishvili 1971: 164]. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობას ბედენური კულტურის მატარებელი ტომების შემოჭრასთან აკავშირებს ზ. მახარაძე [Makharadze 1994: 74-75].

სამხრეთ კავკასიაში მომხადრი ის საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებებიც, რომლებიც ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას მოჰყვა, უცხო ეთნოსის შემოსვლით არის ახსნილი [Javakhishvili 1973: 366-371; Japharidze 1991:

165, 229; Japaridze 2006: 121-134]. ო. ჯაფარიძის აზრით შუა ბრინჯაოს ხანაში რაიმე ეთნიკური ცვლილება ნაკლებ სავარაუდოა. კულტურის საერთო დონის ამალღების ერთ-ერთი მიზეზი კი წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთან უყო დაკავშირებული [Japharidze 1991: 165]. ჩვენც მიგვაჩნია, რომ საზოგადოების კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში დიდ როლს ასრულებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირებული ინოვაციები, რომლებიც კულტურის ახალ ელემენტებს წარმოადგენენ, რაოდენობრივად მეტად მცირეა და გამორჩეულია მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი მახასიათებელი ნიშნების მქონე არტეფაქტებისაგან. ჩვენი აზრით, ეს კულტურული ინოვაციები სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია. მტკვარ-არაქსის კულტურაში დაფიქსირებული სიახლეები ძირითადად სირიული და ჩრდილომესოპოტამიური კულტურული გავლენით უნდა აიხსნას [Shanshashvili, Narimanishvili 2009: 13-17]. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ დასტურდება მტკვარ-არაქსელთა ექსპანსია სამხრეთით, რომელიც პალესტინამდე აღწევს (ტაბ. I).

ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუახანებში მტკვარ-არაქსული შავპრიალა კერამიკა ჩნდება ჩრდილო სირიის ქალაქებში (ტელ-მარდიხი, ტელ-ბრაკი, ტელ-მოზანი), სადაც ამ კულტურის მატარებელი ხალხი უშუალოდ დაუკავშირდა მესოპოტამიელ ვაჭრებს და ეზიარნენ მესოპოტამიური კულტურის მიღწევებს. როგორც ჩანს, სამხრეთკავკასიურმა ტომებმა მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები ერთის მხრივ გაავრცელეს ანატოლიასა და სირია-პალესტინაში, მეორე მხრივ კი ეზიარნენ რა წინა აზიური კულტურების ელემენტებს, შემოიტანეს ისინი სამხრეთ კავკასიაში.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნასა და განსაკუთრებით ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებში სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება ნატიფი და მდიდრული ნივთები. მათ შორის აღსანიშნავია სპილენძის დიადემები ქვაცხელეზიდან და გუდაბერტყადან, საპარადო იარაღი საჩხერედან, ვერცხლის და ოქროს სამკაული და იარაღი ამირანის გორადან, ანანაურიდან, შენგავითიდან, ბედენიდან. მათი დიდი ნაწილი მსგავსებას იჩენს ანატოლიის და მესოპოტამიის ანალოგიურ ნიმუშებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ნაწილს გააჩნდა გარკვეული პოლიტიკური და კულტურული კავშირი ანატოლიის და სირია-მესოპოტამიის ქალაქებთან, სამხრეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს ეპოქის საზოგადოებამ „ქალაქური ცივილიზაციის“ საფეხურს ვერ მიაღწია.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის სანყის ფაზაზე სამხრეთ კავკასიაში იწყება განვითარების ახალი საფეხური და ადრებრინჯაოს ეპოქას შუაბრინჯაოს ხანა

ენაცვლება. სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ყალიბდება მარტყოფ-ბედენის, თრიალეთის, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის შუა ბრინჯაოს კულტურები [Japaridze 2006: 309].

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა სამხრეთ კავკასიაში. ამავე დროს ჩნდება გარკვეული სიახლეები, მათ შორის აღსანიშნავია ბედენისა და თრიალეთის კულტურების ყორღანები, რომელთა ყრილებზე აღმოსავლეთის მხრიდან მიდგმულია ქვით მოკირწყლული გრანდიოზული „სარიტუალო-საპროცესიო“ გზები [Narimanishvili 2004a]. ამ ეპოქის ყორღანები გრანდიოზულ დასაკრძალავ კომპლექსებს წარმოადგენენ და შეიცავენ მდიდრულ სამკაულს, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ ჭურჭელს, იარაღს, ქსოვილებს, ორნამენტირებულ კერამიკას და ხის ნაკეთობებს. ამ კატეგორიის არტეფაქტების გავრცელება მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც შესაძლოა გამდიდრდა ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობის შედეგად, ადგილობრივ ელიტას წარმოადგენდა.

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩნდება ახალი კულტურის ელემენტები, რომელთა ერთობლიობა „ბედენის კულტურის“ სახელითაა ცნობილი. ვფიქრობთ, რომ ბედენის კულტურის ძირითადი ელემენტები მტკვარ-არაქსელების აღმოსავლურ ცივილიზაციებთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა ანატოლიაში, საიდანაც სამხრეთ კავკასიაში გავრცელდა.

ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა ვრცელდება. მისი არეალი მტკვარ-არაქსის კულტურასთან შედარებით მცირეა და სამხრეთით სირია-პალესტინამდე აღარ აღწევს. თუმცა ურმიისტიხისპირეთის და ანატოლიის გარკვეულ რეგიონებში მონათესავე კულტურები ყალიბდება. სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების საზღვრებს ემთხვევა.

მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურების ძეგლების კონცენტრაცია ლითონის საბადოებთან, ან მათი განლაგება სატრანზიტო გზებზე, სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბება და აყვავება ლითონის წარმოებასთან არის დაკავშირებული. შუა ბრინჯაოს ხანაში კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღის ხვედრითი წონა იზრდება. შესაძლოა, თრიალეთის კულტურის სიმდიდრის წყაროს ბუნებრივი რესურსებით და პირველ რიგში, ახალი ტექნოლოგიებით ვაჭრობა წარმოადგენდა. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე გვხვდება სხვადასხვა ნივთები, რომლებიც მეტყველებენ სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის კავშირებზე მესოპოტამიასთან, სირიასთან, ირანთან, ეგეოსურ ცივილიზაციებთან, ეგვიპტესა და ინდოსტანის ნახევარკუნძულთან.

ნინაზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთან არის დაკავშირებული სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურის (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი - ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი) დანინაურება [Japaridze 1991: 166, 187]. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. შამში-ადად I (ძვ.წ. 1813 – 1781 წწ) მესოპოტამიაში ძლიერი სახელმწიფო შექმნა, ჩაკეტა ევფრატზე, ტიგროსზე და ზაგროსის მთიანეთზე გამავალი ყველა გზა, რითაც დაარღვია მთელი აღმოსავლეთის საქარავნო გზების სტრუქტურა [IDV 1988: 30]. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისშივე პიტხანასი და ანიტასი მცირე აზიაში ქმნიან ხეთების სახელმწიფოს. დაახლოებით ძვ.წ. 1800 წელს დაინგრა ხატუსა, ალიშარი და ქანიშ I. ძვ.წ. XVIII საუკუნისათვის მალათიაზე გამავალი სავაჭრო გზა, ისევე როგორც ანატოლიაში არსებული ასირიელთა სავაჭრო კოლონიები განადგურდა. დაინგრა ევფრატზე მდებარე უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი - მარი [Margueron 1999: 12].

შეცვლილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გავლენა იქონია სავაჭრო-გაცვლით ურთიერთობებზე. მესოპოტამიელი ვაჭრების ქარუმების (სავაჭრო კოლონიები) არსებობა [Burney 1980: 164] ანატოლიაში, ქიულ-თეფე/ქანიშში და ნორშუნთეფეში სამხრეთ კავკასიის და სირია-პალესტინის დამაკავშირებელი სავაჭრო გზის მოქმედებითაც იყო განპირობებული. ამ ქალაქების დაცემამ მალათიაზე გამავალ გზას მნიშველობა დაუკარგა. ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების დაცემა ანატოლიის სავაჭრო კოლონიების და სავაჭრო გზების დარღვევამ გამოიწვია.

ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიას ახალი პერსპექტივები გაუჩინა. ძველ ცივილიზაციებთან დამაკავშირებელმა ძირითადმა სავაჭრო-სატრანზიტო გზამ, რომელიც ადრე მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის სათავეებისაკენ მიემართებოდა, აღმოსავლეთით, ვანისა და ურმიის ტბების მიმართულებით გადაინაცვლა (ტაბ. II). ეს გზა ადრე ბრინჯაოს ხანაშიც მოქმედებდა. ამაზე მიუთითებს მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები ურმიის ტბის პირას, თუმცა შემდეგში ეს გზა უფრო ინტენსიურად გამოიყენებოდა.

სამხრეთ კავკასიის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელება სამხრეთით და ის იმპორტი, რომელიც დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე, აგრეთვე ზოგიერთი კულტურული ინოვაციები, სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობას შორის სასაქონლო-გაცვლით და სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებენ.

ძვ.წ. XVI საუკუნის მიწურულიდან სამხრეთ კავკასიაში ახალი კულტურის აყვავება იწყება. ამ დროს ვრცელდება ერთიანი არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც ჩვენ ბარეთის კულტურას ვუნოდებთ. ამ კულტურის ძეგლების აღსანიშნავად ზოგჯერ ხმარობენ ტერმინებს – გარდამავალი ხანის ძეგლები, ლჭაშენ-ნითელ-

გორული კულტურა, ბაიბურთული ტიპის ძეგლები. ამ კულტურის ძეგლები პირველად თრიალეთში ბარეთის მინდორზე (ადგილი „ბაიბურთი“) გამოვლინდა, რის გამო მას „ბარეთის კულტურა“ ეწოდა [Narimanishvili 2006: 92-126] და ეს პირობითი სახელი ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია.

ბარეთის კულტურის საზღვრები თრიალეთის კულტურის ძირითად არეალს ემთხვევა. ის სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული და ქრონოლოგიურად ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებს მოიცავს. ამ კულტურის გავრცელებას თან ახლავს მთელი რიგი სიახლეებისა, რომლებიც ამ რეგიონის გარე სამყაროსთან კიდევ უფრო ინტენსიურ კავშირს ასახავენ. გვიანი ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში კულტურის ახალი ელემენტების გაჩენა თან სდევს მითანის სახელმწიფოს აყვავებას. ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში მითანის სამეფო ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ეგვიპტის ფარაონები და ხეთების მეფეები.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, სამხრეთ კავკასიის სავაჭრო კავშირები ძირითადად ვანისა და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზებით ხორციელდებოდა. მცირე აზიაში და მესოპოტამიაში მსხვილი სახელმწიფოების წარმოქმნამ საერთაშორისო ვაჭრობის ძველი ფორმებით აღდგენა შეუძლებელი გახადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა მესოპოტამიისაკენ ან ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ან ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან გადიოდა, შემდეგ მდ. მცირე ზაბს მიუყვებოდა და არბელას გავლით ზემო მესოპოტამიაში ჩადიოდა. როგორც ჩანს, ამ გზით სარგებლობდნენ ვაჭრები სამხრეთკავკასიური ლითონების გატანისას. შემდგომში, მდ. ხაბურის აუზში წარმოქმნილმა მითანის სამეფომ აშური დასავლეთის კომუნიკაციებს ჩამოაშორა, ასევე შეწყდა მისი კავშირი აღმოსავლეთთან, როდესაც მდ. ადემის აუზში ჩამოყალიბდა არაპხას ხურიტული სამეფო, რომელიც მდ. მცირე ზაბზე არსებულ მნიშვნელოვან გადასასვლელს ფლობდა. ირანის პლატოსკენ მიმავალ მეორე გასასვლელს, რომელიც დიალას ველზე გადიოდა, აშურთან მტრულად განწყობილი კასიტების სამეფო აკონტროლებდა.

მესოპოტამიური, ეგვიპტური თუ ლევიანტიური იმპორტი სამხრეთ კავკასიაში ახლო აღმოსავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ანარეკლს წარმოადგენდა. ცილინდრულ საბჭდავებთან ერთად კავკასიაში ვრცელდება წინა აზიური ტიპის სატევრები და მახვილები, ამულეტები, სკარაბეები, სკარაბეოიდები ბრინჯაოს ქანდაკებები და სირიული ღვთაებების რელიეფური გამოსახულებები, მინის მძივები და ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში გავრცელებული ოქროს სამკაული. ვითარდება კერამიკის დამზადების სრულიად ახალი ტექნოლოგია. გავრცელებას იწყებს კერამიკის ახალი ტიპები. ჩნდება ორბორბლიანი ეტლები, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენები იყო შებმული.

ძვ.წ. XIV ს-ს მეორე ნახევარში ხეთების სამეფო, ეგვიპტე და ასურეთი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ მითანის წინააღმდეგ. ხეთების მეფე სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1340-1325 წწ) დაიპყრო მითანის მთელი მიწები ხმელთაშუაზღვამდე, კარხემიშის ჩათვლით. ძვ.წ. XIII ს-ის შუა ხანებში ასურეთის მეფე ადადნერარი I-მა დაიპყრო მითანის დიდი ნაწილი.

ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ნაირის ქვეყნების გაერთიანება იკავებს, რომლის სათავეში დიაუხის სამეფო ჩანს. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისათვის, ნაირის ქვეყნების კოალიციიდან წინა პლანზე ურარტუ გამოდის, რომელიც ძვ.წ. IX საუკუნიდან უძლიერესი სახელმწიფო ხდება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში პოლიტიკური ძალების გადანაწილებას და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში ძველი საქარავნო გზების მოშლა. მანამდე (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიასა და სირია-პალესტინისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა მალათიაზე გადიოდა. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას ანატოლიაში და შესაძლოა კავკასიაში, აგრეთვე მათ გავრცელებას სამხრეთით. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ეს სავაჭრო გზა, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები, განადგურდა. როგორც ჩანს, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კავშირი სამხრეთ კავკასიასა და მესოპოტამიას შორის მცირე ზაბისა და არბელას გავლით ხორციელდებოდა. ამ ტერიტორიებს კი ძვ.წ. XV-XIV სს. აკონტროლებდა მითანი. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიისათვის ვანის და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზის მნიშვნელობა უფრო იზრდება. მესოპოტამიასთან, სირია-პალესტინასთან და უფრო სამხრეთით, სავაჭრო ურთიერთობები მითანის სამეფოს შუამავლობით ან მეშვეობით ხორციელდებოდა. მოგვიანებით, ასურეთის სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ, ჩრდილოეთით მისი ექსპანსიის ახალი ტალღა იწყება, რაც ძირითადად სავაჭრო გზების ხელში ჩაგდების მიზნით ხორციელდებოდა. შედარებით მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობებს სამხედრო ლაშქრობები და დაპყრობითი პოლიტიკა ცვლის. ძლიერდება ასურეთის ბრძოლა ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნების“ წინააღმდეგ. ძვ.წ. 1112 წ თიგლათფილესერ I-მა დალაშქრა ხეთების ყოფილი სამეფო. მისი მიზანი იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდება, რომელიც მიუყვებოდა ზემო ევფრატის და ჭოროხის დაბლობებს, რომელთა სიახლოვეს სპილენძის, ვერცხლის და ტყვიის უმნიშვნელოვანესი საბადოები მდებარეობდა.

ძვ.წ. XIII საუკუნიდან, მითანის სამეფოს დაცემის შემდეგ, ასურეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ახლო აღმოსავლეთში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობასაც შეეხო. სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ახლო აღმოსავლური არტეფაქტები,

ან მათი ასლები შედარებით იშვიათად ჩნდება. როგორც ჩანს, ამ დროიდან სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ზეგანისაკენაა მიმართული (ტაბ. III). ამ მიმართულებით სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებამ, უფრო მოგვიანებით, „ნაირის ქვეყნების“ კოალიციიდან ერთ-ერთის – ურარტუს გაძლიერება და გამოყოფა გამოიწვია, რომლის მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები სწორედ ამ გზაზე იყო განლაგებული. სავარაუდოა, რომ სავაჭრო გზებისა და შესაბამისად სამხრეთ კავკასიის ლითონით ვაჭრობის კონტროლმა ურარტუს სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ არ ვეხებით ბრინჯაოს ხანის საბრძოლო იარაღის გავრცელების საკითხს, რადგან ეს პრობლემა არა ერთხელ იყო განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სახეობის არტეფაქტები ან იმპორტს წარმოადგენენ ან წინააზიური ნაწარმის მიბაძვით არის ადგილობრივ დამზადებული [Kuftin 1949: 71-75; Japaridze 1969: 151-167; Kushnareva, Risin 2001: 103-109].

ვფიქრობთ, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულების სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესი საზოგადოების განვითარების, შიდა პროგრესის, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შედეგია. ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში დიდი ეთნიკური ცვლილებები არ ხდება. ყოველ შემთხვევაში არქეოლოგიური მონაცემები სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, მტკვარ-არაქსის კულტურის მინურულს გაჩენილი ინოვაციები საფუძვლად დაედო ახალი არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ბედენის კულტურის (ძვ.წ. XXVI-XXIV სს.) სახელითაა ცნობილი. ჩვენი აზრით, ბედენელები ანატოლიიდან, უკან, სამხრეთ კავკასიაში მობრუნებული მტკვარ-არაქსელები არიან. სწორედ ბედენური კულტურის წიაღში ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ძლიერი არქეოლოგიური კულტურა, რომელიც თრიალეთის კულტურის სახელითაა ცნობილი, რომელმაც ძვ.წ. III ათასწლეულის მინურულიდან ძვ.წ. XVII ს-მდე იარსება. ეს ეპოქა ხასიათდება ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან ახლო კონტაქტებით.

შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის წიაღშივე ხდება ახალი არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება. ამის ნათელი დადასტურებაა თრიალეთში გათხრილი ჯინისის ნამოსახლარი, სადაც ჩანასახის სახით გვხვდება ის ელემენტები, რომლებმაც გვიანი ბრინჯაოს ხანის ბარეთის კულტურას დაუდეს საფუძველი. ძვ.წ. XVI-XIV სს. ბარეთის კულტურის აყვავების ხანაა. ამ კულტურის ჩამოყალიბებაში კი სწორედ წინა აზიასთან კულტურულ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ითამაშა დიდი როლი.

თავი I. მტკვარ-არაქსის კულტურა

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე, ჩნდება ახალი კულტურული ელემენტების მთელი რიგი, რომელიც, ჩვენი აზრით, სირიული და ჩრდილო-მესოპოტამიური კულტურული გავლენით უნდა აიხსნას [Shanshashvili, Narimanishvili 2009: 13-17].

ვფიქრობთ, რომ ამავე დროს ეს არის ერთადერთი ეპოქა სამხრეთ კავკასიის ისტორიაში, როდესაც ადგილობრივი კულტურის ელემენტები (არქიტექტურა, კერამიკა, ლითონი) ფართოდ ვრცელდება სამხრეთით (ტაბ. I).

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება სამხრეთ კავკასიიდან სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. ჩრდილოეთით მან კავკასიონის ქედი გადალახა და მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელდა. სამხრეთ-დასავლეთით ის ცენტრალურ ანატოლიაში დამკვიდრდა. მოგვიანებით კი სირია-პალესტინას მიაღწია. სამხრეთ-აღმოსავლეთით მტკვარ-არქსელთა მძლავრი ნაკადი ურმიის ტბის სამხრეთ სანაპიროებამდე აღწევს, თუმცა ამ კულტურის ელემენტები უფრო სამხრეთით, ცენტრალური ირანის დასავლეთ რეგიონებშიც გვხვდება [Rothman 2005: 59, სურ. 2].

მტკვარ-ქრაქსის კულტურის არეალის გაზრდას შედეგად მოჰყვა ის, რომ ირანისა და თურქეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ამ კულტურის ძეგლების ტრადიციული დასახელების პარალელურად დამკვიდრდა ტერმინი ადრეტრანსკავკასიური კულტურა. სირია-პალესტინაში კი ხირბეტ-კერაქის (ბეთ იერახი) კერამიკის სახელითაა ცნობილი. მოგვიანებით, ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების შემცველი მრავალი ძეგლი გამოვლინდა. ამ რეგიონში გათხრილი მძლავრი მტკვარ-არაქსული//ადრეტრანსკავკასიური კულტურის ძეგლის – ქარაზის ნამოსახლარის დიდი მნიშვნელობის გამო, პარალელურად ახალი ტერმინი ქარაზის კულტურა გაჩნდა.

სამხრეთკავკასიური კერამიკა ირანში ნაცრისფერი, ანატოლიასა და პალესტინაში ვარდისფერსარჩულიანი კეცით და წითელი ან შავი ზედაპირით ხასიათდება. მათი საერთო ნიშნებია ზედაპირის გაპრიალება და სპეციფიკური ორნამენტაცია, რომელიც მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არის დამახასიათებელი. გამორჩეულია ლითონის ნაკეთობანიც, რომლებიც დარიშხანიანი ბრინჯაოს და სპილენძის ნივთებით არის წარმოდგენილი.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ მტკვარ-არაქსელთა სამხრეთით გადაადგილებას ძალადობრივი ხასიათი ჰქონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის კვალი მხოლოდ არსლანთეფეზე შეინიშნება. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებზე (პულური, ნორშუნთეფე, ტიულინთეფე, ქარაზი, სოსჰუიუქი) ძალადობის კვალი არ ჩანს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მტკვარ-არაქსელთა სამხრეთით განხორციელებული ექსპანსია ძირითადად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და სწორედ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე იყო აგებული. არსლანთეფეში დაფიქსირე-

ბული სიტუაცია კი, მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და გავლენის სფეროების გადანაწილებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მტკვარ-არაქსის კულტურა თითქმის ათასი წლის მანძილზე იყო გავრცელებული სამხრეთ კავკასიაში. მას მკვეთრად გამოხატული ელემენტები ახასიათებს. თუმცა, შეინიშნება ინოვაციებიც, რაც ჩვენი აზრით, გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგია.

§ 1. ინოვაციები არქიტექტურაში

მტკვარ-არაქსის კულტურის არქიტექტურა და სამშენებლო ტექნიკა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ეპოქაში, თიხის არქიტექტურის პარალელურად, პირველად ჩნდება ხის სარებიტა და წნელებით შეკრული კარკასული ტიპის ნაგებობები. ყალიბდება სრულიად ახალი სამშენებლო ტექნიკა - მიწაში ჩაჭრილი ორმოს პერიმეტრზე ამოყვანილი კედლები თიხის ხსნარით შეკავშირებული ქვის ნყოფას წარმოადგენს [Javakhishvili 1973: 162]. შემოდის ბრტყელი, ძელურ-მიწური სახურავი, რომელიც თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობა [Javakhishvili 1973: 351].

სამხრეთ კავკასიაში ადრებრინჯაოს ხანის არქიტექტურა ძირითადად სამი ტიპისაა: 1. ჯარგვალის ტიპის სახლები, რომელთა კედლები ნაგებია სარ-ლასტით და ეს წნული ორმხრივია შელესილი ბუნარევი თიხით (ტაბ. VI-VII). 2. ქვის არქიტექტურა დაუმუშავებელი ქვებით ნაგები სახლებითაა წარმოდგენილი (ტაბ. VIII-X). 3. ალიზის არქიტექტურა (ტაბ. VII₁).

პირველი და მესამე ტიპის სახლები ძირითადად დაბლობ რეგიონებშია გავრცელებული, მეორე კი მთაში და მთისწინა ზოლში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ მესამე ტიპის, ალიზის აგურით ნაგები შენობები მტკვარ-არაქსის კულტურაში იშვიათად გვხვდება და არ არის დამახასიათებელი ამ კულტურისათვის.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში შულავერ-შომუთეფეს ნეოლითური კულტურისაგან (ტაბ. V₂) განსხვავებით მშენებლობის ტექნიკაში ხის გამოყენება ფართოდ იწყება (ტაბ. VI-VII); წინამორბედ კულტურასთან კავშირი კი ვლინდება ნაგებობის წრიულ ფორმაში [Kikvidze 1972: 44-47]. ხიზანანთგორას და ბერიკლდეების სახლები წრიული ან ელიფსური ფორმისაა [Kikvidze 1972: 46; Ghloni, Javakhishvili 1987: 80-87]. ადრებრინჯაოს ხანაში შემორჩენილია ძლიერი ნეოლითური ტრადიციები, რაც გამოიხატება მრგვალი სახლების გავრცელებით და სამშენებლო ხერხებით [Javakhishvili 1973: 107-108]. სიახლეს წარმოადგენს სახლების კედლების შემკობა პოლიქრომული მოხატულობით (გუდაბერტყა), რაც ასევე მესოპოტამიური კულტურული გავლენით შეიძლება აიხსნას.

მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთკავკასიური ჯარგვალური არქიტექტურა დასტურდება ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, რის საფუძველზეც ფიქრობენ, რომ „მტკვარ-არაქსელებმა თავისი სარ-ლასტის სახლები ააგეს ცივილიზილებულ დასახლებების ნანგრევებზე“ [Frangipane 2003: 32-34]. პალესტინაში მტკვარ-არაქსელთა დასახლებები არ ჩანს. აქ მხო-

ლოდ მტკვარ-არქსული ტიპის ე.წ. ხირბეტ-კერაკული კერამიკა (Khirbet-Kerak Ware) გვხვდება.

მტკვარ-არაქსის კულტურის არქიტექტურის მიხედვით ალ. ჯავახიშვილი სამხრეთ კავკასიაში ორ რეგიონს გამოყოფს: 1. მტკვრის აუზი, სადაც ძირითადად ოთხკუთხა გეგმარების სახლებია (ტაბ. IV₁) გავრცელებული [Javakhishvili 1973: 223-230, 269-271]; 2. არაქსის აუზი, სადაც მრგვალი, ოთხკუთხამინაშენიანი სახლებია (ტაბ. IV₂) დამახასიათებელი [Javakhishvili 1973: 231-235, 269-271, 351-353].

ა. ორჯონიკიძის მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ, პირველ საფეხურზე შიდა ქართლში ნაგებობები უმეტესად მრგვალი ფორმისაა. ქვემო ქართლში გვხვდება როგორც მრგვალი, ისე ოთხკუთხა შენობები. ორი რეგიონის არქიტექტურას შორის განსხვავება მშენებლობის ტექნიკაშიც არის – შიდა ქართლში შენობები ნაგებია სარ-ლასტით და არ არის გამოყენებული ქვა. ქვემო ქართლში კი ქვის ფუნდამენტზეა ამოყვანილი [Orjonikidze 2004: 46-47].

მეორე საფეხურზე შიდა ქართლში გვხვდება სარ-ლასტით ნაგები წრიული გეგმარების სახლები (ხიზანანთგორას D ფენა), თუმცა ნამყვანი ხდება ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ნაგებობა [Orjonikidze 2004: 82]. ოთხკუთხა ფორმის შენობები შიდა ქართლის გარდა გვხვდება სამცხე-ჯავახეთშიც, მაგრამ ისინი ნაგებია ქვით, რითაც ემსგავსება ანატოლიის სინქრონულ ნასახლართა ოთხკუთხა ნაგებობებს [Orjonikidze 2004: 83].

მესამე საფეხურზე სამცხე-ჯავახეთის, ჩრდილო-დასავლეთ სომხეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის რიგ ძეგლებზე გამოვლენილი შენობები ერთიან არქიტექტურულ სტილს ქმნიან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვით ნაგები არქიტექტურა. შიდა ქართლში გავრცელებულია სარლასტის, ქვემო ქართლსა და თრიალეთში კი ქვის საფუძველზე აგებული სახლები [Orjonikidze 2004: 129 - 130]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ალიზის აგურით ნაგები შენობები წინამორბედი ეპოქის მსგავსად კვლავ დაბლობ რეგიონებში გვხვდება, მაგრამ მას უკვე აღარ უკავია გაბატონებული მდგომარეობა და არ არის დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. ახლად დამკვიდრებული ჯარგვალის ტიპის ნაგებობებიც ძირითადად დაბლობ რეგიონებშია გავრცელებული, ქვის არქიტექტურა კი მთიან და მთისწინა ზოლში გვხვდება.

ჯარგვალის ტიპის, სარ-ლასტით ნაგები სახლები, როგორც აღნიშნული იყო, მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩნდება. ამ დროს, შულავერ-შომოთეფეს ნეოლითური კულტურისაგან (ტაბ. V₁) განსხვავებთ, მშენებლობის ტექნიკაში ხის ინტენსიური გამოყენება იწყება (ტაბ. V₂). წინამორბედ კულტურასთან კავშირი კი ვლინდება ნაგებობის წრიულ ფორმაში [Kikvidze 1972: 46-47]. წრიული გეგმარების სახლები მტკვარ-არაქსის კულტურის სანყის ეტაპზე კიდევ გვხვდება. ასეთი გეგმარების სახლები წარმოდგენილია თიხის არქიტექტურით, გვხვდება სარლასტის სახლებიც [Javakhishvili 1973: 101-149]. თუმცა გაბატონებულ ტიპს კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა სახლები წარმოადგენს. არქიტექტურის ეს ტიპი კარგად ჩანს არსლანთეფეს VIB ფენაში, რომელიც მკვლევართა აზრით მოსული მტკვარ-არაქსელების საცხოვრებლებს წარმოადგენს (ტაბ. XI-XII).

ქვის არქიტექტურის სანყისებიც მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩანს. ამ სტილის არქიტექტურის ჩანასახი ფიქსირდება ოზნის ნამოსახლარზე, სადაც წრიული გეგმარების სახლის ქვედა ნაწილი ქვით არის ამოყვანილი [Kuftin 1948: 28-29; Javakhishvili 1973: 194; Chubinishvili 1971: 79; Kushnareva, Chubinishvili 1970: 66]. სოფ. ოზნი სამხრეთ საქართველოში, თრიალეთის მთიან ზოლში, ზღვის დონიდან 1800 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მის სიახლოვეს, სოფ. ავრანლოსთან გათხრილი ადრებრინჯაოს სახლები სარლასტითაა ნაგები [Shan-shashvili 2010]. სარლასტით ჩანს ნაგები თრიალეთშივე, ბეშთაშენის მტკვარ-არაქსის კულტურის ფენებში დაფიქსირებული სახლები.

ახლა ძნელია იმაზე საუბარი თუ როდის ჩამოყალიბდა წრიული გეგმარების ქვის არქიტექტურა სამხრეთ კავკასიაში და როდემდე არსებობდა ის. ერთი ცხადია, რომ ოზნის სახლი ჯერ-ჯერობით უძველესი ჩანს.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთში წრიული გეგმარების სახლების არაერთი ნიმუშია შემორჩენილი. წრიული გეგმარების სახლების და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისაგან შემდგარი დიდი დასახლება დაფიქსირებულია აბულის „ციკლოპური“ ციხესიმაგრის გარშემო (ტაბ. XIV-XVII). ხაზგასასმელია, რომ ციხის შიდა სივრცეში მხოლოდ ოთხკუთხა სახლებია გამართული. ოთხკუთხა სახლებია შაორის „ციკლოპური“ კომპლექსის ცენტრალური, გამაგრებული ნაწილის შიდა ფართობშიც. კომპლექსის ცენტრალური ნაწილისაკენ მიმავალი სარიტუალო გზის გასწვრივ კი წრიული გეგმარების მცირე სათავსებია გამართული [Narimanishvili G. 2009: 48-49, ტაბ. XLI-2].

აბულისა და შაორის სახლები ნაგებია ბაზალტის საშუალო და მოზრდილი ფილებით, უდულაბოდ (ტაბ. XIV, XV). მათი დიამეტრი 1,5 – 3,0 მ-ს შორის მერყეობს. ასეთი სახლების სახურავი ბაზალტისავე თხელი ფილებითაა შედგენილი და ცრუ კამარას წარმოადგენს (ტაბ. XVI, XVII). აბულის დასახლება კარგად გამაგრებულ ცენტრალურ ნაწილსა და მის გარშემო განლაგებულ მცირე არქიტექტურულ კომპლექსებს მოიცავს. თითოეული კომპლექსი რამდენიმე, სხვადასხვა ზომის წრიული გეგმარების სახლისაგან და სათავსოსაგან შედგება (ტაბ. XIV-XV), რომლებსაც საერთო ეზო აქვთ (ტაბ. XVI). ცენტრალური ნაწილის სასიმაგრო კედლების სისქე 3,5-4,0 მ-ია. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 4,0 – 6,0 მ-მდე მერყეობს.

აბულისა და შაორის კომპლექსების თარიღებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, ძველი არტეფაქტები არც ვიზუალური და არც დაზვერვითი სამუშაოების დროს აღმოჩენილა. ამდენად, მათი დათარიღება ან რომელიმე არქეოლოგიური კულტურისათვის მიკუთვნება ჭირს.

მეცნიერთა ნაწილი მათ ზოგადად ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ ავტორს ისინი შუა ბრინჯაოს ხანის კომპლექსებად მიაჩნია. თუმცა, თუ ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქიტექტურის ზემოთ აღნიშნულ ხაზს გავიზიარებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ კომპლექსების უძველესი პლასტი ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.

წრიული გეგმარების ნაგებობები სამსარის ქედის რამდენიმე მთის წვერზეც დაფიქსირდა. მათ ზ. ქიქოძემ მიაკვლია და მოკლედ აღწერა: „ყარადაღის მთაზე, რომელიც სამსარის ქედის უშუალოდ წყალგამყოფზე მდებარეობს და ერთის მხრივ ტაბანყურის ტბას დაჰყურებს, მეორე მხრივ კი ფარავანს და რომლის სიმაღლე 3100 მეტრამდეა, უშუალოდ მწვერვალზე აღმოჩნდა ნაყარი ვულკანური ქვების მშრალი წყობით ნაგები 150-ზე მეტი გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდია – სიმაღლე 2,5 მ. ძირის დიამეტრი 4,0 – 4,5 მ. ნაგებობების უმეტესობა წრიული ან ოვალურია, რამდენიმე მათგანს თითქოს შესასვლელი (დრომოსი) გააჩნია, რომელიც ნაწილობრივ ჩაქცეულია. ნაგებობებს შორის ადრეფეოდალური იერის(?) თიხის ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი ვიპოვეთ.... ამ ნაგებობების დანიშნულების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.... შესაძლოა ისინი სამალავებს – დარნებს ან დარღალებს წარმოადგენდნენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ასეთივე ნაგებობანი, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბის, აღმოვაჩინეთ სამსარის ქედის კიდევ ორ ადგილას, დაახლოებით 3000 მ-ის სიმაღლეზე.“ ქვის წრიულ ნაგებობებს მიაკვლიეს ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდზეც [Kikodze, Koridze 1978: 25-26].

ერთ-ერთ უნიკალურ კომპლექსს, რომელიც წრიული გეგმარების ნაგებობებს შეიცავს გოგიჩაანთელე წარმოადგენს. ნამოსახლარი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჭობისხევთან. ძველ ნამოსახლარს დიდი ტერიტორია უკავია და რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან გამორჩეულია ორი უბანი, ნადიკრები I და ნადიკრები II. გოგიჩაანთ-ლელეს ნამოსახლარის მრავალრიცხოვანი კომპლექსური ნაგებობები ტერასებზეა განლაგებული. ნაგებობს შორის ნამყვანია წრიული გეგმარების კონუსური სენაკები. „გოგიჩაანთ ლელეს“ ნამოსახლარის შესწავლა 1971 წელს დაიწყო. გ. ნასიძე აღნიშნავს, რომ ბორჯომის ხეობის ნასოფლარები გეგმარებით და მშენებლობის ტექნიკით აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრებელი ნაგებობებისაგან ძირეულად განსხვავდებიან [Nasidze 1976: 106; Nasidze 1976a: 79]. გოგიჩაანთ ლელეზე სწორკუთხა ნაგებობების კომპლექსიც გაითხარა [Nasidze, Kighuradze 1973: 104-107]. ცრუგუმბათიანი ნაგებობები მეორე, ძირითად ტერასაზეა განთავსებული [Nasidze 1987: 97].

ნადიკრები I ნამოსახლარის ქვედა ტერასაზეა განლაგებული. ამ უბანზე გაითხარა საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც შედის ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვის დიდი ლოდებით უდულაბოდ ნაგები ორი, წრიული გეგმარების ცრუთალოვანი ნაგებობა, ორი ოთხკუთხა სენაკი, სამზარეულო, ორი მარანი, სატრაპეზო, სამეურნეო ნაგებობა და წინაოთახი. ცრუგუმბათიანი სენაკების კედლები დამრეცია, რადგან საძირკვლის დონიდანვე იწყება ყოველი ზედა რიგის შევინროვება. ქვების ზომები ზედა რიგებში უფრო და უფრო იზრდება და ცრუ კონუსის ფორმის თაღს ქმნის.

პირველი წრიული სენაკის დიამეტრი 4.8 მ-ია, სიმაღლე 3.0 მ-ს აღწევს. ამ სენაკის ზედა ფენაში აღმოჩნდა XI-XIII სს მოჭიქული კერამიკა. მეორე ფენა, რომელიც თიხატყეპნილი იატაკითაა წარმოდგენილი VIII-X სს კერამიკას შეიცავს. ქვედა, მესამე ფენაში წრიული ლუმელი – თონე დაფიქსირდა. აქვე

აღმოჩენილი კერამიკა კი IV-V სს. იქნა დათარიღებული [Nasidze 1976a: 80]. ნაგებობის წინ გაითხარა ოთხკუთხა ნაგებობა „დარბაზი“ (6,5 X 5 მ.), რომელიც III-IV სს დათარიღდა. მეორე ცრუგუმბათიანი სენაკის სიმაღლე 3,5 მ-ია. მის გარშემო განლაგებულია ორი მარანი და სამზარეულო. აქ მოპოვებული მასალები XI-XIII სს განეკუთვნება [Nasidze 1976a: 81].

ნადიკრები I უბანზე მდებარე წრიულ-კონუსური ფორმის სენაკი აგებულია დიდრონი ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი დამუშავებული ქვებით. წყობა მშრალია და ერთი შეხედვით ფსევდო-ციკლოპურ წყობას წააგავს. სენაკის საძირკველიდანვე იწყება სწრაფვა ცრუ კამარის შეკვრისადმი, რომელიც ზევით ერდოთი მთავრდება. სენაკი კონუსური ფორმისაა. სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით იგი ნაშენია სიმძიმის ძალთა წონასწორობის პრინციპით, კერძოდ: საძირკვლის ქვების პირველი მწკრივი მცირეა, ხოლო რაც ზევით მიიწევს კედელი, მით უფრო მატულობს ქვების ზომა და წყობაც იცვლება. თითქმის ქვედა წყობის პირველი რიგიდანვე იწყება სწრაფვა დახრილობისაკენ და იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ ზედა მწკრივი ქვედას გაგრძელებას წარმოადგენს [Nasidze 1972: 57-58].

ნადიკრები II ნადიკრები I-ის სიახლოვეს, შემადლებულ ადგილზეა გაშენებული. ამ დასახლებისათვისაც წრიული გეგმარების კონუსური ფორმის სენაკებია დამახასიათებელი. ნადიკრები II დასახლების სენაკები უკეთესი სამშენებლო ტექნიკით გამოირჩევა, ვიდრე ნადიკრები I-ის ნაგებობები. საცხოვრებელი კომპლექსი შედგება 14 სენაკისაგან. ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს ცრუგუმბათიანი სენაკი, რომლის დმ. 5,8 მ-ია. ის მთლიანადაა შემორჩენილი და მისი სიმაღლე 4,3 მ-ს უდრის [Nasidze 1976: 106; Nasidze 1976a: 81]. ამ სენაკზე მიდგმულია მცირე ეკლესია, რომელიც არ არის ორიენტირებული მხარეების მიხედვით. ის ჩრდილოეთით 55 გრადუსითაა გადახრილი. გ. ნასიძე ეკლესიის ასეთ მდგომარეობას მშენებლების შეცდომად არ თვლის. მას მიაჩნია, რომ მშენებლებმა ეკლესიის მშენებლობის არსებული წესი იმ მიზნით დაარღვიეს რათა აქ არსებული დიდი ლოდი აბსიდის ცენტრში მოეთავსებინათ. ეკლესიას კ. მეღვინეთა V-VI სს ათარიღებს [Nasidze 1976a: 82]. თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს „აბსიდიანი“ ნაგებობა ეკლესიას არ წარმოადგენს. „ეკლესიის“ ქვეშ აღმოჩნდა ნაგებობის ნაშთი, რომლის მშენებლობის ტექნიკა ძირითადი კომპლექსის ტექნიკის მსგავსია [Nasidze 1976: 107; Nasidze 1976a: 82]. შემდეგი წლების გათხრებით დადგინდა, რომ ეკლესია აგებულია იმ ადგილზე, სადაც წარმართული სამლოცველო იდგა და ამ სამლოცველოს ცალკეული ატრიბუტები „ეკლესიის“ აბსიდშია შემორჩენილი [Nasidze 1987: 98].

გოგიჩანთელეს კომპლექსების დათარიღება მეტად რთულია. ერთი ცხადია, რომ ამ ტერიტორიაზე ინტენსიური ცხოვრება III-IV სს-დან ჩანს და ის სამშენებლო ტექნიკა, რომელიც წრიული გეგმარების სახლებს ახასიათებს დღეისათვის ცნობილ ყველაზე ძველ ფენაშიც ფიქსირდება, რაზეც გ. ნასიძე, რომელიც წლების მანძილზე თხრიდა ამ ძეგლს, საგანგებოდ მიუთითებს [Nasidze 1976: 107; Nasidze 1976a: 82]. როგორც ჩანს, VIII-XIII საუკუნეებში გოგიჩანთელეს დასახლებას მასშტაბური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და

ძველმა ნაგებობებმა ახალი ფუნქცია შეიძინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წრიული გეგმარების სენაკები უფრო ძველია და ისინი შეიძლება დასახლების სიახლოვეს არსებული გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხების თანადროული იყოს.

ისიც აღსანიშნავია, რომ წრიული გეგმარების ქვის არქიტექტურა ფართოდაა გავრცელებული უძველეს კულტურებში [Javakhishvili 1973: 348-349]. ეგოსურ სამყაროში მსგავსი არქიტექტურა (თოლოსი) ნეოლითის ხანიდან გვხვდება. დასავლეთ ევროპაში კი ასეთი ნაგებობები უკანასკნელ ხანებამდე იყო ყოფაში (ტაბ. XVIII). ბ. კუფტინი სამხრეთკავკასიური წრიული გეგმარების სახლების და თესალიური ოვალური საცხოვრებლების მსგავსებაზე მიუთითებდა და მტკვარ-არაქსის კულტურისა და ხმელთაშუაზღისპირეთის უძველესი კულტურების სავარაუდო კავშირზეც საუბრობდა [Kuftin 1948: 27-29].

ადრებრინჯაოს ხანის მძლავრი დასახლება, სადაც ქვის არქიტექტურაა წამყვანი, გოგიჩაანთლელს დასახლებიდან 35 კილომეტრის დაცილებით, ახალციხესთან მდებარეობს. დასახლება „ამირანის გორაზე“ ყოფილა გამართული. მთის წვერზე სამლოცველო მდგარა, საცხოვრებელი უბანი კი სამხრეთ ფერდზე ტერასულადაა განლაგებული (ტაბ. VIII-X), აქვეა სამაროვანი [Chubinishvili 1963: 21-22, 36]. ამირანის გორაზე გაითხარა 10-ზე მეტი ხელოვნური ტერასა, რომელთა სიგრძე 25.0 მ., სიგანე კი 7.0-10.0 მეტრია. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი საცხოვრებელი კვარტალია. თითოეულ კვარტალში 18 სახლია (ტაბ. VIII). ისინი მხოლოდ ფლეთილი და რიყის ქვით არის ნაგები, თიხის ხსნარზე. კედლები ერთ ან ორ რიგად დანყობილი ქვების მწკვივებისაგან შედგება (ტაბ. IX-X). სახლები წარმოადგენს ოთხკუთხა გეგმარების, კუთხეებმომრგვალებულ მიწისზედა კაპიტალურ ნაგებობას. თითოეული სახლი ორი სათავისაგან, კვადრატული საცხოვრებელი ოთახისა და სამეურნეო წინაოთახისაგან შედგება (ტაბ. IX-X). სახურავი ან კედლებს ეყრდნობოდა ან კედლის გასწვრივ არსებულ ბოძებს [Javakhishvili 1973: 161-162].

ქვის არქიტექტურა შუა და გვიანი ბრინჯაოს ეპოქებისათვისაც არის დამახასიათებელი. შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების სამარხი კამერების კედლები ქვითაა ნაგები. სამარხი კამერები, რომელთა ფართობი ხანდახან 180 კვ.მ. აღწევს, დასაკრძალავი დარბაზებს წარმოადგენენ, რომელთა ხის სახურავები კედლებს ან კედლების გასწვრივ და შიდა სივრცეში განთავსებულ ხის სვეტებს ეყრდნობა [Narimanishvili 2009: 66-67; Narimanishvili, Amiranashvili 2010: ტაბ. III-VIII]. მშენებლობის მსგავსი ტექნიკა ჯინისის შუაბრინჯაოს ხანის დასახლებისათვისაც არის დამახასიათებელი [Narimanishvili, Amiranashvili 2010: 207-253], სადაც ქვით ამოყვანილი კედლების გასწვრივ (ტაბ. XIX) და ინტერიერებში განთავსებულია ხის სვეტები (ტაბ. XX, XXI), რომლებსაც სახურავის კონსტრუქცია ეყრდნობოდა (ტაბ. XXIII, XXIV₁). მსგავსი ტექნიკით არის ნაგები თრიალეთშივე, საბეჭდავის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გათხრილი სახლები (ტაბ. XXIV₂). მოტანილი მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ მშენებლობის ეს ტექნიკა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული.

ჯინისისა და საბეჭდავის დასახლებებს შორის ის განსხვავებაა, რომ ჯინისის სახლები მიჯრით არ არის განთავსებული [Narimanishvili, Amiranashvili

2010: ტაბ. II, X] და ერთმანეთისაგან 5-10 მ-ითაა დაცილებული (ტაბ. XXII), საბჭოდავის სახლებს კი საერთო კედლები აქვთ. შესაბამისად მათი გადახურვის კონსტრუქციაც განსხვავებული უნდა ყოფილიყო (ტაბ. XXIV₂).

ადრებრინჯაოს ხანის ნაგებობების გეგმარებაზე კულტურულ ფენებში აღმოჩენილი სახლის მოდელებიც მეტყველებენ. ისინი არა მხოლოდ გეგმარებაზე, არამედ სრულ ფორმაზეც გვიქმნიან წარმოდგენას.

სამხრეთ კავკასიაში, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე დღეისათვის მხოლოდ შვიდი მინიატურული არქიტექტურული მოდელია ნაპოვნი: 1. ქვაცხელები [Ghlonti et. all. 1968: ტაბ. I₃₁; Dshaparidze 1995: 59, სურ. 35], 2. ოზნი [Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 36, ტაბ. 24, 39], 3. ამირანის გორა [Chubinishvili 1963: 32, სურ. 4₂₅], 4. ხიზანანთ გორა [Kikvidze 1972: ტაბ. XXIV], 5. დიგაშენი [Orjonikidze 1995: 81, ტაბ. 141₁], 6. გუდაბერტყა (ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), 7. თელუთძორი (ტაბ. XIII_{1,2}; მასალა მოგვანოდა რ. ზადალიანმა).

ხიზანანთ გორის C1 ფენის № 9 სახლში აღმოჩენილი სახლის მაკეტი [Kikvidze 1972: 16, ტაბ. XXIV-1] ნაკვეთილი კონუსის ფორმისაა (ტაბ. XXIX₁, XXX₂). მას სქელი, წითლად გამომწვარი კეცი, ბრტყელი ძირი და გაპრიალებული ზედაპირი აქვს. წრიული „სახურავის“ ცენტრში მრგვალი ღიობია დატოვებული. ერთ-ერთ კედელში კი ნაგრძელებული ოვალის ფორმის „კარია“ გაჭრილი. მაკეტის სიმაღლე 12,5 სმ., ყელის დმ - 9,5 სმ., პირის დმ - 13,5 სმ. უდრის. № 9 სახლი მიეკუთვნება C1 ფენას, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ი. კიკვიძის აზრით ამ სახლის ის სათავასო, რომელშიც არქიტექტურული მაკეტი აღმოჩნდა საკულტო რიტუალისათვის გამოიყენებოდა [Kikvidze 1972: 16].

ქვაცხელების ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ ფენაში [Ghlonti et. all. 1968: ტაბ. I-31; Dshaparidze 1995: 59, სურ. 35] აღმოჩენილი მაკეტი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის, ორ, ან სამსართულიანი ნაგებობის მოდელს. ნაკეთობის ზედაპირი გაპრიალებულია და მუქი-წითელი ანგობითაა დაფარული. მაკეტის სიმაღლე 25 სმ-ია, სიგანე – 17 სმ. ორ მხარეს ერთ რიგად სამ-სამი „ფანჯარა“ გაჭრილი. ფანჯრების ზემოთ სამი პატარა მრგვალი ნახვრეტია დატანილი. დანარჩენ ორ გვერდზე თითო ოთხკუთხა „სარკმელი“ გაჭრილი. სახურავი ნანილობრივ დაზიანებულია, რომლის ცენტრში მრგვალი „საკვამურია“ დატანილი (ტაბ. XXIX₂; XXX₃).

სახლების მაკეტების ფრაგმენტი გუდაბერტყას მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზეც აღმოჩნდა (ინახება პროფ. სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

ოთხკუთხა სახლის მაკეტი მიკვლეულია დიგაშენის ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები) ნამოსახლარზე [Orjonikidze 1995: 81, ტაბ. 141-1]. მაკეტს ცალ მხარეს მრგვალი ფანჯარა აქვს, რომლის ორივე მხარე ფრინველების სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული. მაკეტის ძირი ბრტყელია. „სახლს“ გვირგვინისებური, ერდოთი მომთავრებული ბანური გადახურვა აქვს. ბანის პერიმეტრს დაბალი ბორდიური საზღვრავს, რომელიც ირიბი ნაჭდევებით არის ორნამენტირებული (ტაბ. XXX₆).

ოზნის ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის მაკეტი ოთხკუთხაა და ნაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვს (ტაბ. XXX₃). დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფრო-მონითალოდ, ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული და წითელი საღებავითაა შეღებილი. ნაკლულია „სახურავი“ მოტეხილი აქვს. შემორჩენილი სიმაღლე 20,5 სმ-ს უდრის [Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 36, ტაბ. 24,39]. სახლის მაკეტი აღმოჩნდა ოზნის ჰიდროსადგურის მშენებლობისას, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენაში, თიხატკეპნილ მოედანზე, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ბ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ ოზნიში გათხრილი კომპლექსები საცხოვრებელი შენობებთან დაკავშირებულ სამსხვერპლო ადგილებს წარმოადგენდა, სადაც შესაძლოა საოჯახო-საგვარეულო რიტუალები სრულდებოდა. ის ასევე არ გამორიცხავდა, რომ ამგვარი სამსხვერპლო ადგილები დაკავშირებული იყო წინაპრების კულტთან [Kuftin 1948: 42].

ამირანის გორის ნამოსახლარზე სახლის მაკეტი X ნაგებობის (ძვ.წ. III ათასწლ. პირველი ნახევრი) იატაკზე აღმოჩნდა [Chubinishvili 1963: 32, სურ. 4-25]. ის ოთხკუთხა ფორმისაა და მისი სიმაღლე 25 სმ-ია (ტაბ. XXX₁). ძირი ოთხკუთხა აქვს, კედლები სახურავისკენ ოდნავ ვიწროვდება. კედლებში ორი ოვალური ფორმის ფანჯარაა აქვს შემორჩენილი. სახურავი ცენტრისაკენ ოდნავ შემაღლებულია, სადაც ფართო მილისებური ნახვრეტი - გვირგვინისებური ერდოა მოთავსებული.

სომხეთში, თელუთძორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მაკეტი ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული სამი ოთხკუთხა სახლის მოდელს წარმოადგენს, რომლებსაც კონუსური, ცრუთაღოვანი გადახურვა აქვთ (ტაბ. XIII_{1,2}). ამ ტიპის გადახურვა დამახასიათებელია წინამორბედი ეპოქის წრიული გეგმარების სახლებისათვის [Javakhishvili 1973: 211, სურ. 9b]. თელუთძორის მოდელი ასევე ემსგავსება ერთმანეთზე მიჯრით აგებული ოთხკუთხა სახლებისაგან შემდგარ კვარტალს, რომელთა კონუსური გადახურვები, გუმბათების რიგს ქმნიან. მსგავსი დასახლებები დღესაც გვხვდება სამხრეთ თურქეთში (ტაბ. XIII_{3,5}).

სახლების მაკეტების დანიშნულება ჯერჯერობით უცნობია. ეს საგნები სასაკმეველებად [Chubinishvili 1963: 71], ან სანათურებად არის მიჩნეული [Ghlonti et. all. 1968: 11; Kikvidze 1972: 16; Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 36, ტაბ. 24,39; Orjonikidze 1995: 81].

სამხრეთკავკასიური სახლების მოდელები ორი ტიპისაა — მრგვალი (ხიზანანთ გორა, ტაბ. XXIX₁, XXX₂) და ოთხკუთხა (გუდაბერტყა, ქვაცხელები — ტაბ. XXIX₂, XXX₅, დიგაშენი — ტაბ. XXX₆, ოზნი — ტაბ. XXX₃) ან კუთხებმომრგვალებული (ამირანის გორა — ტაბ. XXX₁) სახლების მაკეტებს წარმოადგენენ.

სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დადასტურებული მაკეტები ალბათ, ყოფაში არსებული მრავალსართულიანი კომპლექსისა და ერთსართულიანი სახლების იმიტაციას წარმოადგენენ.

კომპლექსის მაკეტები ოთხკუთხა ფორმის, სწორგვერდა, მაღალ, ორ, ან მეტ სართულიან არქიტექტურულ ნაგებობებს ასახავენ (ქვაცხელები, ოზნი, ამირანის გორა, გუდაბერტყა). მათ ძირი ბრტყელი აქვთ, „სახურავი“ კი უმეტეს

შემთხვევაში ნაკლულია. ქვაცხელების მაკეტს შემორჩენილი აქვს ბრტყელი გადახურვა, რომლის შუაში მილისებური „საკვამლე“ მრგვალი ნახვრეტია. ამირანის გორის მაკეტსაც ზედა ნაწილში მილისებური, ყელთან გაფართოებული ნახვრეტი აქვს. მაკეტებს კედლების ზედა ნაწილში „ფანჯრები“ აქვს. ქვაცხელების სახლი ტიპოლოგიურად ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ. IV ათასწლეულში გავრცელებული კომპლექსური ტიპის საცხოვრებლების მსგავსია. ამ ტიპის არქიტექტურამ კავკასიაში თავი დღემდე შემოინახა. მრავალსართულიანი კომპლექსები მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ჯერ-ჯერობით არ არის გათხრილი. თუმცა, ჩრდილოეთ სირიაში, ტელ ხაზნაში გაითხარა საკულტო კომპლექსი, რომელშიც შედიოდა რვა მეტრის სიმაღლის კოშკი. კოშკს ზედა ნაწილში ფანჯრებიც ჰქონდა. ეს კომპლექსი ფუნქციონირებდა ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან III ათასწლეულის შუა ხანამდე. შესაძლოა ტელ-ხაზნას საკულტო კოშკის მსგავსი ნაგებობები პროტოტიპად დაედო არქიტექტურულ მაკეტებს სამხრეთ კავკასიიდან.

ა. ჯავახიშვილი სახლის მაკეტებში ყოფაში არსებული საცხოვრებლის ასლს ხედავდა [Javakhishvili 1973: 122]. დიგაშენის და ხიზანანთ გორის მოდელები, როგორც ჩანს, წარმოადგენდნენ თანადროული, ან ოდნავ ადრეული სახლების მინიატურულ მოდელებს.

მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში აღმოჩენილი შენობების მაკეტები საკმაოდ მცირერიცხოვანია და ტიპოლოგიურად მსგავსებას იჩენენ მესოპოტამიურ და პალესტინურ ნიმუშებთან, რომლებიც გაცილებით ადრეული ეპოქით თარიღდებიან.

ადრე ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში შენობების მაკეტები შესაძლოა მესოპოტამიურ-სირიული საკულტო პრაქტიკის მიბაძვით გაჩნდა და ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთში საოჯახო-საგვარეულო ცერემონიებში გამოიყენებოდა, ხოლო მათ დამკვიდრებას კავკასიაში ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ახლო კონტაქტებმა ჩრდილოეთ მესოპოტამიის და პალესტინის უძველეს მოსახლეობასთან, რომელთა საკულტო პრაქტიკაში შენობების მოდელებს გარკვეული საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა.

სამხრეთკავკასიური სახლების მაკეტების მსგავსი სასაკმევლები აღმოჩენილია მესოპოტამიაში - უბეიდის პერიოდის ერიდუში (აბუ-შახრეინი) [Goff 1963: სურ. 237], აგრეთვე თეფე გავრას XI ფენაში [Goff 1963: სურ. 147,496], რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება და ჯემდეთ-ნასრის პერიოდის (ძვ.წ. 3200-2800 წწ.) ხაფაჯში [Goff 1963: სურ. 328]. მრგვალი შენობის მაკეტი აღმოჩნდა მარიში (ძვ.წ. 2700-2500 წწ) [Parrot 1955: ტაბ. XV-1,2; Fortin 1999: 278].

აღსანიშნავია, რომ ახლოაღმოსავლურ და სამხრეთკავკასიურ მაკეტებს შორის პრინციპული განსხვავებაა. აღმოსავლური „სახლების“ მაკეტებს, რომლებიც სასაკმევლებად არის მიჩნეული, ძირი (იატაკი) არ აქვს, მტკვარ-არაქსული „სახლები“ კი ყველა ძირიანია. მიუხედავად ამისა, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილ ამ სახის არტეფაქტებს ჩვენ სასაკმევლებად მივიჩნევთ. ამირანის გორაზე და ოზნიში გამოვლენილი მაკეტები დიდ მსგავსებას იჩენენ პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად, აის ტაძრის ერთ-ერთი

ოთახის ცენტრში აღმოჩენილ, ორ თითქმის ერთნაირ სასაკმეველესთან (ტაბ. XXX₄). აქ აღმოჩენილი ეგვიპტური ნივთების მიხედვით ტაძარი ძველი ეგვიპტის მეორე და მესამე დინასტიების დროინდელია და ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. ორივე სასაკმეველე ოთხკუთხა ფორმისაა. გვერდების ზედა ნაწილში ორივეს „ფანჯრები“, „სახურავში“ კი ძაბრისებური ნახვრეტი აქვთ [Marquet-Krause 1935: 331-333, ტაბ. V, VI-1].

ხიზანანთ გორის მსგავსი საგნები აღმოჩნდა გერარში [Gilead 1993: 470], გილათში [Levy, Alon 1993: 517], და გივათაიმში [Kaplan 1993: 521], რომლებიც პირობითად ენეოლითის ეპოქისაა.

ჩვენი აზრით, საქართველოში აღმოჩენილი სახლის მოდელები, თუ სასაკმეველები სამხრეთიდან მოტანილი საკულტო დანიშნულების საგნებს წარმოადგენდნენ.

§ 2. ქვით ნაგები აკლდამები

ძვ.წ. IV ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასიაში ვრცელდება ალიზის აგურით, ან ქვით ნაგები აკლდამები, რომლებიც ხშირად ყორღანული ყრილითაა დაფარული [Shanshashvili 2010].

ქვით ნაგები აკლდამების დიდი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში - კიკეთი [Pkhakadze 1963: 71-72, სურ. 4], კოდა [Chubinishvili, Nebieridze, Pkhakadze 1976: 19], არდასუბანი [Tushishvili 1968], თამარისი [Pkhakadze 1963: 73, ტაბ. XV], ახალციხის ამირანის გორა [Chubinishvili 1963: 36, სურ. 10, ტაბ. IV], გომარეთი [Tskvitinidze 2001: 103-14], ღრმახევისთავი [Abramishvili, Giguashvili, Kakhiani 1980: 17] და სომხეთში – გელაროტი [Badalyan, Smith 2007: 38-40], ჰორომი [Badaljan, Edens, Gorny, Kohl 1993: 4] არის აღმოჩენილი.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ქვით ნაგები აკლდამები მხოლოდ სამხრეთ რეგიონებში იყო გავრცელებული და ქვემო ქართლის ჩრდილოეთით არ ვრცელდებოდა. თუმცა შიდა ქართლშიც, სოფ. დოესში, აღმოჩნდა ქვაყრილიანი აკლდამა, რომელიც ქვის ფილებით არის ნაგები [SHCMG 1990: 155].

ქვაყრილანი აკლდამა 2003 წელს თრიალეთშიც (საფარ-ხარაბა) გაითხარა. ყორღანის ქვაყრილი ძლიერ იყო დაზიანებული. მისი დიამეტრი 10-12 მ-ს უდრიდა. როგორც ჩანს, შიდა სივრცე მთლიანად იყო ქვაყრილით შევსებული. ქვაყრილის ცენტრში ბაზალტის ფილებით ნაგები სამარხი კამერა დადასტურდა, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე დამხრობილი. კამერის ოთხივე კედელი ბაზალტის ბრტყელი, სპეციალურად შერჩეული ფილებითაა ამოშენებული. ქვები ერთმანეთზე კარგადაა მორგებული, ისე, რომ მათ შორის ცარიელი ადგილები დატოვებული არ არის. აღსანიშნავია, რომ როგორც ცალკეული ქვები, ისე კედლები მყარადაა ერთმანეთზე გადაბმული (ტაბ. XXV). სამარხი კამერა გეგმაში „ნალისებურია“. მისი ჩრდილოეთი კედელი გვერდით კედლებთან მართკუთხედს ქმნის, მაშინ როდესაც სამხრეთი კედლის კუთხეები აშკარად მომრგვალებულია (ტაბ. XXV_{2,3}). აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კედელს წყობის ქვედა ერთი რიგი არ გააჩნია. დანარჩენი სამი კედლის

საფუძველი სამარხის იატაკზე ღრმად არის ჩაჭრილი. სამხრეთით კი იატაკის დონიდან 0,1 მ სიმაღლის მიწის საფეხურია დატოვებული და მასზეა ამოყვანილი ქვის კედელი. თითოეული კედელი ქვის წყობის რვა რიგს შეიცავს. ამდენად, ამ მცირე ნაგებობას არქიტექტურული ფორმაც გააჩნია და ესთეტიკური მხარეც აშკარადაა გამოხატული. სამარხში ერთი მიცვალებული, 50-60 წლის მამაკაცია ჩასვენებული. იგი ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. თავი სამხრეთით უდევს. სახის წინ ჩადგმული აქვს მოზრდილი თიხის ბაღია. იატაკის დონეზე მიწისებური თეთრი პასტის ორი მძივი დადასტურდა.

სამხრეთ კავკასიაში გათხრილი ყველა აკლდამა ნაგებია ბრტყელი ქვით. დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. შესასვლელი სამხრეთიდან აქვთ. ჩრდილოეთი კედელი მორკალურია. ზოგი სამარხი კოლექტიურია (ღრმახევისთავი, კოდა, ამირანის გორის №16 სამარხი, კიკეთი, თამარისი, გომარეთი, გელაროტი, ჰორომი), ზოგიც - ინდივიდუალური (ამირანის გორის №36 სამარხი, კიკეთის №7 სამარხი, დოესი, საფარ-ხარაბა). აკლდამების ნაწილი ქვაყრილითაა დაფარული (გომარეთი, ღრმახევისთავი, დოესი, საფარ-ხარაბა). სამარხების საშუალო ზომა 2,5X1,5 მ; 3X1,8 მ-ია. მათი ნაწილი დიდი ზომის ბრტყელი ლოდებითაა გადახურული (ამირანის გორის №№16,36 სამარხები, ღრმახევისთავი, გომარეთი, კოდა), ნაწილს კი - თაღოვანი გადახურვა გააჩნია (თამარისი, კიკეთის №№ 7, 12 სამარხები). აკლდამებში შესასვლელი სამხრეთიდანაა, ზოგან ქვის ლოდებითაა ჩაკეტილი (გომარეთი); ერთ შემთხვევაში საფეხურებია დაფიქსირებული (თამარისი); ზოგი შესასვლელი ღიაა (კიკეთი), ზოგან კი - ვერტიკალურად ჩამდგარი ლოდებია დაფიქსირებული (ამირანის გორის №№ 16,36 სამარხები). ზოგი სამარხის იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული (კოდა).

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ანალოგიური სამარხები თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით. ჰორომის აკლდამა C₁₄ მეთოდის ანალიზის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. 3350-3050 წწ. და ძვ.წ. 3371-3136 წწ. [Badalyan, Kohl, Stronach, Tonikyan 1994: 14; Badalyan, Edens, Gorny, Kohl 1993: 3], გელაროტისა კი ძვ.წ. 3100-2700 წწ. [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: 20]. ამ თარიღების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საფარ-ხარაბას ქვით ნაგები აკლდამა ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

აღსანიშნავია აზერბაიჯანში, სოიულბულალის სამაროვანზე ქვაყრილიანი ყორღანის ქვეშ დადასტურებული ალიზის აგურით ნაგები აკლდამა, რომელიც 2004-2005 წლებში გაითხარა. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის გარდა ორი უბეიდური ტიპის ჭურჭელი დადასტურდა. ნ. მუსეიბლის აზრით, სამარხი ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Museibli 2010: 40-42].

ძვ.წ. IV ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთისთვის ქვით, ან აგურით ნაგები აკლდამები საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი გამოირჩევიან მდიდარი ინვენტარით და შესაბამისად წარჩინებულთა დასაკრძალავებს წარმოადგენენ. ქვით და აგურით ნაგები მდიდრული აკლდამები პირველად ჩნდება თეფე გავრას XI-VIII ფენებში და ურუქის პერიოდით, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება [Lloyd 1984: 72]. თითოეულში მრავლადაა ფირუზის, ობსიდიანის, სერდოლიკის, ლაზურიტის, სპილოს ძვლის

და ოქროს სამკაული, რომელიც სავარაუდოდ ტანისამოსსა და დიადემებზე იყო მიმაგრებული. როგორც ჩანს, ისინი თემის წარჩინებულ პირებს ეკუთვნოდათ [Lloyd 1984: 93]. თეფე-გავრას აკლდამებთან ახლო პარალელებს პოულობენ მდიდრული ინვენტარის შემცველი, ქვით და აგურით ნაგები კოლექტიური აკლდამები მალათიის რეგიონიდან [Burney 1980: 161]. კორუჯუთეფე B ფენაში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 3500-3000 წწ., აგურით ნაგები ორი აკლდამა აღმოჩნდა. პირველ სამარხში ესვენა ქალი, რომელიც შემკული იყო მრავალრიცხოვანი ქვის და ვერცხლის სამკაულით, რომელთა შორის აღსანიშნავია ვერცხლის დიადემა. მეორე სამარხში ესვენა ორი მიცვალებული – ქალი და მამაკაცი. ორივე შემკული იყო ვერცხლის და სპილენძის სამკაულით [Loon van, Güterbock 1971: 17].

ძვ.წ. 3000-2900 წწ. თარიღდება არსლანთეფეს VI B1 ფენაში აღმოჩენილი ე.წ. „მეფის“ აკლდამა, რომელიც ქვის ფილებით არის ნაგები. კერამიკის ნაწილი ადგილობრივი, გვიანურუქული ტიპისაა, ნაწილი კი – მტკვარ-არაქსული, შავპირილა, ვარდისფერსარჩულიანია. ძირითადი მიცვალებულის გარდა, იქ კიდევ ოთხი ახალგაზრდა მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. მ. ფრანჯიპანეს აზრით, ორი მათგანი შესაძლოა მსხვერპლად იყო შეწირული. სამი მიცვალებული შემკული იყო სპილენძის, ვერცხლის და ოქროს სამკაულით, რომელთაგან აღსანიშნავია ვერცხლის და სპილენძის შენადნობისაგან დამზადებული დიადემები, რომლებიც ქვაცხელას №2 სამარხში აღმოჩენილი დიადემის მსგავსია. ძირითად მიცვალებულს დიდი რაოდენობით ჩატანებული ჰქონდა სამხრეთ კავკასიური წარმომავლობის ლითონის იარაღი, სამკაული და კერამიკა. მ. ფრანჯიპანე ფიქრობს, რომ ძირითადი მიცვალებული უცხოელია, კავკასიელი, თუმცა დიდებული წარმომავლობის და ძველი ელიტის მემკვიდრეცაა [Frangipane 2003: 33-34].

ჩვენი აზრით, აგურით და ქვით ნაგები სამარხები სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც ანატოლიაში, მესოპოტამიური გავლენით და მიბაძვით იგებოდა.

§ 3. ნიშან-სიმბოლოები

ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მტკვარ-არაქსის კერამიკაზე ჩნდება აბსტრაქტული გამოსახულებები, ნიშან-სიმბოლოები (ტაბ. XXVI).

პიქტოგრაფიული გამოსახულებები დატანილია ოზნის [Kuftin 1948: 15], ბემთაშენის [Kuftin 1941: 116], ქვაცხელების, ქვემო არანისის [Shanshashvili 1990: 93; Shanshashvili 1999: 10-11] ნამოსახლარებსა და ამირანის გორის № 36 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭლებზე [Chubinshvili 1963: ტაბ. V]. ნიშან-სიმბოლოებით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები სამხრეთ კავკასიის სხვა ნამოსახლარ-ბიდანაცაა ცნობილი [Shanshashvili 1999: 10-11]. მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე გამოსახული ნიშნები დიდ მსგავსებას იჩენენ უძველესი ცივილიზაციების (შუმერული, პროტოელამური, პროტოინდური, ხეთურ-ლუვიური) იეროგლიფურ დამწერლობებთან [Shanshashvili 2004: ტაბ. I, II].

მიგვაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დადასტურებული ნიშან-სიმბოლოებიც უძველესი დამწერლობის ნიმუშებს

ნარმოადგენენ. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოება განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ასული იყო იმ საფეხურზე, როდესაც ჩნდება დამწერლობის შექმნის მოთხოვნა, თუმცა ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ შეძლო ამ ეტაპის გადალახვა და ნიშან-სიმბოლოები დამწერლობაში ვერ გადაიზარდა [Shanshashvili 1999: 21].

§ 4 მოხატული კერამიკა

სამხრეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურა) ძეგლებზე მოხატული კერამიკა მცირე რაოდენობით გვხვდება. ათიათასობით შავად გამომწვარ ჭურჭლებს შორის მხოლოდ რამდენიმე ათეული მოხატული ჭურჭელია დაფიქსირებული.

საქართველოს ტერიტორიაზე მოხატული ჭურჭლების ფრაგმენტები ნაპოვნია ბემთაშენის [Kuftin 1941: 112, ტაბ. CXXI; Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 43, 44, 48], ოზნის [Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 41], ავრანლოს [Shanshashvili 2010: 148, ტაბ. VII-43], ქვაცხელების [Javakhishvili, Ghloni 1962: 35-36], გუდაბერტყას და ქვემო არანისის [Ghloni 1985: 17-21] ნამოსახლარებზე (ტაბ. XXVII, XXVIII). სომხეთში მხოლოდ შენგავითშია აღმოჩენილი ერთი ეგზემპლარი [Khanzadyan 1969: 155]. აზერბაიჯანში მტკვარ-არაქსული მოხატული ჭურჭელი ჩვენთვის უცნობია.

მოხატულობა შესრულებულია სხვადასხვა ტიპის ჩალისფრად გამომწვარ ჭურჭელზე. დიდი ზომის ჭურჭლების მთელი ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული, ყელი და ზემო ნაწილი წითლადაა შეღებილი, რომელზეც შავი ან მოყავისფრო საღებავით დატანილია მარტივი გეომეტრიული ხასიათის მოხატულობა. მცირე ზომის ჭურჭლებზე წითელი საღებავით შესრულებული ორნამენტი ჩალისფერ ფონზეა დატანილი. ზოგ შემთხვევაში მოხატულობა პოლიქრომულია. გამოყენებულია შავი, ყავისფერი, აგურისფერი და წითელი საღებავი. ორნამენტი წარმოდგენილია გეომეტრიული და ზოომორფული სახეებით. მოხატულობის იკონოგრაფია საკმაოდ პრიმიტიული, ერთფეროვანი და მწირია: ჭურჭლებზე გამოსახულია ასიმეტრიული სამკუთხედები, ფართო სარტყლები, წერტილები, სვასტიკები [Shanshashvili 2007: 227-229].

სამხრეთ კავკასიაში მოხატული ჭურჭელი ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ვრცელდება. ამავე ეპოქაში იწყებს გამოჩენას ცენტრალურ ანატოლიაში [Marro 1997: 51-64]. თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ზემო ევფრატის აუზში, მალათიის და ქებანის მტკვარ-არაქსის//ქარაზის კულტურის ფენებში მოხატული ჭურჭელი მსგავსი მოტივებით, თუმცა უფრო მდიდარი ორნამენტული სახეებით, ჩნდება ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე (ნორშუნთეფე, კორუჯუთეფე, არსლანთეფე, დეგირმენთეფე, ჰან იბრაჰიმ შაჰი, პულური, თეფეჯიქი, იმამოღლუ, იენიქეი) [Marro 1997: 180-181].

სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანის ჭურჭლების მოხატულობაში სჭარბობს ის მოტივები, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის შავპრიალა კერამიკაზე რელიეფურად არის გამოსახული, ან ამოკანრული სახით არის მოცემული. ამდენად, მტკვარ-არაქსის//ქარაზის კულტურის მოხატულობა ავთენტურია და სხვა არქეოლოგიურ კულტურებს

არ ახასიათებს. ხოლო ის ფაქტი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მოხატული კერამიკა იშვიათია, იმაზე მიუთითებს, რომ კერამიკის მოხატვის ტექნიკა სამხრეთული კულტურების გავლენის შედეგია, ოღონდ ამ უკანასკნელისაგან აღებულია მხოლოდ მოხატვის ტექნიკა და არა სტილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მოხატული კერამიკა მალათიის რეგიონთან გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგად გავრცელდა.

§. 5. რქისებური სადგრები

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელია ე.წ. რქისებური სადგრები (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, ქულბაქები, არიჭი და სხვ.). მცირე ზომის რქისებური შვერილებით შემკული სადგრები ნაპოვნია მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრებელ სახლებში. ისინი უფრო ხშირად კერაში, ან კერასთან ახლოს იდგნენ. მეცნიერთა ნაწილი მათ სამსხვერპლოებად ან საკურთხევლებად მოიხსენიებს.

სადგრები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, აქვთ ბრტყელი ძირი და ორი ან ოთხი შვერილი, რომელთა გამო მიიღეს კიდევ სახელწოდება. მათ დიდ უმრავლესობას მომრგვალებულ კიდებზე ნახვრეტი აქვთ გაკეთებული (ტაბ. XXXI, XXXII).

რქისებური სადგრები გავრცელებული იყო შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სომხეთში და ანატოლიაში. ისინი გვხვდება ისეთ ძეგლებზე როგორცაა: ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, ზემო ავჭალა, ღრმახევისთავი, ოზნი, ზველის „რაბათი“, ლოდობანა, ამირანის გორა, არიჭი, ქარაზი [Kikvidze 1972: 42; Javakhishvili, Ghloni 1962: 10, ტაბ. IV – 336, 337; Pkhakadze 1963: სურ. 13-3; Abramishvili, Giguashvili, Khakhiani 1980: 50, 71, სურ. 207, 396, Orjonikidze 1983: ტაბ. 32; Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 32-33, ტაბ. 22-33; Khachatryan 1975: 78, ნახ. 38; Diamant, Rutter 1969: სურ. 11-ა-დ]. ახლო აღმოსავლეთში რქისებური შვერილებით შემკული საკურთხევლები ხალაფური პერიოდიდან (ძვ.წ. VI ათასწლეული) გვხვდება მერსინში [Diamant, Rutter 1969: სურ. 18, 22]; უბეიდურ და ადრე ურუქულ პერიოდში (ძვ.წ. V ათასწლეულის მიწურული და IV ათასწლეულის დასაწყისი) გავრცელებულია მერსინში, თეფე გავრასა და ტელ ბრაკში [Diamant, Rutter 1969: სურ. 19-21, 23, 28]; ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში გვხვდება ალიშარში [Diamant, Rutter 1969: სურ. 16, 29], ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კი ნუზიში და ბეიჩესულთანში [Diamant, Rutter 1969: სურ. 25-27, 31]; ურუქული პერიოდიდან (თეფე გავრა) გამოსახულია გლიპტიკაზეც [Diamant, Rutter 1969: სურ. 35]. რქისებური სადგრები მცირე ზომის ამულეტების სახითაც გვხვდება. ახლო აღმოსავლეთში ისინი ჯერ კიდევ ხალაფური პერიოდიდან იყო გავრცელებული [Goff 1963: 154]. ასეთი ამულეტები ნაპოვნია თეფე გავრას XI ფენაში [Goff 1963: ნახ. 562], აგრეთვე ტელ-ბრაკში [Goff 1963: ნახ. 667-668].

რქისებური საკურთხევლები და სადგრები ყველაზე მეტად მინოსური ცივილიზაციისათვის არის დამახასიათებელი. გარდა მცირე და დიდი ზომის

რქისებური საკურთხევლებისა, ეგეოსურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული მათი გამოსახულებები გლიპტიკაზე, რელიეფებზე და ფრესკებზე [Diamant, Rutter 1969: 171, სურ. 36-45]. როგორც ჩანს, რქისებური საკურთხევლები დაკავშირებული იყო ხარის და ნაყოფიერების კულტთან, რომელიც ადრე ნეოლითიდან დასტურდება ანატოლიაში (გობეკლი, ნევალი ჩორი, ჩათალ ჰუიუქი). სხვადასხვა სახის რიტუალებში ისინი შემდგომშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი რქისებური სადგრების ფუნქციის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ბ. კუფტინი, ადარებდა რა მტკვარ-არაქსულ რქისებურ სადგრებს კრეტა-მიკენურ სამყაროში გავრცელებულ სამსხვერპლოებს, მიიჩნევდა რომ ორმაგი ცულის მაგივრად მტკვარ-არაქსულ სადგრებზე ჩიჩილაკის მაგვარი რამ უნდა ყოფილიყო დამაგრებული [Kuftin 1948: 70-77]. ი.კიკვიძე საკვებით დასაშვებად მიიჩნევდა, რომ რქისებურ სადგრებში ხის ფეტიში, ან ანთებული კვარი ყოფილიყო ჩამაგრებული [Kikvidze 1976: 193].

§ 6. გლიპტიკა

ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ჩნდება სხვადასხვა ტიპის თიხის საბეჭდავები, რომლებიც მსგავსებას იჩენენ ახლო აღმოსავლურ გლიპტიკასთან.

სამხრეთ კავკასიაში საბეჭდავებიც მცირე რაოდენობით გვხვდება. ისინი აღმოჩენილია: 1. გუდაბერტყაზე, 2. ქვემო არანისში, 3. გრაკლიან გორაზე, 4. ბერიკლდეებზე, 5. თალინსა და 6. ყალჩაღბიურში.

1. გუდაბერტყა. ნამოსახლარის მტკვარ-არაქსის კულტურის ფენაში, ერთ-ერთი სათავსოს სამსხვერპლოს მახლობლად ნაპოვნი იყო კონუსური ტიპის თიხის საბეჭდავი [Lortkipanidze 1969: 20, 70]. საბეჭდავის ტანი ამოღარული ხაზებით დაყოფილია ხუთ ფრიზად, რომლებიც სამკუთხედების რიგით არის შევსებული. კონუსის თავზე გამოსახულია რქებგაშლილი ირემი, რომლის რქები ბორჯღალში გადადის. საბეჭდავის ფუძე ამოღარულია (ტაბ. XXXIV₃₋₅).

მსგავსი იკონოგრაფიით შემკული კონუსური და შტამპური საბეჭდავები აღმოჩენილია ირანში, ტალ-ი ბაკუნ A ნამოსახლარზე ძვ.წ. 4100-3700 წწ. დათარიღებულ ფენაში [Langsdorff, McCown 1942: 67, ტაბ. 8-12, 82-5]. ტალ-ი ბაკუნში აღმოჩენილ ჭურჭლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ამ საბეჭდავების ანაბეჭდები [Langsdorff, McCown 1942: 67, ტაბ. 7-12, 18]. მსგავსი გამოსახულება გვხვდება აგრეთვე ცილინდრულ საბეჭდავებზე, რომლებიც აღმოჩენილია სირიაში, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ ტელ-ხაზნას ადრე ბრინჯაოს ეპოქის სამლოცველოში [Munchaev, Merpert 1997: 22-23, ნახ. 20-4]. ტელ ხაზნას სატაძრო კომპლექსის ძირითადი ნაწილი ადრე-დინასტიურ I-III პერიოდებს ეკუთვნის და ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება [Munchaev, Merpert 1997: 23]. საბეჭდავები თითქმის ანალოგიური მოტივით ნაპოვნია სამხრეთ მესოპოტამიაში, ქიშის ეანათუმას პერიოდის სამაროვნის სამარხებში, რომლე-

ბიკ ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Mackay 1929: 190, ტაბ. XLI-11,12].

გუდაბერტყას კონუსის მომრგვალებულ თავზე გამოსახული ასტრალური სიმბოლო (ბორჯღალი) გვხვდება პულურში ნაპოვნი შტამპური საბეჭდავების სამუშაო პირზე, აგრეთვე ამავე ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჭურჭლების შემკულობაში [Koşay 1976: 84, 86 88, 189-190].

2. ქვემო არანისი. თიხის შტამპური (ტაბ. XXXIII₄) საბეჭდავი აღმოჩნდა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ ნამოსახლარზე გათხრილ საკულტო ორმოში, რიტუალთან დაკავშირებულ სხვა არტეფაქტებთან ერთად [Ghlonti 2006: 53-54, ტაბ. VII]. მსგავსი შტამპური საბეჭდავები გვხვდება ანატოლიაში, პულურის ნამოსახლარზე, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ ფენებში [Koşay 1976: 128-130, ტაბ. 69-353].

3. გრაკლიანი. მრავალფენიანი ნამოსახლარი მდებარეობს კასპის რაიონის სოფ. იგოეთისა და სოფ. სამთავისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე აღმართულ ბორცვზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის პირას. 2008 წელს გამოვლინდა ძვ.წ. 1100-900 წწ. დათარიღებული საკურთხეველი, რომელთანაც აღმოჩნდა ორი საბეჭდავი, ერთი მათგანი კონუსურია (ტაბ. XXXIV_{1,2}), მეორე კი შტამპური (ტაბ. XXXIII₁).

კონუსური საბეჭდავი დამზადებულია ღია ფერის, კარგად განლექილი თიხისაგან. მისი სიმაღლე - 5,2 სმ-ია, ძირის დმ - 2,8 სმ., ხოლო ზედა სიბრტყის დმ - 1,6 სმ-ია. საბეჭდავის ზედაპირი გეომეტრიული მოტივებითაა შემკული, თავზე კი ჯვარია გამოსახული. ვ. ლიჩელი და ნ. სამსონია ამ საბეჭდავის ანალოგს ჯემდეთ-ნასრის სტილის IV ჯგუფის საბეჭდავებთან ხედავენ. მათი ვარაუდით, ეს საბეჭდავი მესოპოტამიური წარმომავლობისაა და მისი ადრეული თარიღი ეჭვს არ უნდა იწვევდეს [Licheli, Samsonia 2010: 183]. ვ. ლიჩელის და ნ. სამსონიას აზრით ის შემდგომ სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, ხოლო მისი მოხვედრა ძვ.წ. 1100-900 წწ. დათარიღებულ ტაძარში ახსნილია იმით, რომ გვიანდელ ტაძრებში ადრეული საბეჭდავების მოხვედრა, იმ ეპოქისათვის ტიპური მოვლენაა [Licheli, Samsonia 2010: 183].

შტამპური საბეჭდავი დამზადებულია ღია ფერის, მოთეთრო ქვიშაქვისაგან. წრიული მარყუჟი მართკუთხა ზედაპირზეა ამოყვანილი. საბეჭდავის სიმაღლე 3,2 სმ, მარყუჟის სიმაღლე 2,2 სმ, ხოლო სამუშაო ზედაპირი 3,6X3,4 სმ-ია. სამუშაო ზედაპირზე სხივებიანი მართკუთხედი - “გასხივოსნებული ღმერთის სახლია” გამოსახულია, რომელშიც ორი ფიგურა, სავარაუდოდ თევზები ჩანს. ამ საბეჭდავსაც ანალოგები ჯემდეთ-ნასრის პერიოდის მესოპოტამიაში ეძებნება და შესაძლოა ძვ.წ. 3000-2800 წწ. დათარიღდეს [Licheli, Samsonia 2010: 182-183].

4. ბერიკლდეები. კონუსური საბეჭდავი (ტაბ. XXXIII₃) აღმოჩნდა ბერიკლდეების ნამოსახლარის ბედენის კულტურის ფენაში. საბეჭდავი დამზადებულია მაგარი ჯიშის მონითალო ქვისაგან (კაჟი?). ზედაპირზე დიდი და პატარა კონცენტრული წრეებია გამოსახული, ხოლო მომრგვალებულ ფუძეზე, შუაში ერთი წრე, მის ირგვლივ კი ექვსი კონცენტრული წრეა ამოყვანილი [Jalabadeze 1998: ტაბ. X-20]. ანალოგიური ორნამენტით არის შემკული ბედენის № 10

გორასამარხში აღმოჩენილი ლითონის აბჯრის უმბონი [Gobejishvili 1981: 99, სურ. 39]. სადულას № 2 ყორღანში ნაპოვნია სამი ოქროს მიძივი [Dedabrishvili, Rusishvili 1984: 58], რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი საბექდავად მიიჩნევს [Pili-posyan 1998: 121, ტაბ. 53]. მათი ზედაპირი შემკულია კონცენტრული წრეებით, ხოლო ფუძეზე, რომლის დიამეტრი 27 მმ ტოლია, მოცემულია პატარა წერტილებით შესრულებული ორი წრე. მათ გარშემო რვა კონცენტრული წრეა გამოსახული [Dedabrishvili, Rusishvili 1984: ტაბ. XXXI-1-3]. ორივე ეს ყორღანი ბედენის კულტურას მიეკუთვნება. თრიალეთის კულტურაში მსგავსი დეკორით არის შემკული ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული შტანდარტის (?) ნაწილი თრიალეთის VI [Kuftin 1941: ტაბ. XCIX] და ოქროს მრგვალი ფირფიტა XVII ყორღანებიდან [Kuftin 1941: ტაბ. CIII], აგრეთვე შემთხვევით მოპოვებული ოქროს მედალიონი უზუნლარიდან [Kuftin 1941: 99, სურ. 106].

მეცნიერთა ვარაუდით წრეში ჩახაზული წრეები მზის ღვათაების - შამაშის სიმბოლოს წარმოადგენდა [Lilyquist 1994: 19-28]. შვიდი, ან რვა წრით შემკული ოქროს მედალიონები გავრცელებული იყო ძველი ბაბილონური ხანის სირია-მესოპოტამიაში (დილბათი, ებლა, ლარსა). ამ მედალიონების მსგავსი რელიეფური გამოსახულება გვხვდება წნორის I ყორღანში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე [Dedabrishvili 1979: ტაბ. XX-1, ტაბ. XXVIII-1], რომელიც ბედენურ კულტურას მიეკუთვნება; ხოლო თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის V ყორღანში კი ეს ორნამენტი უკვე მოხატულობის სახით არის წარმოდგენილი [Kuftin 1941: ტაბ. XXVIII-1]. როგორც ჩანს, ამ სიმბოლოს – წრეში ჩახაზულ წრეებს, სამხრეთ კავკასიაშიც საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

5. თალინი. თიხის შტამპურ საბექდავზე შევრონებიანი ჯვარია (ტაბ. XXXIII₃) გამოსახული. საბექდავი აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის საკულტო მოედანზე ქ. თალინთან, რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Badalyan, Avetisyan 2007: 243-247; Avetisyan, Muradyan, Sargsyan: 2010: 161-165].

6. ყაღჩაღბიური. თიხის შტამპურ საბექდავს (ტაბ. XXXIII₂) მიაკვლიეს მტკვარ-არაქსის ეპოქით დათარიღებულ სამაროვანზე (ინფორმაცია მოგვანოდა ისტ. მეცნ. დოქტორმა რ. ბადალიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ). საბექდავზე შევრონებიანი ჯვარია გამოსახული. მსგავსი შტამპური საბექდავები გავრცელებული იყო ირანში, ძვ.წ. V ათასწლეულიდან. თალინის და ყაღჩაღბიურის საბექდავებს ახლო პარალელები ეძებნებათ ირანში. თითქმის ანალოგიური მოტივით შემკული შტამპები აღმოჩენილია სუზა I-ში [Le Breton 1957: 92, ნახ.8-2], ტალ-ი ბაკუნ A-ში [Langsdorff, McCown 1942: ტაბ. 81-18; Alizadeh 1988: 21, ტაბ. I], თეფე გიანში [Cool Root 2005: 153, სურ. 46], ფარუხაბადში [Cool Root 2005: 140, სურ. 2], თეფე გავრაში, თეფე ჰისარში, თეფე ჯაფარაბადსა და სეჰ გაბიში [Rempel 2005: 42-44] და ძვ.წ. 4500 - 3700 წწ. თარიღდება [Cool Root 2005a: 3]. ოთხკუთხა შტამპური საბექდავი ანალოგიური გამოსახულებით დადასტურებულია თეფე გიანში [Cool Root 2005b: 159-160, სურ. 73]. თეფე გიანში აღმოჩენილია აგრეთვე მრგვალი შტამპური საბექდავები, რომლებსაც ოდნავ განსხვავებული დიზაინი აქვთ [Cool Root 2005b: 154, სურ. 48, 49].

შტამპურ საბეჭდავებზე დატანილი სწორფრთიანი ჯვრის გამოსახულება, რომლის სექტორებიც შევრონებით არის შევსებული, დომინირებს ჩრდილო-დასავლეთ ირანის და ლურისტანის პროვინციებში. სხვა გეომეტრიულ მოტივებთან შედარებით ის იმდენად ხშირადაა მოცემული, რომ დ. ჰ. კოლდუელმა შემოიღო ტერმინი “ლურისტანული ჯვარი” [Rempel 2005: 44]. ჯ. რემპელის აზრით, ჯვრის მოტივიანი საბეჭდავების სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ის მხოლოდ პროვინციის დამადასტურებელი მონუმობას კი არ წარმოადგენს, არამედ ისინი მაღალი სტატუსის დაწესებულებებშიც (ტაძარი, სამლოცველო) გამოიყენებოდა.

როგორც ვხედავთ, სამხრეთ კავკასიაში დადასტურებული ადრებრინჯაოს ხანის საბეჭდავების რიცხვი საკმაოდ მცირეა. თითქმის ყველა მათგანი საკულტო ადგილებშია ნაპოვნი, რაც მათ საკრალურობაზე და მხოლოდ რიტუალურ ცერემონიებში გამოყენებაზე უნდა მეტყველებდეს.

§ 7. ნაცარგორას ჰორელიეფი

თიხის ანთროპომორფული ჰორელიეფი (ტაბ. XXXV) შიდა ქართლში, ნაცარგორის ნამოსახლარზე აღმოჩენდა. ნაგებობა, სადაც ჰორელიეფი გამოვლინდა, ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიეკუთვნება და კერამიკული მასალის მიხედვით ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება [Shanshashvili, Ramishvili 2010: 115-125; Shanshashvili, Ramishvili 2009-2010: 87-98].

ჰორელიეფი დაზიანებულია (ტაბ. XXXV₃). მისი სავარუდო სიმაღლე 45 სმ-ია, სიგანე 31 სმ. ის დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და მოჩაღისფროდ არის გამომწვარი. ზედაპირი კარგად არის გაპრიალებული. ჰორელიეფის ზედა ნაწილი მომრგვალებულია და შემკულია შვიდი შვერილით. შუა, ყველაზე მაღალი შვერილი ჰორელიეფს ორ, სიმეტრიულ ნაწილად ჰყოფს. შუა შვერილიდან დაშვებული ქედის ორივე მხარეს ფოსოებია განლაგებული, მარცხენა ფოსოში ობსიდიანის „თვალი“ (ტაბ. XXXV₂) ჩადგმული (მეორე „თვალი“ დაკარგულია). ქედის ორივე მხარეს რელიეფური, კონცენტრული წრეებით შედგენილი „სპირალებია“ გამოსახული. ჰორელიეფის მარჯვენა მხარეს გამოსახული სპირალის ცენტრში ობსიდიანის „თვალი“ და „ნამწამებია“ ჩასმული (ტაბ. XXXV).

ნაცარგორას ნამოსახლარზე აღმოჩენილ ტერაკოტულ ჰორელიეფს სამხრეთ კავკასიაში ანალოგები არ გააჩნია. ჰორელიეფი სტილისტურ მსგავსებას იჩენს ანატოლიაში, პულურის ნამოსახლარზე (ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი) მტკვარ-არაქსის//ქარაზის კულტურის ფენებში (IX-X ფენები) აღმოჩენილ თიხის დიდ ჭურჭლებზე გამოსახულ, მაღალ რელიეფში შესრულებულ, ანთროპომორფულ გამოსახულებებთან [Koşay 1976: ტაბ. 83-^{58,59}; 85-^{51,69,70}]. ამავე ნამოსახლარზე გამოვლენილია თიხის ანთროპომორფული კერები, რომლებსაც რელიეფური სპირალებით შესრულებული თვალები და პირი აქვთ. სტილისტურად ეს სახეებიც დიდ მსგავსებას იჩენენ ნაცარგორას ჰორე-

ლიეფთან [Koşay 1976: ტაბ. 19-1; 21-1,3]. ნაცარგორის გამოსახულება ასევე მსგავსებას იჩენს ძვ.წ. IV-III ათასწლეულის მიწნით დათარიღებული ტელ-ბრაკის „თვალის ტაძარში“ აღმოჩენილ მცირე ზომის ანთროპომორფულ ქანდაკებებთან [Goff 1963: სურ. 657-660] და მარიში აღმოჩენილ ალუბასტრის სტელასთან [Fortin 1999: სურ. 295]. ნაცარგორას ჰორელიეფი გარკვეულ სტილისტურ მსგავსებას იჩენს ადრედინასტიური ხანის ცილინდრულ საბეჭდავებზე გამოსახულ ანთროპომორფულ ფიგურებთან [Fossey 2001: 45-56]. მესოპოტამიური გლიპტიკის ამ პერსონაჟთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ანატოლიაში, არსლანთეფე VI ფენის (ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული) შენობის შესასვლელში საღებავით შესრულებული გამოსახულება. ამ ფიგურას გაჩეჩილი თმა და ფოცხისებური ხელები აქვს [Frangipane 1997: 48, სურ. 14; Frangipane 2003: 26].

ნაცარგორაზე აღმოჩენილი ჰორელიეფის ფუნქციის დადგენა ძალზე ძნელია. ცნობილია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან, კერძოდ ადრედინასტიური პერიოდიდან ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე მესოპოტამიაში გავრცელებული იყო მაღალრელიეფური ტერაკოტული და ქვის ვოტივური ფირფიტები ან ნიღბები, როგორც ჩანს გარკვეული ღვთაებისადმი მიძღვნილი გამოსახულებები, რომლებიც განთავსებული იყო სახლების ან საკურთხევლების კედლებზე. მათ შორის იყო ღვთაებების გამოსახულებები, მითოლოგიური, ან საკულტო სცენები, აგრეთვე სხვადასხვა დემონების გამოსახულებები და ნიღბები, რომლებიც სახლს ავი სულებისაგან იცავდნენ [Fossey 2001: 19, 46].

შესაძლოა ნაცარგორას ჰორელიეფი ასევე კედელზე იყო ჩამოკიდებული, ანდა პოსტამენტზე იდგა. არ არის გამორიცხული, რომ იგი გარკვეულ რიტუალებში გამოიყენებოდა როგორც ნიღაბი.

ამრიგად, ნაცარგორის ჰორელიეფი ტიპოლოგიურად უახლოვდება მესოპოტამიურ „პლაკეტებს“, თუმცა სტილისტურად დიდ მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ ანატოლიაში (პულური, არსლანთეფე) აღმოჩენილ ანთროპომორფულ გამოსახულებებთან.

თავი II. შუა ბრინჯაოს ხანა. თრიალეთის კულტურა

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას შუაბრინჯაოს ხანის კულტურები ცვლის. ამ დროს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩნდება ახალი ელემენტები, რომელთა ერთობლიობა „ბედენის კულტურის“ სახელითაა ცნობილი. ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა ვრცელდება. მისი არეალი შედარებით მცირეა, თუმცა, სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების საზღვრებს ემთხვევა (ტაბ. I).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე გვხვდება სხვადასხვა სახის ნივთი, რომელიც მონიშნავს სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის ურთიერთობას სირია-მესოპოტამიასთან, ირანთან და შესაძლოა, ეგვიპტესთან. თრიალეთის, ბედენისა და მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სამკაული მსგავსებას იჩენს შუმერულ და სირიულ, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ, სამკაულთან [Kuftin 1941; Japaridze 1969; Puturidze 2005]. თრიალეთური ტორეცტიკა და მოხატული კერამიკა ახლო პარალელებს პოულობს ირანში, ხოლო თრიალეთის და ყარაშამშის ვერცხლის თასებზე გამოსახული საყოფაცხოვრებო საგნები (მაგიდები, სკამები, ჭურჭელი) ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე სირია-მესოპოტამიაში გავრცელებულ ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული და საკულტო პრაქტიკაში დადასტურებული ნივთების ანალოგიურია [Narimanishvili D. 2010a; Narimanishvili D. 2010b].

§ 1. გზიანი ყორღანები

სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ჩნდება სიახლეების მთელი რიგი. მათ შორის აღსანიშნავია „მეფეთა“ და წარჩინებულთა „ბრწყინვალე ყორღანები“, რომლებსაც სარიტუალო-საპროცესიო გზები აქვთ [Narimanishvili 2000; Narimanishvili 2004a]. ეს გრანდიოზული დასაკრძალავები შეიცავენ მდიდრულ სამკაულს (ტაბ. XLIII, XLIV), ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ ჭურჭელს (ტაბ. XLI, XLII), იარაღს, ქსოვილებს, ორნამენტირებულ კერამიკას (ტაბ. XLVI) და ხის ნაკეთობებს.

სარიტუალო გზები XX ს-ის ბოლოს აღმოჩენდა. 1999-2000 წლებში ნალკის წყალსაცავში წყლის დონის დაკლებამ ბ. კუფტინის მიერ ამ ტერიტორიაზე XX ს-ის 30-იან წლებში გათხრილი ყორღანების გამოვლენა გამოიწვია. ზოგიერთ ყორღანთან მკაცრად აღმოსავლეთის მხრიდან მიდგმული, დიდი ზომის ბაზალტის ქვებით მოკირწყლული გზა დაფიქსირდა. ასეთი გზები აქვთ ბ. კუფტინის მიერ გათხრილ III, VI, VIII, XV, XVII და გაუთხრელ ყორღანებს (ტაბ. XXXVI-XXXVII). ქვით მოკირწყლული გზები დაფიქსირდა ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილ ზურტაკეტის ყორღანებთანაც [Narimanishvili G. 2009: 44].

გზების სიგრძე 40 მ-დან 500 მ-მდე მერყეობს, სიგანე კი 4-7 მ-ს უდრის. მაგ. თრიალეთის XLVII ყორღანთან გზის დაფიქსირებული სიგრძე 356 მ., სიგანე – 6 მ-ია (ტაბ. XXXVI₁, XXXVII₂). ზურტაკეტის № 6 ყორღანის (ტაბ. XXXVII_{1,3}) შემორჩენილი სიგრძე 400 მ-ს აღწევს. ყველა ყორღანის ყრილს ქვით მოკირწყლული გზა უშუალოდ ყორღანს აღმოსავლეთიდან ებჯინება (ტაბ. XXXVI₂). მის გაგრძელებას, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს გრძელი დრომოსი, რომელიც გზის დასასრულს, ყორღანს ყრილიდან იწყება და სამარხ ნაგებობაში შედის [Narimanishvili G. 2009: 44-45]. ქვით მოკირწყლული გზები ყორღანთა ორგანული ნაწილია. ისინი, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული (ტაბ. XXXVII₁) და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა [Narimanishvili G. 2009: 65]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თრიალეთის როგორც ორმოიან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორღანებში მიცვალებული, ან მისი ფერფლი, ალბათ დრომოსით, უკვე გადახურულ „დასაკრძალავ დარბაზში“, ეტლში შებმული ხარებით შეჰქონდათ და ამ ეტლიანად მარხავდნენ“ [Kuftin 1941: 81, 143; Japaridze 1969: 68]. ალბათ, ეტლი სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა [Narimanishvili G. 2009: 65].

სამხრეთ კავკასიაში უძველესი სარიტუალო-საპროცესიო გზები ბედენის კულტურის ყორღანებთან არის დაფიქსირებული და ისინი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნებიან. ასეთი გზები განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული თრიალეთის კულტურაში [Narimanishvili G. 2009: 63-64].

თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებულ სარიტუალო გზებს ყორღანული კულტურების არეალში ანალოგები არ მოეძებნება. ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ ძველ სამყაროში დადასტურებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან, რომელთაგან განსაკუთრებულ სიახლოვეს ეგვიპტის პირამიდებთან (ტაბ. XXXVIII-XXXIX) არსებულ „აღმავალ გზებთან“ ამჟღავნებენ [Stadelmann 1991: 123-126, 136-138, 150-178, 189-214, სურ. 42-43, ნახ. 29, 52-68; Zamarovski 1986: 111, 285-296, 313-325]. ჯერ კიდევ ჰეროდოტე მოესწრო გზას, რომელიც მიემართებოდა ხეოფსის პირამიდის ზედა ტაძრიდან ქვედა ტაძრისკენ. მისი სიგანე 18 მეტრს აღწევდა და განყოფილი იყო მოპირკეთებული ფილებით. ეს გზა XIX საუკუნის ბოლოს გაქრა [Zamarovski 1986: 261]. ძველი სამეფოს თითქმის ყველა დინასტიის ფარაონი თავის პირამიდასთან აგებდა „აღმავალ გზას“. ეგვიპტოლოგები თვლიან, რომ ძველი ეგვიპტელების მისწრაფება პირამიდების სწორი ორიენტაციისაკენ დაფუძნებული იყო რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, რომელთა მიხედვით, გარდაცვლილი მეფე (შესაძლოა მისი „კა“) ადის ვარსკვლავებთან, სადაც იკავებს ადგილს ჩრდილოეთ პოლუსის თავზე. ამ წარმოდგენების შესაბამისად, ძველი სამეფოს ყველა პირამიდის შესასვლელი დერეფანი უშუალოდ ჩრდილოეთზეა ორიენტირებული, რათა შეემსუბუქებინა გარდაცვლილი ფარაონის აღმავალი გზა პოლარული ვარსკვლავისაკენ [Zamarovski 1986: 300].

„აღმავალი“ გზები საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგალითად, ფარაონ უნისის პირამიდისკენ მიმავალი 670 მეტრის სიგრძის და 6,7 მეტრის სიგანის გზა ქვის კედლებითაა შემოზღუდული, რომლებიც 3,2 მეტრის სიმაღლეზე ქვის ბლოკებით იყო გადახურული. კედლების შიდა მხარე ბრძოლისა და ნადირო-

ბის სცენების რელიეფური გამოსახულებებით იყო დაფარული. მენტუხოტეპ I-ის პირამიდა და მთელი კომპლექსი შემოზღუდული იყო ქვის კედლით. აღმოსავლეთის მხრიდან ტაძრის ტერასისკენ მიდიოდა პანდუსი, საიდანაც იწყებოდა 1200 მ. სიგრძის და 33 მ. სიგანის ქვით მოკირწყლული გზა, რომელიც ქვედა ტაძრისკენ მიემართებოდა [Zamarovski 1986: 305,325]. ლარსას დინასტიის ეპოქის ურში არსებობდა საპროცესიო გზა, რომელიც მიემართებოდა ეთემენიგურუს ზიკურატისკენ [Dyikonov 1990: 23, სურ. 1].

გრანდიოზული საპროცესიო გზა არსებობდა ბაბილონშიც. მისი სახელი იყო „აიბურმაბუ“, რაც ნიშნავდა „დაე, არ არსებობდეს მტერი“. გზის გასწვრივ არსებული 2,95 მ. სიმაღლის კედლები მოპირკეთებული იყო „ჩუქურთმიანი ფრიზით“, რომელზეც გამოსახულია ვარდულები და იშთარის წმინდა ცხოველები – ლომები. საპროცესიო გზა მიუყვებოდა იშთარის კარიბჭიდან მარდუქის ტაძრამდე. გზა იწყებოდა ქალაქის გალავნის გარეთ. ქალაქგარეთ გზის სიგრძე 250 მეტრი იყო, სიგანე კი 20-24 მეტრს უდრიდა. გზა ნაბუქოდონოსორ II-მ გაიყვანა, რის გამოც არაერთ წარწერაში ტრაბახობდა [Klengel-Brandt 1991: 132-133].

სარიტუალო გზები ხეთურ სამლოცველოებთან და დასაკრძალავებთანაც არის დადასტურებული. ანკარასთან, გიაურ-ყალეში აღმოჩენილი სამარხი მდებარეობს ბორცვზე, რომელიც ციკლოპური კედლითაა გარშემორტყმული. მისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, ბუნებრივ კლდეზე შესრულებულ რელიეფზე გამოსახულია მჯდომარე ქალღმერთი, რომლის წინ ორი ფიგურა დგას. ზედა პლატოზე დასაკრძალავი ნაგებობა იყო გამართული. ნერილობითი წყაროების მიხედვით, ასეთი იყო სამეფო დასაკრძალავები, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს [Macqueen 1983: 132-136]. წმინდა გზა მიემართებოდა ტაძრისკენ ბოლაზ-ქოიში [Neve 1993: 17-18].

ა.მ. როტი და კ. რიდერი თვლიან, რომ ქვაფენილები ეგვიპტის პირამიდებთან მეოთხე დინასტიის ეპოქაში ჩნდება, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება ეგვიპტის ისტორიაში, რომლის გამოვლინებაც ნათლად ჩანს არქიტექტურაში, სკულპტურასა და ხელოვნების სხვა დარგებში [Reader 2004: 68; Roth 1993: 33]. მეოთხე დინასტიის დანყება ძველ ეგვიპტეში აღინიშნა მთელი რიგი რადიკალური გარდამტეხი მოვლენებით, რომლებიც აისახა ახალი სახის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მასალაში, სამეფო პირამიდებსა და მათ ირგვლივ მდებარე დასაკრძალავ კომპლექსებში.

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ამ ეპოქაში იცვლება პირამიდების ორიენტაცია. თუ მესამე დინასტიის დროს დასაკრძალავი დარბაზი და შესასვლელი ჩრდილოეთ - სამხრეთის ხაზზე იყო განლაგებული, მეოთხე დინასტიიდან აღმოსავლეთ-დასავლეთის ორიენტაცია მიიღო. ახალი ორიენტაცია მზის ამოსვლისაკენ იყო მიმართული. ითვლება, რომ ეს ცვლილებები პირველად მეიდუმში (ძვ.წ. 2575 წ.), შემდეგ კი დაჰშურში (ძვ.წ. 2560 წ.) განხორციელდა [Reader 2004: 68]. ახალი სტილის პირამიდები ადიდებდნენ მეფეს, როგორც მზის მისტიურ სიმბოლოს [Roth 1993: 33]. რ. შტადელმანის აზრით პირამიდები წარმოადგენენ მონუმენტებს, რომლებიც სამეფო ძალაუფლების ძლიერებას გამოხატავენ [Stadelmann 1991; Roth 1993: 33].

კ. რიდერი, საკარაში ჩატარებულ გეოფიზიკურ გამოკვლევებზე დაყრდნობით თვლის, რომ ძველი სამეფოს ეპოქაში კლიმატი გაცილებით არიდული იყო. გამშრალი მდინარის კალაპოტი – ვადი, რომელიც საკარის მახლობლად მდებარებს, მეოთხე და მეხუთე დინასტიების ეპოქაში მდინარეს წარმოადგენდა, ხოლო საკარას პლატო, სადაც პირამიდებია განლაგებული, მაშინაც უდაბნო იყო. თითქმის ყველგან პირამიდის გზა მდინარისკენ, ან გამშრალი კალაპოტისკენ - ვადისკენაა მიმართული. ხეოფსის (ძვ.წ. 2551-2528 წწ.) დროიდან გზები გადახურული იყო, ხოლო კედლებზე გამოსახული იყო მინათმოქმედები, ხელოსნები, ეგვიპტელების ბრძოლის სცენები, ფარაონები და ღმერთები, ყველაფერი ის, რაც წესრიგს განასახიერებდა, ქაოტური უდაბნოს სანინააღმდეგოდ, სადაც ბოროტება სუფევდა. ეს გამოსახულებები, კ. რიდერის აზრით დამცავი ხასიათის იყო. გზა არა მხოლოდ ფიზიკური ხაზი, არამედ სიმბოლური დამცავი ზღუდე იყო, რომელიც წესრიგს ქაოსისაგან იცავდა. იგივე სიტუაცია დასტურდება აბუსირში და დაჰშურში. იქაც პირამიდის გზა მდინარისკენაა მიმართული. კ. რიდერის აზრით, გზა გამოყოფს ნაყოფიერ, „შავ მიწას“ ქაოსისგან, რომელსაც უდაბნო, ანუ „ნითელი მიწა“ განასახიერებს [Reader 2004: 70-71].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიური სარიტუალო გზები არ არის მიმართული მდინარისაკენ, ან საერთოდ წყლისაკენ. თრიალეთის ყორღანების სიახლოვეს მდინარეცაა და ტბებიც, მაგრამ არცერთი გზა მათზე არ არის ორიენტირებული. ასევეა ზურტაკეტში, სადაც ყორღანები მდინარისპირა პლატოზეა გამართული. თრიალეთის კულტურის ყორღანების ყველა სარიტუალო-საპროცესიო გზა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი და მზეზეა ორიენტირებული. დრომოსები, ან ყორღანში შესასვლელი მზის ამოსვლაზე, პირველი სხივებისაკენაა მიმართული. სარიტუალო-საპროცესიო გზები მკაცრად აღმოსავლეთით, მზეზეა ორიენტირებული. როგორც ჩანს, დაკრძალვის ცერემონიის ერთი ნაწილი სარიტუალო გზაზე ხორციელდებოდა. სამგლოვიარო პროცესია, ხარებშებმულ ურემზე დასვენებულ მიცვალებულს აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიასვენებდა და დასაკრძალავი კამერისაკენ მიემართებოდა.

კვლევის ამ ეტაპზე ძნელია დაკრძალვის რიტუალის სრული სურათის აღდგენა, მაგრამ გათხრების შედეგად დაფიქსირებული მონაცემები აშკარად მიუთითებენ, რომ დაკრძალვის შემდეგ მიცვალებული აღმოსავლეთითაა მიმართული. რა დროს ხდებოდა ასეთი ცვლილება მთლად ნათელი არ არის. ვფიქრობთ, რომ დრომოსთან ან ყორღანის ყრილთან სრულდებოდა გარკვეული რიტუალი, რომლის დროსაც ხდებოდა ხარების გამოსხნა ურმიდან; შემდეგ, ხდებოდა ურმის შემობრუნება და დრომოსის გავლით დასაკრძალავ კამერაში შეტანა (უდრომოსო, ორმოიან ყორღანებში კი ურმის ან მისი ნაწილების ჩანყობა); სამარხეული ინვენტარის განთავსება და მიცვალებულის დასვენება შერჩეულ ადგილზე.

ფაქტია, რომ სამარხი კამერის დრომოსები, მათში დაკრძალული ხარები და ურმები აღმოსავლეთით არის მიმართული. ისიც არის აღსანიშნავი, რომ

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში დაფიქსირებული ხარის თავეები სამარხი კამერის აღმოსავლეთ კედელთან აწყვია. ისინი უმეტესად კედელზეა მიყუდებული (ნატახტარი) [Sadradze 2002: ტაბ. XV-1], ან სპეციალურად მინაში გამოკვეთილ ნიშებში (წინამური) [Nikolaishvili, Narimanishvili 1995: 70, ტაბ. სურ. 530-535] ან ბაქანზეა (წინწყარო) მოთავსებული.

ამდენად, დაკრძალვის რიტუალი იმაზე მიუთითებს, რომ მიცვალებული დაკრძალვის შემდეგ მზეზეა ორიენტირებული. ხარები, თუ ურმები ახლა უკვე მზისაკენ მიცვალებულის სვლას უწყობენ ხელს - ვირტუალური პროცესია მზისკენ მიემართება. დაკრძალვის რიტუალის დასრულების შემდეგ სარიტუალო გზა მიცვალებულისათვის აღმოსავლეთით, მზისაკენ სავალი გზის დასაწყისად წარმოგვიდგება. მიგვაჩნია, რომ დაკრძალვის მთელი რიტუალი სრულდება იმისათვის, რომ მიცვალებული მზისა და სინათლისაკენ, მზის სხივებზე ყოფილიყო ორიენტირებული. გზიან ყორღანებში დადასტურებული დაკრძალვის რიტუალი შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მზის კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

§ 2. ტორეგტიკა

თრიალეთის კულტურის სამარხებში საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ლითონისგან (ტაბ. XLI, XLII_{2,3} დამზადებული ჭურჭელი (თასები, სასმისები, ქვაბები, სარწყული და სხვა). ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულმა ჭურჭელმა აღმოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ყორღანებიდან წარმოდგენილი ძვირფასი ლითონის ნაკეთობები მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ისინი სამხრეთ კავკასიისათვის სრულიად ახალია. თუმცა, ის გარკვეულ მსგავსებას მაინც ხედავდა ურის, ურუქის, ტელ-ხალაფის და ალაჯა ჰუიუქის სამეფო სამარხების ტორეგტიკულ ნაწარმთან [Kuftin 1941: 87]. ე. გოგაძე ხაზს უსვამს თრიალეთის ლითონის ჭურჭლის მსგავსებას ტროასა და მიკენში აღმოჩენილ ტორეგტიკის ნიმუშებთან [Gogadze 1972: 75].

თრიალეთის კულტურის ტორეგტიკული ნაწარმი მეცნიერთა დიდ ინტერესს დღესაც იწვევს. ნ. ჯაფარიძემ, მ. ფუთურიძემ, კ. რუბინსონმა, დ. კოლონმა, რ. ბოემერმა და გ. კოსაკმა ამ თემას სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს [Japaridze 1982; Rubinson 2001; Rubinson 2003; Rubinson 2009; Boehmer, Kosack 2000; Collon 1982; Puturidze 2001; Puturidze 2002; Puturidze 2005; Puturidze 2006; Puturidze 2010]. მ. ფუთურიძის აზრით, ლითონის ჭურჭლის წარმოება თრიალეთის კულტურის მხატვრულ ლითონწარმოებაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. თრიალეთურ ლითონის ჭურჭელში აუცილებლად უნდა გაირჩეს ორი კატეგორია. ერთი ესაა – ბრინჯაოს, ხოლო მეორე კი ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნაწარმი [Puturidze 2006: 69].

უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ჭურჭელი სამხრეთ კავკასიაში სწორედ თრიალეთის კულტურის ძეგლებზე ჩნდება პირველად. მ. ფუთურიძის აზრით, ამ ნაწარმის ლოკალურ გარემოში არავითარი წანამძღვრები და საფუძველი

არ გააჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიაში ეს ნაწარმი შესაძლებელია სამხრეთული კულტურების ზეგავლენით გაჩენილიყო, რადგანაც ანატოლიაში, შუმერში და სხვა რეგიონებში ძვირფასი ლითონის ჭურჭლის დამზადების ტრადიცია საკმაოდ წინ უსწრებს სამხრეთ კავკასიურს [Puturidze 2006: 72].

თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილი ტორევიტიკა ახლო პარალელებს პოულობს ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ ლითონის ჭურჭელთან მესოპოტამიიდან და ირანიდან [Narimanishvili D. 2010b: 28]. თრიალეთის XVI ყორღანში აღმოჩენილი სახელურიანი ვერცხლის სასმისი (ტაბ. XLI₁) კალე-ნისარსა და თეფე გურანში [Müller-Karpe 1995: სურ. 7-_{13,14}] აღმოჩენილი ეგზემპლარების მსგავსია. კიროვაკანის და თრიალეთის VII ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს თასები (ტაბ. XLI₆, XLII₃) ტელ-სულეი-მაში ნაპოვნი თასების [Müller-Karpe 1995: სურ. 9_{6,7,9}] მსგავსია. ხოლო ვერცხლის თასები თრიალეთის XV ყორღანიდან (ტაბ. XLI₂) მესოპოტამიაში (აშური, ტელ-ად-დერი, ტელო), ირანში (თეფე გიანი) და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე (მერგარი, ჩანხუ-დარო) აღმოჩენილი ნიმუშების [Müller-Karpe 1995: სურ. 6-_{1,4,5,6}; სურ. 7-_{22,23}] მსგავსია.

ანატოლიურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ლომის ოქროს ქანდაკება (წნორის II ყორღანი), ლომების გამოსახულებიანი ოქროს თასი ვანაძორის (ყოფ. კიროვაკანი) ყორღანიდან (ტაბ. XLII₂) და თრიალეთის XV ყორღანის შტანდარტზე (ტაბ. XLII₁) გამოსახული ლომები [Kuftin 1941: ტაბ. C; Zhorzhiashvili, Gogadze 1974: 89, ტაბ. 79].

ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან ლომი ქალღმერთის თანმხლები, საკრალური ცხოველი იყო. ჩათალ ჰუიუქშია ნაპოვნი მჯდომარე ქალღმერთის ფიგურა, რომლის ორივე მხარეს ლომები სხედან. შემდგომ ეპოქაში ლომი იშთარის ცხოველად წარმოგვიდგება. ებლას, მარის, ტელ ხალაფის ტაძრების შესასვლელში ლომის ქანდაკება უცილობელი ატრიბუტი იყო. ხათურ და შემდგომ ხეთურ რიტუალურ ტექსტებში ლომი მეფის ზოომორფულ სიმბოლოს წარმოადგენდა [Ivanov 1982: 590]. თრიალეთის კულტურის შტანდარტები (ტაბ. XLII₁₋₆) მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი პირის, შესაძლოა „მეფის“ ინსიგნიას წარმოადგენდა.

თრიალეთის (XVII ყორღანი) ვერცხლის სარწყული (ტაბ. XLI₅) და **ბრინჯაოს ქუსლიანი ჭურჭელი** (XV ყორღანი) საკულტო დანიშნულებისაა. დ. კოლონი მათ ერთ ტიპოლოგიურ რიგში აერთიანებს, რომელსაც Bucket handles უწოდებს [Collon 1982: 96-₁₀₀]. ამ ტიპის ტორევიტიკულ ნიმუშებს, მისი აზრით პარალელები ეძებნებათ მესოპოტამიაში, ანატოლიასა და სირიაში, თრიალეთის ქუსლიანი ჭურჭლის მსგავსი ეგზემპლარი აღმოჩენილია მიკენში [Puturidze 2005: 10-13, სურ. 4].

აღსანიშნავია, რომ თრიალეთური ნიმუშების მსგავსი ჭურჭელი ურიდან, ქიულ-თეფედან და მიკენიდან სამარხული ინვენტარია, ხოლო ტელ-ასმარის, ტროას და ბიბლოსის „სარწყულები“ ტაძრებთან დაკავშირებული განძებიდან მომდინარეობენ [Collon 1982: 98]. ანალოგიური კალათა, თუ სარწყული ხელ-

ში უჭირავს ტელ-ასმარის აქადური ეპოქის საბეჭდავზე გამოსახული ქალის ფიგურას [Collon 1982: 101, სურ. 3]. მსგავსი ნივთის უძველესი გამოსახულება მოცემულია ქვის სტელაზე გობეკლი თეფედან [Schmidt 2011: 58, fig. 29]. საინტერესოა, რომ მდიდრულად ორნამენტირებული ქვის მსგავსი ნივთები მრავლადაა ნაპოვნი ირანში, ჯიროფტში. რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს საგნები, დღესდღეობით გარკვეული არ არის, თუმცა ეჭვს არ იწვევს მათი საკულტო მნიშვნელობა [Narimanishvili D. 2014:289-290].

ასირიული ხელოვნების ნიმუშებზე ამგვარი სარწყული ხელში უჭირავთ სხვადასხვა სახის ზოო-ანთროპომორფულ ჰიბრიდებს, ან ანთროპომორფულ ფიგურებს – გენიებს. ასურული წერილობითი წყაროების მიხედვით ამ ნივთს ეწოდება „ბანდუდუ“ და ის განწმენდის რიტუალში გამოიყენებოდა. ტექსტების მიხედვით, ეს ნივთი აუცილებლად ლითონისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული და მასში წყალი უნდა ესხას [Black, Green 1992: 46; Wiggermann 1992: 66]. რიტუალის შემსრულებელი ასახიერებდა მარდუქს, რომელიც „იღებდა წყალს ორი მდინარის სათავიდან, თავის წმინდა ჯადოს მდინარეებს გადაავლებდა, განწმენდა მათ თავისი წმინდა შელოცვით და შეასხურებდა ამ წყალს ადამიანს, თავისი ღმერთის შვილს“. ადამიანს, რომელსაც რაღაც საშიშროება ემუქრებოდა, წმინდა წყლის შესხურება ათავისუფლებდა განსაცდელისაგან [Wiggermann 1992: 66].

ასურულ ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული სარწყულები ხშირად მცენარეული დეკორატიული ელემენტებით არის შემკული, ზოგჯერ დაწნული კალათის იმიტაციას წარმოადგენს. ასირიული რიტუალის მიხედვით სარწყული აუცილებლად ლითონისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული და მათზე ზოგჯერ ფანტასტიური არსებები, ზოგჯერ კი საკრალური ხე, ან ღია კარი იყო გამოსახული [Black, Green 1992: 46; Wiggermann 1992: 66].

დ. ნარიმანიშვილის აზრით ლითონისგან დამზადებული და ქოთურად განლაგებული ცხოველებით და მცენარეებით შემკული თრიალეთური სარწყული შეესაბამება მესოპოტამიური რიტუალის მოთხოვნებს. ის ასურული ნიმუშების მსგავსად, ამორფულ, მოუნესრიგებელ სამყაროს განასახიერებს [Narimanishvili D. 2014: 289-290]

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მითოლოგიურ-რელიგიური ხასიათის სიუჟეტებით შემკული თრიალეთის V (ტაბ. XLI₃) და ყარაშამბის (ტაბ. XLI₄) ყორღანებში აღმოჩენილ ვერცხლის თასები. თრიალეთის ვერცხლის თასზე ოთხი ფრიზია მოცემული. მეორე ფრიზზე სარიტუალო პროცესია, ავეჯი და ჭურჭელია გამოსახული. სარიტუალო მსვლელობაში თითქმის ერთნაირ ტანისამოსში გამოწყობილი 22 ადამიანი მონაწილეობს [Куфтин 1941: 87-88, ტაბ. XCI]. თრიალეთის თასისგან განსხვავებით ყარაშამბის თასის სიუჟეტი უფრო რთულია. თასზე გამოსახულია ექვსი ფრიზი [Bohmer, Kossack 2000: 17-21]. პირველ ფრიზზე ნადირობის სცენაა გამოსახული. მეორე ფრიზზე სარიტუალო პროცესიაა წარმოდგენილი, გამოსახული არიან შეიარაღებული პირები, არფაზე დამკვრელი და მჯდომარე ფიგურისაკენ ძღვენით მიმავალი ადამიანები. მესამე ფრიზზე გამოსახულია ბრძოლის სცენა და მითოლოგი-

ური პერსონაჟები: ფრინველი იმდუგუდი. თრიალეთის და ყარაშამბის ვერცხლის თასებზე გამოსახული ნივთების მთელი რიგი: მაგიდა, სკამი, სასაკმეველე, სასამისები დღეისათვის სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული არ არის. თუმცა მსგავსი არტიფაქტები ჩრდილოეთ სირიისა და ზემო მესოპოტამიის ქალაქურ ცენტრებში ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის დასაწყისის ფენებში გვხვდება ან ხელოვნების ნიმუშებზეა გამოსახული [Narimanishvili D. 2007: 225-226].

წერილობითი წყაროების მიხედვით ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ მესოპოტამიას, მესოპოტამიისა და ინდის დაბლობის ქალაქებს, ირანსა და სპარსეთის ყურის კუნძულებს, ირანსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის. ვაჭრობდნენ ხე-ტყით, ღვინით, საკმეველით, ტკბილი ლერწმით, ქსოვილებით და სხვა ნივთებით. სავაჭრო ქსელში შესაძლოა თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხიც იქნებოდა ჩართული [Puturidze 2005: 11, 20]. თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სასამისების დადასტურება ჩრდილო და სამხრეთ მესოპოტამიაში ამ კავშირების არსებობას ადასტურებს. ჩვენი აზრით, ამ კატეგორიის კერამიკის დადასტურება სხვადასხვა რეგიონში მოწმობს არა ეთნიკურ გადაადგილებას, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და ურთიერთკავშირებს [Narimanishvili D. 2010b: 50-51].

§ 3. ოქრომჭედლობა

თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების აღმოჩენისთანვე მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ოქრომჭედლობის ნიმუშებმა (ტაბ. XLIII, XLIV). პირველი, ვინც აღნიშნა თრიალეთური ნანარმის მსგავსება ახლო აღმოსავლურ ნიმუშებთან, იყო ამ კულტურის აღმომჩენი ბ. კუფტინი. იგი წერს, რომ საქართველოში აღმოჩენილი უძველესი კულტურული კერა გაჟღერებულია საიუველირო ხელოსნობის ძალზე ძველი ტრადიციებით, რომელიც თავისი მხატვრული ხერხებით უძველეს სამხრეთ მესოპოტამიური ოქრომჭედლობის ტრადიციებთან ამჟღავნებს მსგავსებას [Kuftin 1941: 94]. ბ. კუფტინის აზრით, თრიალეთის საიუველირო ნანარმი ახლო მსგავსებას იჩენს მესოპოტამიის, ანატოლიის და მიკენის ნიმუშებთან, თუმცა მათ მაინც ადგილობრივი ნარმოების შედეგად მიიჩნევა [Kuftin 1941: 93-100]. ო. ჯაფარიძის აზრით, ოქრომჭედლობის მკვეთრი აღმავლობა შუა ბრინჯაოს სამხრეთ კავკასიაში ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო ეთნო-კულტურული კონტაქტებით უნდა აიხსნას [Japaridze 1969: 173].

არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი (ო. ჯაფარიძე, ე. გოგაძე, ნ. ჯაფარიძე, მ. ფუთურიძე, დ. კოლონი, კ. რუბინსონი, რ. ბოემერი, კ. მაქსველ-ჰისლოპი, მ. მიულერ-კარპე) შეეხო თრიალეთური ოქრომჭედლობის ამა თუ იმ კონკრეტული მასალის შედარებით ანალიზს და მის მსგავსებას ახლოაღმოსავლურ ნიმუშებთან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. ფუთურიძე: „თრიალეთურ ოქრომჭედლობაში სახეზე გვაქვს თითქმის ყველა კატეგორი-

ის ნაწარმი, რაც კი საერთოდ დამახასიათებელია სინქრონული ხანის ძველი სამყაროს სხვადასხვა კულტურებისათვის: საკინძები, უამრავი და სრულიად განსხვავებული ტიპის მიძივები, კულონი, ყელსაბამი, აგრაფი, შტანდარტი, მცირე პლასტიკის ნიმუში, გარსაკრავები, ფოლგები, ფიგურათა სადგრები, ფიგურათა მისამაგრებლები, სხვადასხვა მცირე დეტალები, ჯერ კიდევ გაურკვეველი დანიშნულების ოქროს ნივთები თუ თმის სამაგრები, და ბოლოს, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ჭურჭელი. მთელი ეს მრავალფეროვნება ნათლად წარმოგვიდგენს თრიალეთურ ოქრომჭედლურ ხელოვნებაში მიღწეულ დონეს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციათა დანიშნურებულ სტანდარტებს და ზოგ შემთხვევაში წინ უსწრებდა კიდევ მათ“ [Puturidze 2006: 67].

§ 4. მოხატული კერამიკა.

თრიალეთის კულტურის თითქმის ყველა მდიდრულ ყორღანში შავპირილა კერამიკასთან ერთად გვხვდება მოხატული ჭურჭელი (ტაბ. XLVI), რომელმაც აღმოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება. ბ. კუფტინმა თრიალეთის ყორღანების მოხატული ჭურჭელი ორ ტიპად დაყო: 1. ნითელ, უანგობო ზედაპირზე შავი საღებავით მოხატული კერამიკა; 2. კრემისფერ ანგობზე შავი, ან ყავისფერი საღებავით მოხატული კერამიკა [Kuftin 1941: 85].

შემდგომში ჩატარებულმა გათხრებმა ცხადყო, რომ პირველი ტიპის კერამიკა ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, სომხეთში, ნახჭევანში, აზერბაიჯანში, ვანის და ურმიის ტბების სანაპიროებზე [Japaridze 1969: 133-134; Kushnareva 1993: 163-164; Özfirat 2001: 120-123]. ამ ტიპის მოხატული კერამიკის გავრცელების დასავლეთი საზღვარი აღმოსავლეთ ანატოლიაში მუშის დაბლობზე გადის. სამხრეთით – ვანის ტბის სამხრეთით, ჰაკარიზე, აღმოსავლეთით – მილის სტეპებზე. ირანში ამ ტიპის კერამიკა მსგავსებას იჩენს „ვანი/ურმიის კერამიკასთან“, აგრეთვე ჰაფთავან-თეფე VI C და გეოი-თეფე DD ფენების კერამიკასთან [Özfirat 2001: 120-123]. ყველა ამ ჭურჭლისათვის საერთო მოტივს წარმოადგენს ტალღოვანი ხაზებით შევსებული სამკუთხედები, ნახევრად კონცენტრული რკალები, ფრინველებისა და სვასტიკების გამოსახულებები.

მეორე ჯგუფის თრიალეთური კერამიკა ძალზე იშვიათია სამხრეთ კავკასიაში. რამდენიმე ცალი აღმოჩენილია თრიალეთის V, VI და XVII ყორღანებში, რომელთა შორის XVII ყორღანში აღმოჩენილი ორი დიდი ზომის ჭურჭელი გამოირჩევა. ერთი მათგანი დაფარულია კრემისფერი ანგობით და შავი-მოყავისფრო საღებავითაა მოხატული. ჭურჭლის ზედაპირზე დეკორი ოთხ ფრიზადაა განლაგებული. ზედა ფრიზი (ყელზე) ძალზე დაზიანებულია, მეორე ფრიზი (ყელის ქვედა ნაწილი) შედგენილია ჭადრაკული ორნამენტით, სამკუთხედების რიგით და ვერტიკალური ხაზებით. შუა ნაწილი დიდი ზომის ტალღოვანი სპირალებითაა შემკული, რომელიც ამავე დროს ცხოველის რქებსაც მოგვაგონებს. მეოთხე ფრიზი კი ტალღოვანი და ვერტიკალური ხაზებით არის შემკული (ტაბ. XLVI₁₁). მეორე ჭურჭელი დაფარულია ღია ვარდისფერი ანგობით. ყელი

შემკულია ჰორიზონტალური ტეხილი ხაზებით. მუცელი კი სამი დეკორატიული სარტყელისაგან შედგება. ზედა სარტყელი შევსებულია რამდენიმე ოთხკუთხედით, რომლებშიც წერტილებია ჩასმული. შუა ნაწილი შემკულია გველისებური კლაკნილი ორნამენტით, რომელიც ტეხილი ხაზებითაა შევსებული, ხოლო ქვედა სარტყელი ტეხილი ხაზებითაა მოხატული (ტაბ. XLVI_{7,10}).

თრიალეთის მეორე ჯგუფის მოხატულ კერამიკას ზუსტი ანალოგები არ მოეპოვება. მსგავსი ტექნიკით და სიუჟეტით შემკული ჭურჭლები სამხრეთ კავკასიაში არ გვხვდება. ამდენად, ძნელია მათ ადგილობრივ წარმოებაზე საუბარი, თუმცა, არც მათ იმპორტირებაზე შეიძლება რაიმეს დაბეჯითებით თქმა. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა თრიალეთის და ირანის თანადროული მოხატული კერამიკის მსგავსების შესახებ [Kuftin 1941: 86; Çiringiroğlu 1984: 139], რაც, სხვა მასალებთან ერთად, ამ რეგიონებს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს [Narimanishvili D. 2010b: 20-27; Narimanishvili D. 2010c].

§ 5. საკიდი - ამულეტები

ა). ბუზის ფორმის საკიდი.

ბუზის ფორმის საკიდები სამხრეთ კავკასიაში ლორი ბერდში (ტაბ. XLIV₆), ლქაშენში (ტაბ. XLIV₅) და ტაგავორანისტშია (ტაბ. XLIV₄) აღმოჩენილი. ისინი ძველ ეგვიპტეში გავრცელებულ ბუზის ფორმის ოქროს საკიდების მსგავსია. ძველ ეგვიპტეში ბუზის ფორმის ქვის ამულეტები წინარედინასტიური ხანიდანაა ცნობილი. ძველ და შუა სამეფოში ბუზის გამოსახულებები წარმოადგენდნენ მაგიურ ობიექტებს მშობიარობის რიტუალში. ახალი სამეფოს ეპოქაში (ძვ.წ. 1550-1075 წწ.) ფარაონები, რომლებიც ამავე დროს ეგვიპტის ჯარის მთავარსარდლები იყვნენ, ბრძოლის ველზე განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეულ სამხედრო პირებს ბუზის ფორმის ოქროს საკიდებით აჯილდოვებდნენ [Wilkinson 2005: 84; Bongioanni, Croche 2001: 367]. ერთ-ერთი ცნობილი ოქროს გულსაკიდი, რომელიც ბუზის ფორმის მძივ-საკიდებს შეიცავდა დრა აბუ ელ-ნაგში, დედოფალ აჰოტეპის აკლდამაში აღმოჩნდა (ტაბ. XLV₁). დედოფალი იაჰმოს I მმართველობის დროს (ძვ.წ. 1550-1525 წწ.) გარდაიცვალა. ოქროს ბუზები, სხვა სამხედრო დანიშნულების ცერემონიალურ ნივთებთან ერთად დედოფალს მისმა შვილებმა, ფარაონებმა კემესმა და იაჰმოსმა შესწირეს [Bongioanni, Croche 2001: 367]. მსგავსი საკიდები უფლისწულ ჰნუმიტის სამარხშიც აღმოჩნდა (ტაბ. XLV₂).

სამხრეთ კავკასიაში ბუზის ფორმის საკიდების აღმოჩენა ბევრ კითხვას წარმოშობს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ახლა რთულია რაიმე მოსაზრების გამოთქმა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ეგვიპტური ნივთებისა თუ მათი ასლების ხშირი აღმოჩენა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს და ამ რეგიონებს შორის საკმაოდ ახლო კავშირებზე უნდა მიუთითებდეს.

ბ). ფეხის ფორმის ამულეტი

თრიალეთის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი ზოგიერთი სამკაული შესაძლოა ეგვიპტური წარმომავლობისაა [Narimanishvili D. 2010:221]. ასეთ არტეფაქტთა რიგს მიეკუთვნება ადამიანის ფეხის ფორმის ამულეტი, რომელიც თრიალეთის XIII ყორღანში [Kuftin 1941: ტაბ. CI; XIV ყორღანში ჟორჯიკაშვილისა და გოგაძის მიხედვით - Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 84] აღმოჩნდა (ტაბ. XL₁₂). ყორღანი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით თარიღდება [Gogadze 1972: 44,95]. ამულეტი დამზადებულია წითელზოლებიანი მოყვითალო ფერის ნახევრადძვირფასი ქვისაგან, სავარაუდოდ სარდიონისგან. ამულეტის სიმაღლე 2,2 სმ-ია. ის დაზიანებულია. ზედა ნაწილში კრატერის ფორმის ორმხრივი ნახევრეტი აქვს [Zhorzhikashvili, Gogidze 1974: 84, ტაბ. 74]. ე. გოგაძის აზრით, ნივთი ანალოგიურია ეგვიპტის ძველ სამეფოში გავრცელებული ამულეტებისა. ფეხის ფორმის ამულეტები ეგვიპტეში გავრცელებული იყო ძველი სამეფოს და “პირველი გარდამავალი პერიოდის” ეპოქებში, ე.ი. 5-8 დინასტიების ხანაში (ძვ.წ. 2465-2100 წწ.). მომდევნო ეპოქაში ის თითქმის აღარ გვხვდება. ფეხის ფორმის ამულეტი-საკიდები ჩვეულებრივ მზადდებოდა მოყვითალო-წითელი ფერის სარდიონისაგან, რომელიც ფერით სისხლს ჰგავდა. ძველი ეგვიპტელების აზრით, სწორედ ასეთი ქვა აძლევდა ამულეტს ძალას და ენერჯიას. თრიალეთის ამულეტი აბსოლუტურად იდენტურია მეტროპოლიტენ მუზეუმში დაცული ეგვიპტური ცალისა და იმ საკიდისა (ტაბ. XL_{13,14}), რომელიც ფ. პიტრის გათხრებიდან მომდინარეობს [Narimanishvili D. 2010: 221]. ჩვენი აზრით, თრიალეთში ნაპოვნი ფეხის ფორმის ამულეტი ეგვიპტურ იმპორტს წარმოადგენს.

გ). გულის ფორმის საკიდი

გულის ფორმის საკიდი (სიმაღლე 1,8 სმ.) თრიალეთის XIII ყორღანში [Kuftin 1941: ტაბ. CI] აღმოჩნდა (XIV ყორღანში ჟორჯიკაშვილისა და გოგაძის მიხედვით - Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 84, ტაბ. 74). საკიდი დამზადებულია ვარდისფერი ქვისაგან და ზედა ნაწილში ორმხრივი კრატერისებრი ნახევრეტი აქვს [Zhorzhikashvili, Gogadze 1974: ტაბ. 74]. ეს საკიდი მსგავსებას იჩენს ძველ ეგვიპტურ გულის ფორმის ამულეტებთან, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველი სამეფოს ეპოქიდან რომაულ ხანამდე. ძველი ეგვიპტელების რწმენა-წარმოდგენებით, გული იყო სიცოცხლის და აზროვნების წყარო. ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ გული თავის თავში მოიცავდა ღმერთ ხეპრის სულს, და ამიტომ უკვდავი იყო. ჩვეულებრივ ეს ამულეტი მზადდებოდა წითელი ფერის სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან. ზედა ნაწილს ზოგჯერ ადამიანის თავის ფორმა ჰქონდა [Narimanishvili D. 2010: 221]. გულის ფორმის ამულეტი ცნობილია მეორე დინასტიიდან დროიდან [Budge 2001: 121-122].

„მიცვალებულთა წიგნში“ არის შვიდი შელოცვა გულის შენარჩუნების თაობაზე. ერთ-ერთი შელოცვა ეძღვნება ლაზურიტისგან დამზადებულ გულის ფორმის ამულეტს, მეორე – სერდოლიკისგან დამზადებულს. ნახევრად გამჭვირვალე ქვისგან დამზადებული ამულეტის პატრონი ოსირისის მფარველობით იყო უზრუნველყოფილი [Budge 2003: 166-168].

დ). საკიდი - გოჭი

„გოჭის“ ფორმის ამულეტი-საკიდი წინამურის (მცხეთა) № 13 ყორღანში მიცვალებულის მკერდთან აღმოჩნდა (ტაბ. XL₁₁). ის დამზადებულია მომწვანო-ცისფერი ფაიანსისაგან, სიგრძე – 1,2 სმ-ია [Nikolaishvili, Narimanishvili 1995: 72, ნახ. 572]. ყორღანი შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნა [Sadradze 2002: 333-334].

სხვადასხვა ცხოველის ფორმის საკიდი-ამულეტები უძველესი დროიდან მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. საკიდები მზადდებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვისგან და თიხისგან, მაგრამ ქანდაკებები ცისფერი ფაიანსისაგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ეგვიპტეში მზადდებოდა. ღორის ფორმის ამულეტები ეგვიპტეში გავრცელებული იყო ძველი სამეფოს დროიდან ელინისტურ ეპოქამდე. ღორი ნაყოფიერების განსახიერება იყო [Narimanishvili D. 2010:221]. საკიდი წინამურიდან დიდ მსგავსებას იჩენს გოჭის ქანდაკებასთან ჰიერაკონპოლისიდან, რომელიც თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით [<http://www.petrie.ucl.ac.uk>].

ე). ნიჟარა

სამხრეთ კავკასიაში ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე მრავლად გვხვდება ზღვის მოლუსკებისაგან დამზადებული სხვადასხვა სახის სამკაული. ოთხი ცალი ნიჟარა აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანით დათარიღებულ სამარხში ცარცის გორაზე [Japaridze 1961: 89], გახვრეტილი ნიჟარისგან დამზადებული რგოლები დადასტურებულია ქორეთში, № 3 სამარხში [Japaridze 1961: 135]. მარტყოფის ყორღანებში დადასტურებულია სხვადასხვა ფორმის სადაფის საკიდი და ნიჟარა [Japaridze 1998: 12-13]. საკიდების ზომა 0,85-1,5 სმ-ია.

სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა ნიჟარებისაგან დამზადებული მძივსაკიდები: თრელის სამაროვანზე № 53 სამარხში – 1 საკიდი [Abramishvili 1978: 55, სურ. 23₄₃₃, ტაბ. XIX₄₃₃], სამთავროს სამაროვანზე, № 194 სამარხში – 5 საკიდი [Sadradze 1993: 17], ზღვის მოლუსკების ნიჟარებისაგან დამზადებული მძივები აღმოჩნდა სომხეთში, ვერინ-ნავერის სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის № 23 ყორღანში [Simonyan 1984: 130]. ერთი ნიჟარა-საკიდი აღმოჩნდა მესხეთში (ტაბ. XL₃), ჭაჭკრების № 2 ყორღანში [Japaridze, Kikvidze, Avalishvili, Tsereteli 1981: 17, სურ. 39, ტაბ. LXI]. ამავე სახეობის, *Conus* sp. ტიპის ნიჟარებისგან დამზადებული ოთხი სამკაული აღმოჩნდა სომხეთში, ლორი-ბერდის №№ 77, 78 და 94 სამარხებში. ამ უკანასკნელში ორი ნიჟარა (ტაბ. XL₂) დადასტურდა [Devedjian 2006: 344, სურ. 94-9, 96-4, 112-8, ტაბ. IX-6,7,8]. ამ ტიპის ნიჟარა აღმოჩნდა ყარაშამბის მდიდრულ ყორღანში [Oganesyan 1993: 29, ტაბ. XXV-7], აგრეთვე აზერბაიჯანში, კუდურლის №№ 3, 4 და 7 ყორღანებში. აქ ნიჟარები საკინძის ღეროებზეა წამოცმული. ერთ-ერთი კი ოქროს ფირფიტისგან დამზადებულ ნახევარსფერულ გარსაკრავშია ჩასმული [Akhundov 2001: 160, სურ. XLIV-7,15]. ნიჟარებისაგან შედგენილი ყელსაბამი (ტაბ. XL₁) აღმოჩნდა ილანლითეფეში [Jalilov, Aladgarov 2008: 42, სურ. 5].

ვერინ-ნავერში აღმოჩენილი ნიჟარები გამოიკვლია სანკტ-პეტერბურგის ზოოლოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ი. სტარობოგატოვმა, რომელმაც განსაზღვრა ზღვის მოლუსკების ნიჟარები როგორც *Arcularia* sp. და *Conus* sp.; მოლუსკების ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა დამუშავების შედეგად მიღებული დეფორმაციის გამო. ორივე ტიპის ერთ დახურულ კომპლექსში მოხვედრამ მეცნიერებს საშუალება მისცა ზუსტად განესაზღვრათ მათი წარმოშობის ადგილი – ესაა სპარსეთის ყურის შესართავი, ან ირანის სამხრეთი სანაპირო [Simonyan 1984: 130].

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მესოპოტამიაში გავრცელებული იყო სამკაული, დამზადებული როგორც დაუმუშავებელი, ისე დამუშავებული ნიჟარებიდან. სხვადასხვა სახეობის ნიჟარებისაგან დამზადებული ნაირგვარი საკიდები და მძივები ნაპოვნია ტელოში, ხაფაჯში, ურში [Gensheimer 1984: 67]. ტ. გენშაიმერის აზრით, მესოპოტამია ნიჟარებით მარაგდებოდა სპარსეთის ყურიდან და ინდის დაბლობიდან. ეს უკანასკნელი ძვ.წ. III ათასწლეულიდან ჩართული იყო მნიშვნელოვან სავაჭრო ქსელში და მრავალი სახეობის ნიჟარები იქიდან საკმაოდ შორ მანძილზე ვრცელდებოდა [Gensheimer 1984: 70]. აქედანვე უნდა შემოსულიყო სამხრეთ კავკასიაში.

§ 6. საყოფაცხოვრებო ნივთები

თრიალეთის კულტურის ძეგლებზე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (მაგიდები, სკამები, ჭურჭელი), ჯერ-ჯერობით, აღმოჩენილი არ არის, თუმცა ამ ხარვეზს ავსებს თრიალეთის V და ყარაშამბის ყორღანებში აღმოჩენილ ვერცხლის თასებზე (ტაბ. XLI_{3,4}) გამოსახული სიუჟეტები. ორივე სიუჟეტში მრავალი ისეთი არტეფაქტია გამოსახული, რომლებიც მასალის თავისებურების გამო დიდხანს არ ინახება და ამდენად არქეოლოგიურ კულტურულ ფენებში პრაქტიკულად არ გვხვდება [Narimanishvili D. 2010a; Narimanishvili D. 2010b].

თასებზე გამოსახული საყოფაცხოვრებო ინვენტარის ნაწილი შეისწავლა დ. ნარიმანიშვილმა. იგი მიიჩნევს, რომ თრიალეთის და ყარაშამბის თასებზე გამოსახული სკამები და მაგიდები იმ საგნების ანალოგიურია, რომლებიც ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნით დათარიღებულ სირიულ და მესოპოტამიურ საბეჭდავებსა და საკულტო არტეფაქტებზეა გამოსახული [Narimanishvili D. 2007: 45]. დ. ნარიმანიშვილი თავის სტატიებში გამოთქვამდა ვარაუდს, რომ თრიალეთის კულტურის ვერცხლის თასებზე გამოსახული ავეჯი შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ყოფაში გამოიყენებოდა და შესაბამისად არსებობდა ძველ აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული გარკვეული სტილი [Narimanishvili D. 2007; Narimanishvili D. 2010a; Narimanishvili D. 2010b]. ეს ჰიპოთეზა გამართლდა 2012 წელს, როდესაც ანანაურის ყორღანში აღმოჩნდა ხის სავარძელი [Makharadze 2014: pl. II-1]. მომავალი აღმოჩენები ალბათ კიდევ უფრო განამტკიცებენ მოსაზრებას ძვ.წ. III ათასწლეულში სამხრეთ კავკასიის და ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის არსებულ ინტერკულტურული კონტაქტების შესახებ.

თავი III. გვიანი პრინჯაოს ხანა პარეთის კულტურა

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება არტეფაქტების მთელი წყება, რომლებიც ეგვიპტიდან და ლევანტიდან არის იმპორტირებული, ან მათ ასლებს წარმოადგენენ [Piliposyan 1998: ტაბ. 41,42; Narimanishvili 2006: 22-23, სურ. 27].

§ 1. საბეჭდავები

სამხრეთ კავკასიას და ახლო აღმოსავლეთს შორის შესაძლო სავაჭრო ურთიერთობის ყველაზე კარგი დამადასტურებელი უნდა იყოს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავები (ტაბ. XLVII, XLVIII). კავკასიის ტერიტორიიდან დღესდღეობით ოცზე მეტი ცილინდრული საბეჭდავია ცნობილი, რომლებიც მითანიურ სტილს ეკუთვნის. ამაზე მეტყველებს საბეჭდავებზე გამოსახული სიუჟეტები, კომპოზიცია და იკონოგრაფია. აგრეთვე ტექნიკური ხერხების – მრგვალი ბურღის და საჭრისის გამოყენება [Pogrebava 2000: 145-150].

კავკასიაში მოპოვებულია მითანიური გლიპტიკის ორივე სტილის ცილინდრული საბეჭდავები. ე.წ. “Elaborate style” - ნატიფი სტილის ერთი საბეჭდავი (ტაბ. XLVII₅) ნაპოვნი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში [Uvarova 1900: 324, ტაბ. 127, 47], ხოლო დანარჩენი – “Common style” - ჩვეულებრივი, უბრალო სტილის ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩენილია სომხეთში: ლჭაშენი, ართიკი (ტაბ. XLVII_{3,4}), პარნი-გეჰი, შამირამი, ლორი-ბერდი, მენამორი (ტაბ. XLVII-1), გელაროტი – ორი ცალი (ტაბ. XLVII₂); აზერბაიჯანში: ხანლარი, შაჰტახტი, მინგეჩაური (ორი ცალი), ხარაბა-გილიანი (სამი ცალი), ტალიში (ორი ცალი) [Japarova 1984: ტაბ. III; Karakhmedova 1990: სურ. 40, 41; Piotrovski 1992: სურ. 5; Khachatryan 1975: სურ. 77- 1,2,3; Devedjian 1981: 137, ტაბ. IX-3; Badalyan, Smith 2007: 41; Narimanishvili 2004: 105-106; Piliposyan 1998: ტაბ. 41].

პოგრებოვას აზრით კავკასიაში ნაპოვნი ყველა საბეჭდავი დამზადებულია თეთრი მინისებური პასტისგან, ზოგიერთ მათგანს ჭიქურის კვალი ეტყობა [Pogrebava 2000: 146].

უკანასკნელ წლებში თრიალეთში, საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩნდა 9 ცალი ცილინდრული საბეჭდავი, რომელთაგან 7 გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XLVIII_{2,7-12,19-22,28-31}), ორზე კი სიუჟეტია გამოსახული (ტაბ. XLVII_{6,7}). ამავე სამაროვანზე გამოვლინდა სამი ოთხკუთხა (ტაბ. L₁₋₃) და ერთი სამკუთხაგანიკვეთიანი (ტაბ. XLVIII_{6,23}) საბეჭდავი. აქვეა ოთხი ცალი წრიული ფორმის მინის სკარაბეოიდი თუ ე.წ. თვალისანი მძივები (ტაბ. XLIX_{1,4}). გეომეტრიული ორნამენტით შემკული ოთხი ცილინდრული საბეჭდავი თრიალეთშივე, იმერას სამაროვანზე აღმოჩნდა (ტაბ. XLVIII_{1,3-5,24-26,27}). ცილინდრული საბეჭდავების მსგავსი გეომეტრიული ორნამენტი დატანილია სა-

ფარ-ხარაბას სამაროვნის № 5, 56 და 84 სამარხებში აღმოჩენილ ცილინდრული ფორმის ოქროს გარსაკრავებზე (ტაბ. XLVIII^{14-18,32-34}).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს № 5 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავი (ტაბ. XLVII₁). საბეჭდავი დამზადებულია მოთეთრო-მოცისფრო მინისებური პასტისგან. მასზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი კაცის ფიგურა პროფილში, რომელსაც ხელში ექვსქიმიანი ვარსკვლავით დაბოლოვებული შტანდარტი უჭირავს. მამაკაცის ფიგურის წინ კვარცხლბეკზე, რომელიც ორი ირიბი ჯვრით არის შემკული, რქოსანი (ანტილოპასნაირი) ცხოველი დგას. ამ ტიპის საბეჭდავები B. Salje-ს გაერთიანებული აქვს ე.წ. ანთროპომორფულ/ზოომორფულ/ფლორალურ 2.1.8. ჯგუფში. ამ ჯგუფის საბეჭდავები ძირითადად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში: რას-შამრაში, ბიბლოსში, ბეთ-შანში, ჰაზორსა და გეზერში. ქრონოლოგიურად მოიცავს ძვ.წ. XVI-XIII სს. ყველაზე ახლო პარალელები მოექმბნება ბეთ-შანსა და რას-შამრაში, ფენებში, რომლებიც ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [Salje 1990: 211]. თუმცა ლევანტიურ ეგზემპლარებზე მამაკაცის ფიგურას ხელში ე.წ. bouquet-tree უჭირავს [Salje 1990: ტაბ. V-95], განსხვავებით თრიალეთურისგან, რომელსაც ხელში ექვსქიმიანი ვარსკვლავით დაბოლოვებული შტანდარტი აქვს. ამ დეტალით ის უახლოვდება საბეჭდავებს ბეთ-შანიდან, მეგიდოდან და იერუსალიმიდან [Salje 1990: ტაბ. VI-101], თუმცა ლევანტიურ ცალეებზე, თრიალეთურისაგან განსხვავებით, მამაკაცის ფიგურა დგას, ხოლო კვარცხლბეკზე, რომელიც თევზებითაა ორნამენტირებული ორი რქოსანი ცხოველი დგას.

საფარ-ხარაბას № 5 სამარხის საბეჭდავი თემატურად სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სხვა საბეჭდავების (მინგეჩაური, რაზდანი, შახტახტი, შამირამი), ასევე ნუზისა და გეზერის საბეჭდავების მსგავსია [Piliposyan 1998: ტაბ. 34, 35, 41]. ყველა ამ საბეჭდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, ზოგჯერ მუხლმოდრეკილი, რომელსაც ხელში უჭირავს კვერთხი, რომლის თავი ვარსკვლავის ან მცენარის გამოსახულებით ბოლოვდება. მის წინ, საკურთხეველზე ან შემადღებაზე ანტილოპას მსგავსი რქოსანი ცხოველი დგას. ნუზის ერთ-ერთ საბეჭდავზე, ცენტრალური ფიგურის ზემოთ თევზების რიგია გამოსახული. რაზდანში, მინგეჩაურში და გეზერში აღმოჩენილ საბეჭდავებზე, რქოსანი ცხოველის ზემოთ ტალღოვანი ორნამენტია გამოსახული. ყველა ეს საბეჭდავი, ისევე როგორც № 27 სამარხში აღმოჩენილი, მითანიური გლიპტიკის წრეში ექცევა და „Common Style“-ს მიეკუთვნება. ისინი გავრცელებული იყო ლევანტსა და მესოპოტამიაში [Salje 1990: 34, ტაბ. IV-VI].

საფარ-ხარაბას ამ საბეჭდავის იკონოგრაფია მითანიური საბეჭდავების იკონოგრაფიის მსგავსია. გამოსახულებაც ხურიტულ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული. ჩვენი აზრით, საკურთხეველზე შემდგარი ანტილოპასმაგვარი ცხოველი უძველესი მესოპოტამიური ღვთაება ეა-ს გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც ხურიტულ პანთეონში უკვე აქადურ პერიოდში მოხვდა. ეა-ენქის უძველეს გამოსახულებას ზოგჯერ თევზისკუდიანი ანტილოპა წარმოადგენს. ეა-ენქი ქვესკნელის მტკნარი ოკეანის (abzu) მბრძანებელი იყო. იგი სიბრძნეს, ჯადოსნობას განასახიერებდა. ხურიტულ ნანარმოებში „სიმღერა ულიქუმზე“ ეა-ს ეპითეტია hassiss (აქადურად hasisu - სიბრძნე) [Wilhelm 1992: 95].

სიუჟეტური გამოსახულებით შემკული მეორე ცილინდრული საბეჭდავი საფარ-ხარაბას №27 სამარხში აღმოჩნდა. საბეჭდავზე გამოსახულია ორ რიგად განლაგებული თევზები (ტაბ. XLVII₆). ანალოგიური საბეჭდავები გავრცელებული იყო სირიაში (რას-შამრა) ძვ.წ. XVI-XIV სს-ში და მითანიური გლიპტიკის ე.წ. „Common Style“-ს ეკუთვნის [Salje 1990: 66, ტაბ. VII, 136-138]. საინტერესოა, რომ ამგვარი სიუჟეტი და სტილი ტიპიური იყო ჯემდეთ-ნასრული (ძვ.წ. 3000-2800 წწ.) საბეჭდავებისათვის [Afanasieva 1979: ტაბ. IV-6]. ასეთი საბეჭდავები, ამულეტების სახით, დიდხანს იყო ხმარებაში. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ჯემდეთ-ნასრული საბეჭდავები აღმოჩნდა ახალბაბილონური და პართული ხანის სამარხებში. ახალასირიულ საბეჭდავს, როგორც თილისმას, XIII საუკუნეში ერთ-ერთი სელჯუკი სულთანი ატარებდა [Boehmer 1997: 23, 24, 33].

თევზების გამოსახულებები ფართოდაა გავრცელებული Common Style-ს გლიპტიკაში. Salje-ს თევზების მოტივით ორნამენტირებული საბეჭდავები გაერთიანებული აქვს ზოომორფულ ჯგუფში – 2.2.1. [Salje 1990: ტაბ. VII 136-138]. მითანიურ გლიპტიკაში თევზების გამოსახულებები გვხვდება ორ ან სამ რიგად შესრულებული, აგრეთვე სხვადასხვა ორნამენტული მოტივის თანხლებით. თრიალეთურ საბეჭდავთან ყველაზე ახლო მსგავსებას იჩენენ საბეჭდავები ჰამადან და რას-შამრადან, რომლებზეც თევზები ასევე ორ რიგად არის გამოსახული. მითანიურ გლიპტიკაში ამ ეგზემპლარების ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს ძვ.წ. XVI-XIII სს. [Salje 1990: 220]. საინტერესოა, რომ თევზების მოტივი ძალზე პოპულარული იყო ძვ.წ. IV ათასწლეულის მესოპოტამიურ გლიპტიკაშიც. რისი აღმნიშვნელია მსგავსი იკონოგრაფია და რომელი ღვთაების სიმბოლოურ გამოსახულებას წარმოადგენს, დღესდღეობით ბოლომდე ნათელი არ არის. თუმცა სავარაუდოდ, თევზი სიბრძნის და მინისქვეშა წყლების მფლობელის – ეას სიმბოლოური გამოსახულება შეიძლება იყოს.

საფარ-ხარაბას № 5 და № 27 სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავები მსგავსია ნუზაში, თეჰიპ-ტილას არქივში აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე გამოსახული ანაბეჭდებისა. 1925 წელს ერაყის სამეფოს სიძველეების დირექტორის, გერტრუდა ბელის მიწვევით, ერაყის მუზეუმის და აღმოსავლეთის კვლევების ამერიკის სკოლის მონაწილეობით ჩიკაგოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტის პროფესორ ედუარდ კიერამ დაიწყო პატარა ბორცვის გათხრები, რომელიც სოფელ ტარკალანთან, ქალაქ კირკუკის სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრში მდებარეობს. ეს ძეგლი იდენტიფიცირებული იყო ხურიტულ ქალაქ ნუზისთან.

ერთ-ერთ შენობაში 1100 თიხის ფირფიტა აღმოჩნდა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1450 წ თარიღდება. არქივი მოიცავს ერთი ოჯახის ხუთი თაობის იურიდიულ საბუთებს. ტექსტი დაწრილი იყო ასირიულ ენაზე, მაგრამ არა ასირიელების მიერ, რადგან ხშირი იყო შეცდომები მართლწერასა და გრამატიკაში. საბუთებში მოხსენიებული ყველა პირის სახელი ხურიტული იყო. ეს იყო პირველი შემთხვევა არქეოლოგიაში, როდესაც აღმოჩნდა არქივი, სადაც დიდი რაოდენობის საბუთები გამოვლინდა, რომლებიც დროის დიდი მონაკეთს მოიცავდა [Chiera 1984: 93-94]. ოჯახის დამაარსებელი იყო პუხიშენი,

რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა: ჰაიმ-თეშუბი და თეჰიბ-ტილა. თეჰიბ-ტილა, სავარაუდოდ, ნუზის მეფის ქვისლი იყო და და მეფის კარზე დიდი თანამდებობა ეკავა. მისი არქივი ძირითადად იურიდიული ხასიათის საბუთებისაგან შედგებოდა, რომლებიც მონმოზენ, თუ როგორ იქმნებოდა დიდი მამული [Wilkhelm 1992: 84]. თეჰიბ-ტილას დროინდელი საბუთები დამონმებულია სხვადასხვა პირების საბეჭდავების ანაბეჭდებით, რომელთა ერთი მცირე ნაწილი [Porada 1947: ტაბ. III, 35-42] დიდ მსგავსებას იჩენს საფარ-ხარაბას № 5 სამარხის საბეჭდავთან. ამ საბეჭდავსა და ნუზიში აღმოჩენილ ანაბეჭდებს შორის იკონოგრაფიული მსგავსება იმდენად დიდია, რომ სავარაუდოდ საფარ-ხარაბას საბეჭდავიც შეიძლება ძვ.წ. XV საუკუნის მიწურულით დავათარილოთ.

საფარ-ხარაბას სამაროვნის № 27 სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი თეჰიტ-ქილას შვილისა და შვილიშვილის საბეჭდავების მსგავსია. ნუზიში თიხის ფირფიტებზე დამონმებული თევზების გამოსახულებიანი ანაბეჭდები თეჰიბ-ტილას შვილის ენამათის და შვილიშვილის თარმი-ტილას ცხოვრების წლებს ემთხვევა [Porada 1947: pl. V, 81-84], ე.ი. დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა ხანებს მიეკუთვნება.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ორივე საბეჭდავი შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ თეჰიბ-ტილას ოჯახის სავაჭრო ქსელი სამხრეთ კავკასიასაც მოიცავდა.

მითანიური ტიპის საბეჭდავების გავრცელების არეალი მითანის სამეფოს საზღვრებს სცილდება და დასავლეთით ხმელთაშუაზღვისპირეთს (ეგოსის კუნძულები, ეგვიპტე), აღმოსავლეთით კასპიის ზღვის სანაპიროს და ირანს, სამხრეთით – ქუვეითს [Piotrovski 1992: 14] აღწევს. ჩრდილოეთით კი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებამდე ვრცელდება.

§ 2. სკარაბეები და სკარაბეოიდები

ეგვიპტესთან გარკვეული კონტაქტების მანიშნებელი უნდა იყოს სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი სკარაბეები [Khanzadyan 2003: 100; Piliposyan 2015: 67, pl.II] და ზოგიერთი სკარაბეოიდი [Narimanishvili 2010: 289, 323 XXII, XXIV₁₆].

თრიალეთში, საფარ-ხარაბას სამაროვნის №6 სამარხში აღმოჩნდა ცისფერი გამჭვირვალე მინისგან დამზადებული ადამიანის სახის ფორმის სკარაბეოიდი (ტაბ. XLIX_{9,10,11}). ასეთი სტილის სკარაბეოიდები გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში, შუა სამეფოს გვიანდელ ეპოქასა და მეორე გარდამავალ პერიოდში (ძვ.წ. XVII-XVI სს.). ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკარაბეოიდი დამზადებულია მწვანე იასპისგან. ის ფარაონ სებეკემსაფს ეკუთვნოდა [Hall 1913: 22-23, ნახ. 211]. ადამიანის სახიანი „სკარაბეოიდი“ არაა უჩვეულო ეგვიპტური სკარაბეოიდებისათვისაც, მსგავსი ეგზემპლიარები ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში [Budge 2001: 243]. აღსანიშნავია მენამორში აღმოჩენილი რამდენიმე ცალი ადამიანის სახიანი სკარაბეოიდი [Piliposyan 2015: 67, pl.II-3, 4, 5]. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნუზიში აღმოჩენილი მწვა-

ნე მინის სკარაბეოიდი (ტაბ. XLIX - 12), რომელთანაც საფარ-ხარაბული ცალი საოცარ მსგავსებას იჩენს [Starr 1937: ტაბ. 120-RR1]. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ისინი ერთ სახელოსნოში დამზადებული ნაკეთობების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

საფარ-ხარაბას ამავე სამარხში აღმოჩნდა ოთხი ცალი წრიული ფორმის მინის სკარაბეოიდი, საბეჭდავი (Narimanishvili 2010: 288, 322 ტაბ. XXII^{5,6,8,9}; XXIV¹²⁻¹⁵) თუ ე.წ. თვალისანი მძივი (ტაბ. XLIX¹⁻⁴), რომელთა ერთი მხარე ბრტყელია და მასზე გამოსახულებაა მოცემული, მეორე კი ოდნავ ამობურცული. გარე პერიმეტრი მოშავო-მოლურჯო ფერის მინისაა, შემდეგ არის ყვითელი, გამჭვირვალე მინის ფონი, ცენტრში ჩასმულია მუქი ფერის შავი „თვალი“, რომელიც სისტემურად ამოკვეთილი ორნამენტით არის შემკული (ტაბ. XLIX¹⁻⁴); თვალები თითქოს მცენარის თესლის გამოსახულებას მოგვაგონებს (ტაბ. XLIX^{6,7,8})

§. 3. სარიტუალო ქვები

თრიალეთში, საფარ-ხარაბას სამაროვნის №8 სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა გეოლოგიური ჯიშის, ფორმის და ფერის ცხრა ქვა (ტაბ. LI-LII), რომლებიც დიდ მსგავსებას იჩენენ ძველი ეგვიპტის სარიტუალო პრაქტიკაში გამოყენებულ ქვებთან. საფარ-ხარაბას სამარხში ეს ქვები ელაგა მიცვალებულის ზურგს უკან (ტაბ. LVII), პატარა ტომარაში, რომელშიც ამ ქვების გარდა დადასტურდა ძვლისგან დამზადებული ორი იარღი, ობსიდიანის ისრისპირები და ბრინჯაოს ლანცეტისებური დანები.

სამი ქვა ფორმით ნაკვეთილ პირამიდას მოგვაგონებს. სამივე ფართო ფუძიდან ნახევრამდე გახვრეტილია. ორ მათგანს ერთ-ერთ გვერდზე ლარები აქვს დატანილი. საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ქვები სავარაუდოდ ეგვიპტური წარმომავლობისაა [Narimanishvili 2006: 95-96]. ისინი განსაკუთრებით დიდ მსგავსებას იჩენენ ტუტანხამონის სამარხში (ტაბ. LVI) აღმოჩენილ ქვების ნაკრებთან [Hagen 2002: 160].

საფარ-ხარაბას ინსტრუმენტების ნაკრები საოცრად ჰგავს ძველ ეგვიპტეში ფართოდ გავრცელებული რიტუალის „პირის და თვალების გახსნის რიტუალის“ შესრულებისათვის აუცილებელი საგნების ნაკრებს (ტაბ. LV). ე.წ. „პირის გახსნის“ რიტუალი წარმოადგენდა სხეულის მიწიერი ფუნქციების აღდგენის ცერემონიების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ეს რიტუალი ხშირად გამოიხატებოდა XVIII და XIX დინასტიების პაპირუსებზე, თუმცა ძველი სამეფოს ეპოქიდან არის ცნობილი. ეგვიპტელების რწმენით ცალკეული ქვების შეხებას ადამიანის სხეულის ნაწილებთან მათი ფუნქციის აღდგენა უნდა გამოეწვია.

„პირის და თვალების გახსნის“ რიტუალი ერთ-ერთი ყველაზე სრულად და დეტალურად აღწერილი ტექსტია, რომელიც ჩვენამდე შემოინახა ახალი სამეფოს ეპოქიდან (ძვ.წ. 1570-1085 წწ.). ტექსტების ნაწილი გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ 1881 და 1890 წლებში, ხოლო ყველაზე სრული ვერსია გამოსცა ებერჰარდ ოტტომ 1960 წელს, რომელშიც მანამდე უცნობი, ახლად აღმოჩენი-

ლი მასალაც შევიდა. უძველესი და ყველაზე სრულყოფილი ტექსტი ცნობილია თებედან, რეჰამირის სამარხიდან, რომელიც XVIII დინასტიის (ძვ.წ. 1570-1345 წწ.) დროის ნარჩინებული პირი იყო. ყველაზე გვიანდელი ტექსტები კი რომაულ ხანას ეკუთვნის [Bjerke 1965: 201-202]. ზოგიერთ სამარხში ტექსტს ახლავს ფრესკებიც. რეჰამირის სამარხში ასეთი 51 „სცენაა“ წარმოდგენილი. ვარიაციები ჩანს სხვადასხვა ინდივიდუალურ ტექსტში, მაგრამ სხვაობა უმნიშვნელოა. ე. ოტტომ აღადგინა სრული ტექსტი, რომელიც 75 „სცენითაა“ წარმოდგენილი. რიტუალის ობიექტი ძირითადად არის გარდაცვლილის მუშია, მისი ქანდაკება, ან ანთროპომორფული სარკოფაგი, თუმცა ერთ შემთხვევაში რიტუალი სრულდება დედოფალ ტაუსრეტის კარტუშისთვის [Bjerke 1965: 201-202].

რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს და მის მატერიალურ მაჩვენებელს წარმოადგენს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ინსტრუმენტების (ხელსაწყოების) ნაკრები. ინსტრუმენტების ძირითადი ნაწილი ქვისგან იყო დამზადებული. ყველა ნაკრების ძირითად ელემენტს წარმოადგენდა ერთ ბოლოში ორად გაყოფილი კაჟის, ან სხვა ქვისგან დამზადებული დანის პირი, რომელსაც ძველევგვიპტურად pss-kf (Pesesh-Kaf) ეწოდებოდა [Roth 1992: 113]. ხელსაწყოების ნაკრებში კაჟის დანას ცვლიან ბრტყელი დანის პირები. მათი სახელი ითარგმნება, როგორც “ორი ვარსკვლავი”. ა. როტის აზრით, ეს სახელი მათ ეწოდებოდათ იმ ფაქტის გამო, რომ შესაძლოა მეტეორიტული რკინისგან მზადდებოდა [Roth 1992: 116]. ამის გარდა, ნაკრების შემადგენლობაში შედიოდა ქვის ნამზადები, რომელთაგან ზოგს ნახვრეტი ჰქონდა გაკეთებული. ვან ვალსემს ამგვარი ხელსაწყოების ოცდაშვიდი ეგზემპლარი ჰქონდა გამოყოფილი [Roth 1992: 115] ნაკრები აგრეთვე შეიცავდა მუქი ფერის, ვიწრო, ბრტყელ ორ საჭრისს, რომლებიც ერთმანეთის სარკისებრ ანარეკლს წარმოადგენდნენ. ერთს მარჯვენა ზედა კუთხე მომრგვალებული ჰქონდა და მარცხენა ზედა კუთხე სწორი, მეორეს კი პირიქით [Roth 1992: 115]. ერთ-ერთი ინსტრუმენტი სერდოლიკის, ან სხვა წითელი ფერის ქვა უნდა ყოფილიყო, რომელიც გ. მასპეროს აზრით ტუჩის ფერის აღდგენას ემსახურებოდა [Budge 2003: 275]. აღსანიშნავია, რომ საფარ-ხარაბას ნაკრები ეგვიპტურის მსგავსად მუქი ფერის ქვის ორ ბრტყელ იარაღს (ტაბ. LIII_{3,4}) და წითელი ქვის იარაღსაც (ტაბ. LIII₁) შეიცავს.

ხელსაწყოების ნაკრებები გვხვდება ძველი სამეფოს დროინდელ ინდივიდუალურ სამარხებში მემფისსა და პროვინციული ცენტრებში [Roth 1992: 116]. პირამიდის ტექსტებზე დაყრდნობით, ა. როტი თვლის, რომ ეს ხელსაწყოები ემსახურებოდა გარდაცვლილის ხელახალ დაბადებას, რადგან მათი ზემოქმედების აქტი სრულდებოდა იმ შელოცვის შემდეგ, რომლის შედეგადაც გარდაცვლილი მეფე, სანამ ის ხელახლა დაიბადებოდა, გადიოდა დაბადების არხს. ისინი გამოიყენებოდა რიტუალური დაბადების აქტში, ხოლო დანის პირი ჭიპლარის გადაჭრას ემსახურებოდა [Roth 1992: 123-124].

ფ. პიტრის მიხედვით, სამარხებში ეს ხელსაწყოები ძირითადად მიცვალებულის ზურგს უკან იდო [Roth 1992: 130], თუმცა ეს წესი გვიანდელ ხანაში იცვლება და ხელსაწყოები მიცვალებულის წინ არის დანყოფილი [Roth 1992:

131-132]. საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ინსტრუმენტებიც მიცვალებულის ზურგს უკან ეწყობ (ტაბ. LVII).

„პირის და თვალების გახსნის” რიტუალი მდგომარეობს იმაში, რომ ქურუმი ამ ხელსაწყოებით ეხებოდა მიცვალებულის თვალებს, პირს, ყურებს. ამ შეხებას თან სდევდა შესაბამისი შელოცვების კითხვა სხვა ქურუმების მიერ. ტექსტში ტუტანჰამონის სამარხიდან ნათქვამია: „მე ვხსნი შენს პირს, რომ შენ ილაპარაკო, შენს თვალებს, რომ ხედავდე რას, შენს ყურებს, რომ გარკვევით გაიგო, შენს ფეხებს, რომ იარო, შენს გულს და შენს ხელებს”. ამ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ამ რიტუალის შედეგად მიცვალებულმა საიქიო არსებობისათვის უნდა აღიდგინოს ყველა ორგანო [Bjerke 1965: 213].

„პირის და თვალების გახსნის რიტუალი” წარმოადგენს დასაკრძალავი რიტუალების კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. ამ კომპლექსური რიტუალის შესრულების შედეგად გარდაცვლილი საბოლოოდ ტოვებს ამ სამყაროს, სააქაოს, ხოლო საიქიოში ის იძენს სრულ სასიცოცხლო ძალებს, მას უბრუნდება ყველა ორგანო და სრული სიცოცხლისუნარიანობა [Bjerke 1965: 213-215].

საფარ-ხარაბას №8 სამარხში აღმოჩენილი ინსტრუმენტების ნაკრები სრულად შეესაბამება ეგვიპტურ კომპლექტებს. როგორც ჩანს ისინი ეგვიპტურ იმპორტს წარმოადგენდნენ. თუ როგორ მოხვდა ეს კომპლექტი სამხრეთ კავკასიაში და რა დანიშნულებით გამოიყენებოდა ისინი, ძნელი სათქმელია. თუმცა ფაქტია, რომ საფარ-ხარაბაშიც ისინი ერთად ეწყობ.

§ 4. ინსიგნია

სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთების მთელი წყება საკულტო-სარიტუალო, სამეურნეო თუ საბრძოლო ინვენტარად მოიაზრება. ამ ნივთების ნაწილი, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ემბლემებს წარმოადგენს, თუმცა ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირადაა მოხსენიებული კვერთხისთავები (ბელადის კვერთხი). თუმცა, არც ისინია შესწავლილი სათანადოდ. სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი კვერთხისთავების მრავალფეროვნება ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დანაწევრების საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მათი ატრიბუციის საფუძველიც გახდეს.

სახელისუფლებო ძალაუფლების გამომხატველი უნიკალური ნივთი აღმოჩნდა თრიალეთში, საფარ-ხარაბას სამაროვანის №8 სამარხში (ტაბ. LVII). ის ორმოსამარხია. კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმის სამარხი ორმო ჩაჭრილი იყო ყვითელ თიხნარში (2.0X1.15X0.6მ) და მიმართული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მიცვალებული ესვენა თავით ჩრდილოეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი; სამარხი კამერის ჩრდილოეთ კედელთან თიხის სამი ჭურჭელი ელაგა, ერთი აღმოსავლეთის კედელთან იდგა. ერთ-ერთი ქოთნის (საველე №62) პირზე ჩამოდებული იყო გრძელღეროიანი კვერთხისებური ნივთის თავი (საველე №66). ის დამზადებულია ბრინჯაოსაგან, აქვს ლათინური T-ს მაგვარი თავი და გრძელი გრეხილი ღერო, რო-

მელიც კაუჭით ბოლოვდება. კაუჭის წვერი კი მიცვალებულის თავის ქალაზე, კეფაზე იყო მიბჯენილი (ტაბ. LVII-_{1,2}).

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იდო ბრინჯაოს სატევარი (საველე №65; ტაბ. LVII₁). სამარხის დასავლეთ კიდედან, მიცვალებულის ტანის გასწვრივ, მოხრილი იდაყვის ქვეშ დაფიქსირდა კაპარჭი (საველე №69; ტაბ. LXII_{6,7}). ხის კაპარჭს ცალ მხარეს ბრინჯაოს გარსაკრავები ჰქონდა (ტაბ. LXII_{2,3}), სულ ქვედა ბოლოში კი „მედალიონი“ იყო მიმაგრებული. კაპარჭის საღტის ზედა კიდედან დაფიქსირდა ობსიდიანის ექვსი ისრისპირი (საველე №70), ყველა მათგანი წვერით გარეთ, სამხრეთისკენაა მიმართული. ბუდის ბოლოსთან დევს შავი ობსიდიანის ერთი ისრისპირი (საველე №71) წვერით ჩრდილოეთით, ე.ი. დანარჩენი ისპინვერების სანინააღმდეგო მიმართულებით. კაპარჭის ნაშთზე ხის ხუთი ღერო, ისრის ზრო გამოიკვეთა (ტაბ. LXII_{6,7}). ოთხი მათგანის ერთ ბოლოსთან ექვსი ისრისპირი იდო, ერთი კი მათ მოპირდაპირედ მდებარე ისრისწვერის ზროს წარმოადგენდა. ღეროების (ზრო) სიგრძე დაახლ. 40.0 სმ-ია, დაფიქსირებული დიამეტრი 0.05-0.08 სმ-ს უდრის. კაპარჭის პირთან ტყავის თოკისებური ანაბეჭდი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ კაპარჭი მთლიანად დაფარული იყო შავი მასით, რაც ტყავის ნარჩენებს (ანაბეჭდს) უნდა წარმოადგენდეს. კაპარჭის საერთო სიგრძე 51 სმ-ია, მაქსიმალური სიგანე 17 სმ.

მიცვალებულის ზურგს უკან, კაუჭიან კვერთხსა (საველე №66) და ქოთანს (საველე №64) შორის ინსტრუმენტებისა თუ იარაღების გროვა დაფიქსირდა, რომელიც ქვის, ძვლისა და ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება (ტაბ. LVII_{2,4}). ინსტრუმენტების შემადგენლობაში შედის ორი სალესი ქვა – ერთი დიდია და მოყვითალო რბილი ქვიშაქვისაა (საველე №73), მეორე შედარებით მცირე ზომის შავი ქვისაა, კარგადაა გაპრიალებული და გახვრეტილი (სავ. №74). სალესავების ქვეშ მოჩანდა თითო ისრისპირი - № 84 იდო დიდი სალესი ქვის ქვეშ, მეორე (საველე №83) კი შავი სალესის ქვეშ. სალეს ქვებზე ზემოდან ენყო საგანგებო დანიშნულების, შედარებით მცირე ზომის, ქვის ნივთები: ინსტრუმენტების გროვას ფარავდა ორი ბრტყელი ქვა – მონითალო (საველე №79) და რუხი (საველე №78); მათ ქვეშ მოჩანდა წაკვეთილი პირამიდის ფორმის, ფუძეგახვრეტილი ორი ნივთი (საველე №№75,76); ასეთივე ფუძეგახვრეტილი, ღია ნაცრისფერი ქვის ნივთი (საველე №77) იდო ბრტყელი რუხი ქვის (საველე №80) გასწვრივ; მის ქვეშ მოჩანდა ბრტყელი ქვის წაგრძელებული ნივთი, ფოსოთი (საველე № 78), ცალ მხარეს გაგანიერებული; ბრტყელი ქვების (საველე №79,80) ქვეშ იყო მოთავსებული რუხი ქვის სალესი (საველე №81); დიდი სალესი ქვის (საველე №73) დასავლეთ კიდეზე იდო მოთეთრო-მონაცრისფირო ქვის ნივთი (საველე №82). პირამიდულ ქვებთან (საველე №№75,76) აღმოჩნდა ობსიდიანის ისრისპირი (საველე №85); ინსტრუმენტების ქვეშ გამოჩნდა ბრინჯაოს ორი ლანცეტისებური იარაღი (საველე №№67,68), რომლებსაც ლულოვანი ძვლის გრძელი ტარები აქვთ. აქვე იდო ძვლის ორი, ერთი ტიპის მოგრძო ნივთი (საველე №№86,87). ინსტრუმენტები მიწის საერთო ფონიდან გამორჩეულ, მოშავო-მოყავისფრო ლაქაში იყო მოქცეული. როგორც

ჩანს, გროვად დაფიქსირებული იარაღები საგანგებო ბუდეში ენყო, რასაც ადასტურებს ნივთების შემჭიდროებული მდებარეობაც ფიქსირების მომენტში. (შენიშვნა: სამარხში აღმოჩენილი არტეფაქტები: 1. ქოთანი (№61), თიხის, შავი ფერის. მუცელზე სამი რელიეფური ხაზით (ტაბ. LVIII₂; LIX₃); 2. ქოთანი (№62), თიხის. მოყავისფრო-მოშავოდ, არათანაბრად გამომწვარი. ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლები დაფიქსირდა. ქოთანს ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა (ტაბ. LVIII₃); 3. ღრუქუსლიანი ქილა (№63), თიხის, შავად გამომწვარი. მუცელზე სამი, ყურისებური შვერილით. ტანი შემკულია ამოღარული სარტყლებით (ტაბ. LVIII₃; LIX₃); 4. ქოთანი (№64), თიხის, ძლიერ დაზიანებული (ტაბ. LIX₄); 5. სატევარი (№65) ბრინჯაოსი, სიგრძე – 21.5 სმ. (ტაბ. LXIII₃); 6. კვერთხისმაგვარი ნივთი (№66), ბრინჯაოსი, აქვს T-ს მაგვარი თავი და გრძელი ღერო, რომელიც კაუჭით ბოლოვდება. ღეროს თავის შუა ნაწილი შესქელებულია, გახვრეტილია და მასში ჩამაგრებულია ბრინჯაოს ღერაკი. კვერთხის ღერო ზედა ნაწილში, ღერაკიდან 3.0-3.5 სმ-ის სიგრძეზე მრგვალგანივკვეთიანია, შემდეგ ის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ხდება და 4.5 სმ-ის სიგრძიდან დაგრეხილია. გრძელი ღეროს ქვედა ნაწილი ისევ ოთხკუთხაგანივკვეთიანი ხდება, რომელიც მორკალული და წვეტიანი კაუჭით ბოლოვდება. კვერთხის საერთო სიგრძე 62.0 სმ-ია (ტაბ. LX_{1,3}; LXI₁); 7. ლანცეტისებური ნივთი (№67), ბრინჯაოსი, თხელი პირით და ოთხნახნაგა, ბოლოსკენ დავიწროვებული ყუნწით. ყუნწთან გატეხილია. იარაღს ჰქონდა ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული ტარი. ბრინჯაოს პირის სიგრძე 4.0 სმ-ია. ლანცეტის საერთო სიგრძე 20 სმ-ს უდრის (ტაბ. LXI_{2,3}; LXIII₂); 8. ლანცეტისებური ნივთი (№68), ბრინჯაოსი, თხელი პირით და ბოლოსკენ გათხელებული ყუნწით. იარაღს ჰქონდა ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული ტარი. ბრინჯაოს პირის სიგრძე 4.0 სმ-ია. ლანცეტის საერთო სიგრძე 18 სმ-ს უდრის (ტაბ. LXI_{4,5}; LXIII₂); 9. კაპარჭის ფრაგმენტები (№69), ბრინჯაოსი, ხის, ტყავის (ტაბ. LXII_{6,7}). კაპარჭში ენყო ისრები, რომელთაგან შემორჩა რვა ისრისწვერი და ხუთი ზრო. კაპარჭს ჰქონდა ტყავისაგან დანსული ჩამოსაკიდებელი თასმა. ბრინჯაოს გარსაკრავზე (ტაბ. LXII_{2,3}) ჩატარდა მიკრორენტგენო-სპექტრული ანალიზი. დადგინდა, რომ ის შეესაბამება ბრინჯაოს, სადაც მალეგირებული ელემენტი იყო კალა. კაპარჭის საერთო სიგრძე 51 სმ-ია, მაქსიმალური სიგანე პირთან 17 სმ.; 10. ისრისპირი (№70), ობსიდიანის, ექვსი ცალი, კაპაიჭის პირთან (ტაბ. LXII₁); 11. ისრისპირი (№71), კაჟის, კაპარჭის პირთან (ტაბ. LXIII_{1a}); 12. ისრისპირი (№72), ობსიდიანის. კაპარჭის ბოლოსთან; 13. სალესი (№73) ქვიშაქვის (ტაბ. LIV₃). აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 14. სალესი (№74), რიყის ქვის, რუხი-მოშავო ფერის (ტაბ. LIV₁). პირდაპირი დანიშნულების გარდა ის გამოიყენებოდა სანაყად, რაზეც მიუთითებს სალესის ბოლოში არსებული მრავალი წვრილი ჩანაჭდევი. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 15. ნაკვეთილი პირამიდის ფორმის ნივთი (№75), ღია ნაცრისფერი ქვის. ჭრილში ოთხკუთხა განივკვეთიანია, ზედაპირი მოსწორებული აქვს (ტაბ. LI; LII₂). ერთ-ერთ ნახნაგს დაუყვება ჰორიზონტალურად განლაგებული ორი ასიმეტრიული, ნახევარწრის ფორმის ღარი. ნივთს ტანის გასწვრივ, ძირის მხრიდან წრიული ნახვრეტი აქვს, რომელიც არ არის გამჭოლი. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“

გროვაში; 16. ნაკვეთილი პირამიდის ფორმის ნივთი (№76), მონაცრისფრო-მოთეთრო ქვის. ქრილში მართკუთხედი ფორმის, კუთხეებმომრგვალებული, ზედაპირი კარგად არის მოსწორებული, მაგრამ დამსკდარია (ტაბ. LI₂; LII₃). ნივთს ფუძის მხრიდან წრიული ნახვრეტი აქვს. ნივთი ნაკლულია, ერთ მხარეს ჩამოტეხილი აქვს გვერდის ნაწილი. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 17. ნაკვეთილი პირამიდის ფორმის ნივთი (№77), ღია ნაცრისფერი ქვის. ქრილში მართკუთხედი ფორმის, ზედაპირი კარგად არის მოსწორებული. ნივთს ფუძის მხრიდან წრიული ნახვრეტი აქვს, ნახვრეტი არ არის გამჭოლი (ტაბ. LI₃; LII₄). ერთ-ერთი გვერდის წიბოსთან დატანილია კვეთის ტექნიკით შესრულებული ნიშანი – გრძივად დატანილ სწორ ხაზზე ექვსი ჭდეა გამოსახული. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 18. ქვის ნივთი (№78), ნაცრისფერი. ბრტყელ ქვას ერთი ბოლო შევიწროვებული აქვს. ერთ მხარეს, გვერდის ნაპირთან დიდი ფოსოა. ნაპირები შეთხელებული და ატკეცილია (ტაბ. LIV₂). ზედაპირზე, ორივე მხარეს ემჩნევა ჰორიზონტალური ნაკანრები, ხევის კვალი. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 19. სალესი (№79), მონითალო პემზის. გლუვზედაპირიანია და ერთი გვერდი მომრგვალებული აქვს, მეორე მხარეს, ხანგრძლივი ხმარებისაგან, ნაპირები შეთხელებულია (ტაბ. LIII₁). აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 20. სალესი (№80), ფოროვანი რუხი ქვის, ნახევარწრის ფორმისა (ტაბ. LIII₄). ზედაპირი ორფერდაა, რაც ნივთის ხანგრძლივ ექსპლუატაციაზე მიუთითებს. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 21. სალესი (№81), ფოროვანი რუხი ქვის, მოგლუვებული ზედაპირით და ნახევარწრის ფორმის (ტაბ. LIII₃). აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 22. სალესი (№82), ფოროვანი რუხი ქვის, არასწორი ტრაპეციის ფორმის, გლუვზედაპირიანი (ტაბ. LIII₂). ერთი გვერდი მოსწორებულზედაპირიანი, მეორე მკვეთრად შეთხელებული. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 23. ქვა (№82ა) მონაცრისფრო, ფრაგმენტული. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 24. ისრისპირი (№83), შავი ობსიდიანის. ფუძემოლარული, რეტუშირებული ნაპირებით. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 25. ისრისპირი (№84), ობსიდიანის, მონაცრისფრო, გამჭვირვალე, თხელი, სამკუთხა; ფუძე ამოღებულია ტრაპეციისებურად, გაფართოვებული ნაწილით გარეთ; ფრთების ბოლოების შიდა მხარეს დამატებითი, მოკლე, წვეტიანი ფრთები აქვს. ნაპირები წმინდად არის რეტუშირებული (ტაბ. LXIII_{1b}). აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 26. ისრისპირი (№85), ობსიდიანის, ნაკლული. აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 27. ძვლის ნივთი (№86), ზედაპირზე შემორჩენილია გაპრიალების კვალი. ქრილში ოთხნახნაგა, თავსა და ბოლოში მომრგვალებული (ტაბ. LIV₃). აღმოჩნდა „ინსტრუმენტების“ გროვაში; 28. ძვლის ნივთი (№87), მსგავსია №86 ნივთისა (ტაბ. LIV₄), შემორჩენილია ფრაგმენტულად).

როგორც ვხედავთ, ინსიგნია გამორჩეულ სამარხშია აღმოჩენილი და მას ცენტრალური ადგილი უკავია. საფარ-ხარაბას სამაროვნის № 8 სამარხში აღმოჩენილი სახელისუფლებო ემბლემის უახლოესი პარალელი აქვე, თრიალეთში აღმოჩნდა [Narimanishvili 2005]. ნალკის რაიონის სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე 2003 წელს ადგილობრივმა მოსახლემ მიაკვლია და გათხარა სამარხი, რომელიც კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს ინვენტარსაც შეიცავდა.

სამაროვანი, სადაც სამარხი აღმოჩნდა, სოფლის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზეა გამართული. ინვენტარი ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებით და მეორე ნახევრით თარიღდება. ავრანლოში 2003 წელს აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარში განსაკუთრებით გამოირჩევა ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი – კაუჭი, სალტე და ხარის თავის ქანდაკება (ტაბ. LX_{4,6}).

აღმოჩენის ადგილის მონახულების და „გამთხრელთან“ გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ კაუჭი მიცვალებულის სახის წინ იდო, სალტე ხის ტარზე იყო წამოცმული. 10-15 სმ დაშორებით ჩრდილოეთით ხარის თავის ქანდაკება იდო. ქანდაკებასა და სალტეს შორის ხის ნაშთი იყო დადასტურებული. როგორც ჩანს, სამარხი (ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი) დამხრობილი იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მიცვალებული ესვენა თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე („გამთხრელის“ სიტყვებით, მიცვალებული აღმოსავლეთისკენ იყურებოდა).

ნივთები, რომელთაც კაუჭისმაგვარი დაბოლოება აქვთ, ადრეც იყო აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (მაგ. უხეში კაუჭები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულების ნივთებად ითვლება), მაგრამ ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში (ტაბ. LXIV₄) პირველად იქნა დადასტურებული.

კაუჭისმაგვარი კვერთხი ძველ ეგვიპტეში ოსირისის სიმბოლოს წარმოადგენდა. იგი მწყემსის ჯოხის (კომბალი) აღმნიშვნელი იყო. მოგვიანებით ამგვარი ნივთი ფარაონების სიმბოლოც გახდა. ამ ფორმის ნიშანი ძველ ეგვიპტეში სიტყვას „მართვა“ („ბატონობა“) აღნიშნავდა [Leontiev 1990: 117]. ძველი ეგვიპტელისათვის იდეალური ფარაონი იყო „კეთილი მწყემსი“, რომელიც ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალს [Frankfort et al. 2001: 103]. მესოპოტამიაში ღმერთ ანუს სიმბოლო იყო სკიპტრა (სამეფო კვერთხი), კვერთხი, გვირგვინი და მწყემსის არგანი [Frankfort et al. 2001: 177]. ძველ ბაბილონში კაუჭი სიკვდილის მომგვრელი და დამანგრეველი ღმერთის - ამურუს (მარტუ) სიმბოლო იყო [Black, Green 1992: 54]. კასიტურ საბეჭდავებზე კაუჭი ადამიან-თევზებს უკავიათ, რომლებიც მინისქვეშა წყლების ღმერთ ეასთან ასოცირდებოდნენ [Black, Green 1992: 54]. კაუჭი ასურეთის მეფეების ინსიგნიასაც წარმოადგენდა. ეს ნივთი უკავია ასურნასირაპალ II (ძვ.წ. 883-859 წწ), რომლის ქანდაკებაც ქ. კალხუში, ომის ღმერთ ნინურთან ტაძარში იდგა (ტაბ. LXIV_{6,7,8}). მეფეს მარცხენა ხელში სამეფო სკიპტრა უკავია, მარჯვენაში კი კაუჭისმაგვარი სიმბოლო [Frankfort 1977: 152, სურ. 175].

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კაუჭისმაგვარი სიმბოლო-ინსიგნია ძველი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული და განსაკუთრებული ძალაუფლების სიმბოლოდ (არ არის გამორიცხული, სიკვდილთან დაკავშირებული) აღიქმებოდა.

ინსიგნებს წარმოადგენდა კვერთხებიც, რომელთა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული თავები სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის ძეგლებზეა გაფიქსირებული. ერთ-ერთი ასეთი კვერთხისთავი საფარ-ხარაბას № 85 სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LX₅). მას ხის მოკლე ტარი ჰქონდა (ტაბ. LXIV₉). მსგავსი კვერთხები (ტაბ. LXIV₁₋₄) ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთში.

§ 5. შტანდარტები

ძვ.წ. XVI-XIV სს-ში სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ბრინჯაოს ქანდაკებები, რომლებიც როგორც ნესი, ნარჩინებულთა სამარხებში გვხვდება. მათი ნაწილი დასაკრძალავი ხის ურმების ხელნისა და უღლის შეერთების ადგილზე, უღლის ცენტრალურ ნაწილშია დამაგრებული. ამ ქანდაკებების ნაწილი მინიატურული ბრინჯაოს ჭურჭლის პირზე დგას, რომელიც თავის მხრივ რქისებურ სადგარზეა აღმართული. ქანდაკებები ცხოველებს და ფრინველებს გამოსახავს. რიცხობრივად სჭარბობს ფრინველის, სავარაუდოდ მტრედის და მტაცებელი ფრინველის (ძერა) ქანდაკებები. ასეთი შტანდარტები აღმოჩენილია სასირეთის განძში (ტაბ. LXXII₅) [Nioradze 2011; Pitskhelauri 2005: 55, ტაბ. XCVIII], ბერიკლდეების №4 ყორღანში (ტაბ. LXXII₆) [Pitskhelauri 2005: 55, ტაბ. CXXVIII], ნითელგორების №1 ყორღანში (ტაბ. LXXII₄) [Pitskhelauri 2005: 55, ტაბ. XLIV], ლორიბერდის №2 და №7 ყორღანებში [Devedjian 1981: სურ. 8], ლჭაშენის №1 და №8 ყორღანებში (ტაბ. LXXII-2,3) [Esayan 1980: 26-27, ტაბ. 31, 32, 1-3]. სამი ფრინველის ფიგურით არის დამშვენებული აპარანის შტანდარტი (ტაბ. LXXII₇), ოფოფის (?) ბრინჯაოს ქანდაკება აღმოჩნდა აცარაგში [Esayan 1980: ტაბ. 33-1]. აღსანიშნავია მენამორის X ყორღანში ნაპოვნი ფრინველის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც რქისებური სადგრის მსგავსი ჭურჭლისებური ფორმის ღრუ ფოსოში ბრუნავს [Pitskhelauri 2005: 57].

საკმაოდ ბევრია ირმის ბრინჯაოს ქანდაკებები. ლორიბერდის №15 სამარხში აღმოჩნდა სამი ირმის ქანდაკება ორი ნუკრით და ორი მცირე ზომის ცხოველითურთ [Pitskhelauri 2005: 56]. ირმების ბრინჯაოს ქანდაკებები ნაპოვნია ლჭაშენში (ტაბ. LXX₅), ლცენში, თოლორსში (ტაბ. LXX₃) [Esayan 1980: ტაბ. 28-2, 4; 29], ნითელგორების №1 (ტაბ. LXX₄) და ბერიკლდეების №4 ყორღანებში (ტაბ. LXX₆) [Koridse 1995: სურ. 97; Miron, Orthmann 1995: სურ. 77], გარაჯამირლიში აღმოჩნდა ირმის ქანდაკება (ტაბ. LXXIX_{1,2}), რომელიც აღმართულია წრიულ სადგარზე თუ ბორბალზე [Akhundov, Narimanov 1996: სურ. 7]. კუდურულს ყორღანში ნაპოვნი იყო ირმის ქანდაკება [Pitskhelauri 2005: 56].

ჯიხვის ბრინჯაოს ქანდაკებები აღმოჩნდა ართიკის №79 სამარხში (ტაბ. LXX₁), გეთაშენში (ტაბ. LXX₂) და ლჭაშენში [Esayan 1980: ტაბ. 28-1, 6, ტაბ. 30]. ჯიხვის თავის ბრინჯაოს ქანდაკება ცნობილია სასირეთის განძიდან [Nioradze 2011: სურ. 15]. ორი ჯიხვის მცირე ზომის ქანდაკებაა გამოსახული ლჭაშენის ერთ-ერთ ინსიგნიაზე [Esayan 1980: ტაბ. 27-1]. ხარის ბრინჯაოს ქანდაკებები აღმოჩენილია ლჭაშენში (ტაბ. LXXI_{2,4,5}) [Esayan 1980: ტაბ. 27-2]. ხარის თავების ბრინჯაოს ქანდაკებები აღმოჩენილია ეჩმიაძინში (ტაბ. LXXI₁).

ლომის და შეიარაღებული მამაკაცის სკულპტურული გამოსახულება (ტაბ. LXXIII₂) აღმოჩნდა შირაკავანის № 15 სამარხში [Torosyan, Khnikyan, Petrosyan 2002: ტაბ. XIV]. ლომის ფიგურა ამკობს ნერკინ-დვინის შტანდარტს (ტაბ. LXXIII₃) ყარაჯამირლის ყორღანში ნაპოვნი მწოლიარე ადამიანის ქანდაკება (ტაბ. LXXIII₃), რომელზეც ლომის ფიგურაა აღმართული [Pitskhelauri 2005: 56]. ომაკანის № 30 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს შტანდარტი (ტაბ. LXXIII₄)

ლომის ქანდაკებით [Kalantaryan, Piliposyan, Melkonyan 2004: 70]. ლომების ქანდაკებებით არის შემკული ლჭაშენში აღმოჩენილი არტეფაქტებიც (ტაბ. LXXIII₁) ტაპირის (?) ქანდაკებიანი ბრინჯაოს შტანდარტი (ტაბ. LXXI₃) ცნობილია ნოემბერიანიდან [Grigoryan 2010: სურ. 59].

აღსანიშნავია ლჭაშენში (ტაბ. LXIX_{1,3}) და ლორი-ბერდში (ტაბ. LXIX₂) აღმოჩენილი შტანდარტები, რომლებიც ცხენებით შებმული ორბორბლიანი საბრძოლო ეტლების და მებრძოლების ქანდაკებებით არის შემკული [Esayan 1980: ტაბ. 38-1,2; 39; 40].

სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთხელ აღინიშნა ძვ.წ. II ათასწლეულის სამხრეთ კავკასიის და ძვ.წ. III ათასწლეულის ანატოლიაში (ალაჯა ჰუიუ-ქი, ჰოროზთეფე, ჩორუმი, ბოლაზ-ქოი) აღმოჩენილი ბრინჯაოს შტანდარტების (ტაბ. LXXIV; LXXV) საოცარი ტიპოლოგიური და ფუნქციონალური მსგავსება [Bittel 1976: 38; Mansfeld 2001: 52; Gomelauri 2009: 39-41; Pitskhelauri 2005: 59-60]. ანატოლიური შტანდარტები თავის მხრივ დიდ მსგავსებას იჩენენ ურის [Woolley 1934: ტაბ. 166, 167] და ქიშის [Colbert 1936: ტაბ. 21] სამეფო სამარხებში და ნასირიაში [Mallowan 1948: 51-55] აღმოჩენილ ადვირის გასაყრელ რგოლებთან (ტაბ. LXXV_{1,3}; LXXIX_{3,6}), რომლებზეც სხვადასხვა სკულპტურული გამოსახულებაა მოცემული. ეს მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ მეცნიერთა ნაწილი მათ ხალხთა, კერძოდ ხურიტების გარკვეულ გადაადგილებას უკავშირებენ [Mansfeld 2001: 52]. კ. ბიტელის აზრით, ანატოლიური შტანდარტების ფესვები კავკასიაშია მოსაძებნი [Bittel 1976: 38]. ნ. გომელაურის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ბრინჯაოს შტანდარტები გენეტიკურად ძვ.წ. III ათასწლეულის ცენტრალური ანატოლიის მასალას უკავშირდება [Gomelauri 2009: 39-40].

უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ეგვიპტესა და მესოპოტამიაში გავრცელებული იყო ცხოველთა ქანდაკებებით შემკული შტანდარტები. ნარმერისა (ტაბ. LXXVI₄) და ეანათუმის (ტაბ. LXXVI_{1,2}; LXXVII_{1,4}) „გამარჯვების სტელებზე“ გამოსახულია მსვლელობები, რომლის დროსაც პროცესიის მონაწილეებს ცხოველთა გამოსახულებით შემკული შტანდარტები უჭირავთ. შტანდარტების გამოსახულებები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარშიც არის გავრცელებული. ნარამსინის „გამარჯვების სტელა“ (ტაბ. LXXVI₃; LXXVII₅) სამხედრო დიდების გამოხატულებაა. ნარამსინი და მისი მეომრები ბრძოლით ადიან სიმალეზე. ნარამსინის უკან მიმავალ ფიგურებს, სავარაუდოდ მედროშეებს, ხელში უჭირავთ სხვადასხვა გამოსახულებით შემკული შტანდარტები (ტაბ. LXXVII₅).

ნარმერს, ნარამსინს და ეანათუმს შტანდარტები არ უკავიათ. ისინი მხოლოდ ინსიგნიებით არიან გამოსახული. ეანათუმის ინსიგნია ანზუდს გამოსახავს (ტაბ. LXXVII_{3,4}), რომელიც ომის ღმერთ ნინურთას სიმბოლოა. მსგავსი, ლომისთავიანი ფრინველის გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში, ყარაშამბის თასზეა მოცემული (ტაბ. XLI₄). ცხოველის სახიანი ფრინველის ქანდაკებები თრიალეთში, ბედენის პლატოზე გათხრილ №5 ყორღანშიც ყოფილა აღმოჩენილი [Gobejishvili 1981: 91].

მარის სასახლის კედელზე გამოსახულ ერთ-ერთ ფრიზზე გამოსახულია პროცესია, რომლის ცენტრალური ფიგურა ქურუმია და მას ხელში ხარის ქანდაკებით შემკული შტანდარტი უჭირავს (ტაბ. LXXVII₆).

ნუზის არქივებში აღმოჩენილი საბეჭდავების ანაბეჭდებზე გამოსახულია ადამიანის ფიგურები, რომელთაც ფრინველისა და ხარის გამოსახულებებით შემკული შტანდარტები უჭირავთ. ე. პორადას აზრით, ნუზის გამოსახულებებზე მოცემული შტანდარტები ეგვიპტური ე.წ. ჰოროსის შტანდარტების მსგავსია [Porada 1947: 15,43,115, ტაბ. 30,35,43].

მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთისა და ყარაშამბის თასები და სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი შტანდარტები სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნებიან, შესაძლებლად ვცანით და თასებზე გამოსახული ცალკეული ფიგურების შტანდარტებით სავარუდო მსვლელობას ჩანახატების სახით წარმოვადგენთ (ტაბ. LXXVIII).

კავკასიური შტანდარტები დიდ მსგავსებას იჩენენ თითქმის ათასი წლით ადრეულ ალაჯა-ჰუიუქის შტანდარტებთან და ქიშის სამარხებში აღმოჩენილ ეტლის სამკაულთან, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ნივთების ქრონოლოგიური გავრცელება მითანის სამეფოს არსებობას ემთხვევა. ეს არის ის ეპოქა, როდესაც ხეთების სამეფოს უჩნდება ძლიერი მეტოქე ხური-მითანის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ხეთური არტეფაქტები ჯერ-ჯერობით არაა დამოწმებული. ხოლო კავკასიაში მოპოვებული ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული მრავალრიცხოვანი ნივთები წარმოადგენენ იმპორტს ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან და ლევანტიდან, იმ ტერიტორიიდან, სადაც შეინიშნება ხურიტული მითანის ძლიერი გავლენა. სად მოხდა არაინდოევროპელი ხურიტების და ინდო-არიელი მითანიელების გაერთიანება, დღემდე სადაო საკითხია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ხური-მითანის გაერთიანება სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში უნდა მომხდარიყო. მითანიელები თავიანთ დაპყრობით ომებში ეყრდნობოდნენ სამხედრო ელიტას – marijanni-na, რომელიც წარმოადგენდა დიდგვაროვანთა წოდებას - „საბრძოლო ეტლებზე მოარულებს“. ჩვენი აზრით ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მიცვალებულის ეტლით დაკრძალვა შესაძლოა სწორედ ამ სოციალური ფენის არსებობაზე მიუთითებს სამხრეთ კავკასიაში. ალბათ ამ ფენის არსებობაზე მიუთითებს კახეთში, გოხებზე აღმოჩენილი საბრძოლო ეტლის მაკეტი (ტაბ. LXXXI₁). ეტლების ბრინჯაოს ზოომორფული შტანდარტებით შემკობა შესაძლოა დაკავშირებულია წოდებრივ ჰერალდიკასთან და გარკვეული ღვთაების თაყვანისცემასთან, რომელიც ითვლებოდა ამა, თუ იმ წოდების, კლანის, ან სამხედრო შენაერთის მფარველად (გავიხსენოთ ქადემის ომში მონაწილე ეგვიპტური სამხედრო შენაერთები: რას დივიზია, სეთის დივიზია და ა.შ.). ბრინჯაოს ზოომორფული შტანდარტების სემანტიკური მნიშვნელობის გარკვევა, ჩვენი აზრით შესაძლებელი იქნება ხეთური, ხურიტული და ინდოარიული მითოლოგიის საფუძველზე.

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ფრინველების და ცხოველების ფიგურების დიდი უმრავლესობა (მტრედი, ოფოფი, ჯიხვი, ლომი) იშთარის კულ-

ტთან არიან დაკავშირებული, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ომია. ამავე დროს, იშთარი, შეიძლება ითქვას ერთადერთია იმ ღვთაებათაგან, რომელმაც შეძლო საიქიოში ჩასვლა და იქიდან დაუბრკოლებლად დაბრუნება. შესაძლოა, ამის გამო იშთართან დაკავშირებული ცხოველები და ფრინველები განასახიერებენ კავშირს სააქაოსა და ქვესკნელს შორის. აღსანიშნავია, რომ სამხრეთკავკასიური შტანდარტები ძირითადად სამარხებშია აღმოჩენილი. ითვლება, რომ ისინი დასაკრძლავი ურმის (ტაბ. LXXXI_{2,3}) ხელნასა და უღლის შეერთების ადგილზე მაგრდებოდა. მიგვაჩნია, რომ, ისევე როგორც მესოპოტამიასა და მცირე აზიაში, შტანდარტების ნაწილი მართლაც ხელნაზეა დამაგრებული (ტაბ. LXXX), მაგრამ არა ყოველთვის უღელთან. ახლო აღმოსავლეთში ისინი ძირითადად „კუზიანი“ ხელნის ყველაზე მაღალ ადგილზე მაგრდებოდა.

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ საბრძოლო ეტლებისა და მებრძოლების ქანდაკებებით შემკული შტანდარტები მართლაც ხელნაზე მაგრდებოდა და ისინი „marijanni-na“ სოციალური ჯგუფის ინსიგნიებს წარმოადგენდნენ. შტანდარტების მრავალფეროვნება შეიძლება იმაზე მიუთითებს, რომ „მარიჯანინა“-ს წოდების ყველა საგვარეულოს თავისი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ და შესაბამისად მათთან დაკავშირებული განმასხვავებელი ინსიგნია გააჩნდათ.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი შტანდარტების ნაწილი, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში, ხელით სატარებელი იყო და ქვეითი ჯარის შტანდარტებს წარმოადგენდა. შტანდარტების ნაწილი კი სარიტუალო ცერემონიალების დროს გამოიყენებოდა.

§ 6. მცირე პლასტიკა

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის მცირე პლასტიკის (ტაბ. LXVI₂) ზოგიერთი ნიმუში [Pitskelauri 1973: ტაბ. XLIV-1] გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქანაანურ ქანდაკებებთან [Frankfort 1977: 144].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მელიდელე I სამლოცველოში აღმოჩენილი ქალის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება. ქალს მაღალი თავაბურავი ამშვენებს, რითაც ის ბრინჯაოს ლევანტიურ ქანდაკებებთან იჩენს სიახლოვეს. მელიდელური ფიგურა განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ბიბლოსის ქანდაკებასთან, რომელიც ლუვრში ინახება [Frankfort 1977: 259, სურ. 299, 300].

მელიდელეს ქანდაკება შესაძლოა ადგილზეა დამზადებული სირიული ქანდაკებების მიბაძვით. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ისინი მითანური საბეჭდავების და ეგვიპტური რიტუალური ქვების მსგავსად სირია-მესოპოტამიურ იმპორტს წარმოადგენდნენ.

მცირე პლასტიკის ნიმუშები სამხრეთ კავკასიის გვიანდელ ძეგლებზეც გვხდება. ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ადამიანის (ტაბ. LXVI_{1,3,4}) და ცხოველების ქანდაკებებით არის წარმოდგენილი. ეს ნიმუშები ახლო მსგავსებას იჩენენ ანატოლიურ და ირანულ თანადროულ არტეფაქტებთან.

§ 7. ქალის ჰორელიეფები კახეთიდან

კახეთში, გურჯაანის რაიონში, სოფ. მელაანის სამხრეთით 7.0 კმ. დაშორებით, XX საუკუნის 60-იან წლებში გაითხარა სამლოცველო, რომელიც ლიტერატურაში შევიდა “მელი-ღელეს სამლოცველო I”-ის სახელით. მის მოზრდილ ნაწილს ზევიდან ფარავს მელი-ღელე II სამლოცველოს დიდი ქვის წრიული ყრილი.

სამლოცველო ორი სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი. დაახლოებით 3 000 კვ.მ. ფართობზე სხვადასხვა დროის ორი სამლოცველო გაითხარა. ქვედა დონის სამლოცველოა „მელი-ღელე I“. ის ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს მიეკუთვნა [Pitskhelauri 1973: 112]. მოგვიანებით მისი თარიღი ძვ.წ. XIV-XIII სს. განისაზღვრა [Pitskhelauri 2005: 23]. მელიღელე I წარმოადგენს 2.0 მ. სიგანისა და 0.6 მ სიღრმის თხრილით გამოყოფილ შემადლებულ მოედანს, რომელსაც გარშემო რიყის ქვები აქვს შემოვლებული. ძეგლის მთელ ტერიტორიაზე დიდ და მცირე ჯგუფებად გვხვდება სხვადასხვა ნივთები. დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის გარდა აქ მოპოვებულია სარდიონის მძივები, ობსიდიანის ათასამდე ისრისპირი, ბრინჯაოს ბეჭდები, ლილები, სამაჯურები, საკიდები, მახვილის რამდენიმე იმიტაცია, თიხის შტამპური საბეჭდავები, ბრინჯაოს და თიხის ქანდაკებები. სულ 86 000-მდე სხვადასხვა ნივთი და ნივთების ფრაგმენტები გამოვლინდა [Pitskhelauri 2005: 23].

ზედა დონის სამლოცველო, „მელი-ღელე II“ შედარებით ახალგაზრდაა. ის „მელი-ღელე I“-ს ჩრდილო-დასავლეთიდან ებჯინება და ნაწილობრივ ფარავს მას [Pitskhelauri 1973: 116]. მელი-ღელე II სამლოცველოს წრიული ფორმა აქვს. მისი დიამეტრი დაახლოებით 80.0 მ-ს უდრის. შემოვლებული აქვს ერთი მეტრის სიმაღლისა და 10.0 მ. სიგანის ზღუდე, რომელიც დიდი ზომის რიყის ქვების სამი, ტერასებად განლაგებული წრისგან შედგება. წრეებს შორის ზოგან ტიხრებია გამართული [Pitskhelauri 1973: 116-117]. ზედა დონის სამლოცველო ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება [Pitskhelauri 1973: 117].

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ქალის ორ ჰორელიეფურ გამოსახულებაზე, რომელიც თიხის ბრტყელ ფირფიტაზე, თუ დიდი ზომის ჭურჭლის ყურზეა დაძვრნილი. პირველი გამოსახულების სიმაღლე 13,5 სმ-ია, წარმოადგენს შიშველ, ფრინველის სახიან ქალს, რომელსაც ერთი ხელი აწეული აქვს და ფირფიტის კიდეც სწვდება, ხოლო მეორე მოხრილია და მენჯზე უდევს (ტაბ. LXVII₂). წელზე წერტილოვანი ორნამენტით შემკული სარტყელი არტყია, ხოლო თავზე მრგვალი, ჭდეებით შემკული ქუდი ახურავს. მეორე გამოსახულება პირველის ანალოგიურია, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ორივე ხელი აწეული აქვს (ტაბ. LXVII₁). მელი-ღელეს მსგავსი გამოსახულებები [Pitskhelauri 1973: ტაბ. XLIV-2,3; Miron, Orthmann 1995: 251, სურ. 131] სამხრეთ კავკასიისათვის უცნობია.

მელი-ღელეს ჰორელიეფები მსგავსებას იჩენენ სირიულ-მესოპოტამიური ნაყოფიერების ქალღმერთის იკონოგრაფიასთან. ანალოგიური გამოსახულებებია მოცემული თიხის ჭურჭელზე ლარსადან (ტაბ. LXVIII_{7,8}) [Barrelet 1952: ნახ. 8], მარიდან (ტაბ. LXVIII₆) [Bunatz et al. 1999: 83, ნახ. 80], აგრეთვე ე.წ. Burney რელიეფზე (ტაბ. LXVIII₁) [Andre-Salvini 2008: 22].

შიშველი ქალღმერთის გამოსახულებები განსაკუთრებით პოპულარული ხდება ძვ.წ. XV-XIV სს-ის ხურიტული პერიოდის ნუზიში, სადაც ქალის ჰორელიეფები მოცემულია თიხის საკულტო „პლაკეტებზე“, თუმცა ამ გამოსახულებებს ხელები ანეული არ აქვთ [Starr 1937: ტაბ. 57-M, 99-M-R, 100-A-T].

ქალღმერთის მსგავსი გამოსახულებები სირია-მესოპოტამიაში ფართოდ არის გავრცელებული ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებამდე. ისინი გამოსახულია მინეთ ელ ბეიდას (ტაბ. LXVIII_{2,4}), ულუბურუნის (ტაბ. LXVIII₃) და ლაჰიშის ოქროს საკიდებზე, თიხის ყალიბზე (ტელ ქარნაიმი) და ცილინდრულ საბეჭდავებზე [Cornelius 1993: ტაბ. I, სურ. 1-3, ტაბ. VIII-21, 22, ტაბ. IX-23; Marinatos 2000: სურ. 1.8-1.11, 2.1, 2.2]. გვხვდება ეგვიპტეშიც, ქვის სტელეებზე (დეირ ელ მედინა) [Cornelius 1993: ტაბ. II-4].

ქალღმერთის ზოგიერთ გამოსახულებას ფრთები აქვთ [Barrelet 1955: სურ. 10, 11], ზოგიერთ მათგანს ხელში ლოტოსის ყვავილები, სარკეები, ფრინველი, ჯიხვები, ან ადამიანები უჭირავს [Barrelet 1955: სურ. 12, 13-ა, 16; Cornelius 1993 ტაბ. II-4, VII-2, VIII-2, 22, IX-4] ზოგიერთი მათგანი ლომზე (ტაბ. LXVIII₁) ან ანტილოპასნაირ ცხოველზე (ტაბ. LXVIII₅) დგას [Barrelet 1955: 11-ბ, d; Cornelius 1993: ტაბ. II-4, VII-20, IX-24], ან ცხენზეა ამხედრებული [Cornelius 1993: ტაბ. VIII-21, 22, IX-24]. ხელანეული ქალღმერთები მარიში (ტაბ. LXVIII₆) და ლარსაში (ტაბ. LXVIII_{7,8}) აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზეც არის გამოსახული.

უგარითულ ტექსტებზე დაყრდნობით, P. Day მიიჩნევს, რომ მინეთ ელ ბეიდას ოქროს საკიდებზე გამოსახული შიშველი ქალის ფიგურა ნაყოფიერების ქალღმერთს და ნადირთ პატრონს – ანათს წარმოადგენს [Day 1992: 181]. ეს ქალღმერთი ტექსტების მიხედვით სვავთან არის ასოცირებული [Marinatos 2000: 38, სურ. 2.7].

ეგვიპტეში ნაპოვნ ზოგიერთ არტეფაქტს, რომელზეც სირიული ქალღმერთია გამოსახული, მაგ. ქვის სტელა დეირ ელ მედინადან, რომელიც ძვ.წ. 1300-1200 წწ. თარიღდება, წარწერა ახლავს, რომლის მიხედვითაც ეს არის ქალღმერთ ანათის გამოსახულება [Cornelius 1993: 22, ტაბ. II-4].

მარი ტ. ბარელეს მიერ შესწავლილი იყო შუმერულ, ძველ ბაბილონურ და მითანიურ არტეფაქტებზე წარმოდგენილი ქალღმერთის იკონოგრაფია. მის მიერ შედგენილი კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება გამოიყოს: 1. შეიარაღებული ფრთოსანი ქალღმერთი; 2. შიშველი ფრთოსანი ქალღმერთი და 3. შიშველი ქალღმერთი ფრთების გარეშე [Barrelet 1955: 240-243]. იკონოგრაფიული მრავალფეროვნების მიუხედავად, მარი ტ. ბარელეს აზრით, ეს განსხვავება რეგიონალური ხასიათისაა და ყველა გამოსახულება ნაყოფიერების და ომის ქალღმერთის, რომელიც ამავე დროს ნადირთ პატრონს ასახიერებს, მესოპოტამიური ინანა-იშთარის ერთ-ერთ სპეციალურ ასპექტს წარმოადგენს [Barrelet 1955: 232]. მესოპოტამიურ ხელოვნებაში ფრთოსანი მებრძოლი ქალღმერთი ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდება, რომელიც „დროსა და სივრცეში მოგზაურობისას გადადის დასავლეთში“ [Barrelet 1955: 259]. 6. მარინატოსის აზრით, არქაულ ბერძნულ ხელოვნებაში მტაცებელი ფრინველის სახიანი ქალ-ღვთაების ფიგურა კირკეს გამოსახავს [Marinatos 2000: სურ. 2.10,

2.11], რადგან კირკე არის კირკოს - ძერის მდებარეობითი ფორმა [Marinatos 2000: 35]. ნ. მარინატოსი მიიჩნევს, რომ კირკე არის ღვთაება, რომელიც ერთის მხრივ მზესთან არის დაკავშირებული, როგორც მზის შვილი, და მეორე მხრივ – ქვესკნელთან. ამავე დროს ის ნადირთ პატრონია. წარმომავლობით ის ახლო აღმოსავლეთის ქალღმერთებთან ავლენს კავშირს. ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი მსგავსება იშთართან და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქალღმერთებთან. ჰომეროსის მიხედვით, მისი სახლი მგლებით და ლომებით არის გარშემორტყმული [Marinatos 2000: 4].

ახლო აღმოსავლური პარალელების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, ფრინველისსახიანი ქალის ჰორელიეფი მელი-ღელეს სამლოცველოდან სიახლოვეს ავლენს სირია-მესოპოტამიურ ქალღმერთების იკონოგრაფიასთან და იშთარის, თუ მისი სირია-პალესტინური ეკვივალენტის - ანათის ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს.

§ 8. ბაყაყის ფორმის ამულეტები

ბრინჯაოსგან დამზადებული ბაყაყის ფორმის ამულეტები (ტაბ. XL_{4,9}) მრავლადაა ნაპოვნი აღმოსავლეთ საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გათხრილ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამაროვნებსა და სამლოცველოებში [Pitskhelauri 2005: 85-86; Jalilov, Aladgarov 2008: სურ. 7]. აქატისგან გამზადებული ბაყაყი-საწონი (ტაბ. XL₉) მენამორშია დადასტურებული [Khanzadyan 2007: ტაბ. XII-2]. ლჭაშენის II ყორღანში ბაყაყის ფორმის ოქროს გარსაკრავია (ტაბ. XL₈) აღმოჩენილი [Petrosyan 2007: ტაბ. XLI]. ბაყაყის ბრინჯაოს ქანდაკებები კახეთში (ტაბ. XL_{4,7}), მინისებური პასტისაგან დამზადებული ბაყაყის ფიგურები კი ინანლითეფეზეა აღმოჩენილი (ტაბ. XL₁₀).

ბაყაყი ახლო აღმოსავლეთში ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ბაყაყის ფორმის ამულეტები მთელ ახლო აღმოსავლეთში იყო პოპულარული. ისინი მზადდებოდა მინისებური პასტისგან, ფაიანსისგან და სხვადასხვა ჯიშის ქვისგან, თუმცა ოქროსგან მხოლოდ ეგვიპტეში აკეთებდნენ [Budge 2001: 83-85]. ცნობილია, რომ მესოპოტამიელი ოქრომჭედლები წონის ერთეულად იყენებდნენ საწონებს, რომლებიც სხვადასხვა ცხოველების პატარა ქანდაკებებს წარმოადგენდნენ [Arnaud, Calvet, Huot 1979: 27]. შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში ნაპოვნი მცირე ზომის ქანდაკებებიც წონის ერთეულად გამოიყენებოდა, რის მაგალითსაც წარმოადგენს ბაყაყი-საწონი მენამორიდან. კახეთში აღმოჩენილი ბაყაყის მცირე ზომის ფიგურები თითქოს ამულეტებს წარმოადგენენ, თუმცა მათი საწონებად გამოყენებაც არ არის გამორიცხული.

§ 9. მძივები

სამხრეთ კავკასიაში გვიანი ბრინჯაოს ხანის მინის მძივები მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ტაბ. LXV). გვხვდება მინისებური პასტის, თეთრი (გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე) მინის, ფერადი მინის და ინკრუსტირებული მძივები.

მინის პროდუქცია, როგორც არქეოლოგიური მასალა, ახლო აღმოსავლეთში რეგულარულად ჩნდება ძვ.წ. 1600 წ.-დან. მინა ადამიანს ყოველთვის ხიბლავდა განსაკუთრებული დრეკადობის, ელევანტურობის, დეკორატიულობის და ფერადონების გამო. მინის მძივები, როგორც ახალი მასალა, თავდაპირველად მცირე ელიტური ჯგუფის კუთვნილება იყო, მხოლოდ რომის იმპერიის დროიდან ის მასობრივ პროდუქციად იქცევა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. გვიანი ბრინჯაოს ხანაში მინა განიხილებოდა როგორც ძვირფასი ქვის სახეობა, ლაზურიტის, ფიროზის, ამეთვისტოს, სერდოლიკის, აქატის და სხვა მინერალების მსგავსად. ნატურალურ ქვებთან შედარებით, მინის მძივები იმ უპირატესობით სარგებლობდნენ, რომ ეს იყო ხელოვნური პროდუქცია, რომელსაც არ სჭირდებოდა საბადოს მოძიება და მისი შეღებვა სხვადასხვა ფრად შეიძლებოდა [Rehren 2014: 217]. გვიანი ბრინჯაოს ხანის მინის პროდუქცია გავრცელებული იყო 500 წელი და მოიცავდა ეგვიპტეს, საბერძნეთს და მესოპოტამიას. სამივე რეგიონში მინის ქიმიური შემადგენლობა ერთგვაროვანი იყო. ტ. რეჰრენი სვამს კითხვას, ნიშნავდა ეს, რომ წარმოების ცენტრი ერთი იყო, თუ დამზადების წესს მკაცრად იცავდნენ? რა შეგვიძლია გვითხრას მინამ პოლიტიკურ, თუ სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებს შორის, როგორცაა ეგვიპტე და ხეთების სამეფო, სადაც ერთგვაროვანი მინის პროდუქცია იყო გავრცელებული? [Rehren 2014: 217].

არქეოლოგიურ მონაცემებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მინის წარმოება თავდაპირველად ძვ.წ. 1600 წელს მესოპოტამიაში წარმოიქმნა და მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გავრცელდა ეგვიპტეში. თუმცა ძნელია იმის მტკიცება, რომ თუთმოს III თავისი სამხედრო კამპანიის შემდეგ სირიაში, სირიელი მინის ხელოსნები წამოიყვანა თავის ქვეყანაში და ჩამოაყალიბებინა მინის წარმოების ინდუსტრია [Rehren 2014: 219]. ეგვიპტეში მინის სახელოსნოები პირველად ჩნდება კანთირ/პი-რამესეში, ამარნაში და ლიშტში. არქეოლოგიური მონაცემები კანთირიდან საშუალებას იძლევიან მინის დამზადების ტექნოლოგიის დეტალური რეკონსტრუქციისათვის [Rehren 2014: 218].

ძველი ეგვიპტელი ხელოსნები მინის შესაღებად იყენებდნენ სხვადასხვა მადნის ოქსიდებს. ლურჯი მინის მისაღებად სპილენძის ოქსიდებს უმატებდნენ კალის ოქსიდებს. წითელი მინის მისაღებად სუფთა სპილენძს, ან ბრინჯაოს იყენებდნენ. მარგანეცის ოქსიდი, პლინიუს უფროსის ცნობით, რომაულ ეპოქაში გამოიყენებოდა ამეთვისტოს ფერის მისაღებად. მაგრამ ხმარობდნენ თუ არა მარგანეცის ოქსიდს ძველი ეგვიპტელები, ჩვენთვის უცნობია. თეთრი და ყვითელი ფერის მინის მისაღებად ძველ ეგვიპტეში გამოიყენებოდა კალციუმ-ანთიმონი და ანთიმონი. არქეოლოგიური მონაცემებით, ამ იშვიათი ლითონის გამოყენება გვიანბრინჯაოს ხანაში ხდებოდა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, სადაც არსებობს ანთიმონის მადანი. თუმცა ამ რეგიონში გვიან ბრინჯაოს ხანაში მინის წარმოების დამადასტურებელი მონაცემები არ გავაჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ არ გვაქვს მონაცემები ანთიმონის ექსპორტისა კავკასიიდან ეგვიპტეში, სავარაუდოა, რომ თეთრი და ყვითელი მინის წარმოება ხდებოდა ეგვიპტეში [Pusch, Rehren 2007: 162-163].

მინის მძივები ერთ-ერთ ძვირადღირებულ და იშვიათ ნაწარმს წარმოადგენდა. ძვ.წ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ე.წ. “მინის ეპოქა”, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან მინის პროდუქცია ნამდვილ ინდუსტრიულ ნაწარმად იქცა. ძვ.წ. XV-XIII საუკუნეები, მინის წარმოების მხრივ, ცნობილია, როგორც “ექსპერიმენტების და ინოვაციების პერიოდი”, როდესაც უმჯობესდება მინის წარმოების ტექნოლოგია და ჩნდება ახალი ფორმები [Ingram 2005: 108-109]. ძვ.წ. XIV საუკუნის მინის წარმოების სახელოსნო აღმოჩენილია ეგვიპტეში, ამარნაში [Ingram 2005: 112]. მინის ნამზადები ნაპოვნია ტელ ბრაკში, მითანიური პერიოდის სასახლეში, აგრეთვე ულუბურუნთან ჩაძირულ გემზე, რომელიც ძვ.წ. XIV-XIII ს. თარიღდება [Ingram 2005: 113].

სამხრეთ კავკასიის გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივების სტილისტური მრავალფეროვნების მიუხედავად, მათი მსგავსება იმდენად დიდია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ საერთო წარმომავლობა აქვთ. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მძივები, ამ კატეგორიის ნაწარმის ტიპოლოგიის და სტილისტური ანალიზის საშუალებას იძლევა.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე მინის 28 მძივი აღმოჩნდა. მათი უმეტესი ნაწილი თეთრი, გამჭვირვალე მინისაა, ნაწილი კი მომწვანო ფერის, ასევე გამჭვირვალე. საფარ-ხარაბას სამაროვანზე ყველაზე დიდი რაოდენობით (1030 ც.) მინისებირი პასტის მძივი აღმოჩნდა. ასეთი მძივები მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. გვხვდება თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი და ყვითელი ფერის მძივები. მინის მძივები მრავლადაა აღმოჩენილი ლევანტში, აგრეთვე მითანიური პერიოდის ნუზიში (თანამ. ერაყი). ნუზის ერთ-ერთ ტაძარში 16 ათასზე მეტი ფერადი (მწვანე, ცისფერი, ყვითელი, თეთრი, წითელი და შავი) მინის მძივი იყო ნაპოვნი [Starr 1939: 94, სურ. 446-7, 61-2, 64-5]. ფერადი მინის მძივები ძვ.წ. XVI საუკუნიდან შემოდის [Ingram 2005: 116].

გვიან ბრინჯაოს ხანაში ძვირადღირებულ ნაწარმს ფაიანსის (მინისებური პასტის) მძივებიც წარმოადგენდა. ფაიანსის მძივების დასამზადებელი სახელოსნო აღმოჩენილია XII დინასტიის ეპოქის ეგვიპტეში (ძვ.წ. XX-XVIII სს.), ლიქტში, აგრეთვე თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის ტვიროსში, XVI ფენაში [Ingram 2005: 93-94].

1982 წელს სამხრეთ-დასავლეთ თურქეთში, ქ. ქაშიდან 8 კმ-ზე აღმოჩნდა ძვ.წ. XIV საუკუნის მინურულს ჩაძირული გემი, რომელიც სავაუდოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მიემართებოდა ეგეოსის კუნძულებისკენ, თუ საბერძნეთისკენ. გემის გამოკვლევა დაიწყო 1984 წელს და სულ 11 სეზონი გაგრძელდა. დენდროქრონოლოგიური გამოკვლევით, ჩაძირული გემი დათარიღდა ძვ.წ. 1305 წლით. გემბანზე აღმოჩენილი ტვირთის გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა: ბელტიისპირეთიდან (ქარვა) აფრიკამდე (სპილოს ძვალი, ჰიპოპოტამის კბილები, სირაქლემას კვერცხები). ამის გარდა გემს გადაჰქონდა 10 ტონა სპილენძის, 11 ტონა ბრინჯაოს და 1 ტონა კალის ნამზადები, 175 მინის ნამზადი, ფინიკიური სამკაული, ოქროს, ვერცხლის, ელექტრუმის,

სტეატიტის ეგვიპტური ნანარმი, მათ შორის ოქროს სკარაბეი ნეფერტიტის სახელით, კედარის ხე ლიბანიდან. მრავლად იყო იარაღი, ზოომორფული და გეომეტრიული ფორმის სასწორები და ხილი: ლეღვი, ზეთისხილი, ყურძენი, ბრონეული და სხვა. ულუბურუნის გემზე 75 ათასი ფაიანსის მძივი აღმოჩნდა, რომლებიც რ. ინგრამის კლასიფიკაციის მიხედვით რვა კატეგორიად იყოფა [Ingram 2005: 121].

სამხრეთ კავკასიის გვიანი ბრინჯაოს ხანის მძივები დიდ მსგავსებას იჩენს ულუბურუნის გემზე ნაპოვნი მძივებთან. საფარ-ხარაბას, ართიკის, ლორი-ბერდის და სხვა სამაროვნებზე დადასტურებული მინის და მინისებური პასტის მძივების დიდი ნაწილი რ. ინგრამის მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ჯდება. ცნობილია, რომ გემზე მიკვლეული არტეფაქტები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმომავლობისაა. სხვა ძვირადღირებულ ნანარმთან ერთად ვაჭრებს ეგეოსის კუნძულებზე, თუ საბერძნეთში მიჰქონდათ ფაიანსის და მინის ნანარმი და ნამზადები. გვიან ბრინჯაოს ხანაში ეგვიპტესა და ლევანტში მინის და ფაიანსის წარმოება აყვავების ფაზაში იყო. ბერძნულ სამყაროში ეს პროდუქცია იშვიათი იყო. ამიტომ, მიკენელ ხელოსნებს ლევანტიდან აწვდიდნენ მინის ნამზადებს [Ingram 2005: 121].

მიკენურ საბერძნეთსა და ეგეოსის კუნძულებზე აღმოჩენილი მძივების ნაწილი ასევე სამხრეთ კავკასიურის ანალოგიურია. საფარ-ხარაბას სამაროვანზე დადასტურებული ბიკონუსური ღარიანი, ხორბლისმარცვლის ფორმის ღარიანი, ცილინდრული და სხვა ფორმის მძივები ანალოგიურია ჯ. ნაითინგეილის მიერ ელათეის-ალონაკის და მიკენის სამარხებში დადასტურებული მძივების [Nightingale 2008: 66, ფიგ. 1-3,5,7].

სამხრეთ კავკასიაში მოპოვებული ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ მინის, მინისებური პასტის და ფაიანსის მძივები იმპორტს წარმოადგენს, რადგან ტიპოლოგიურად ისინი ეგვიპტური, ეგეოსური და ლევანტური მინის და მინისებური პასტის მძივების ანალოგიურია. ჩვენთვის ცნობილი არაა ეს მძივები ეგვიპტესთან, ეგეოსურ სამყაროსთან და ლევანტთან პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კონტაქტებითაა მოხვედრილი. არქეოლოგიური მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში არ დასტურდება მინის სახელოსნოები. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ეგვიპტესთან და ლევანტთან უშუალო ვაჭრობის ამსახველი მასალა იყოს. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ამ ტიპის ნანარმი მითანის სამეფოს მეშვეობით მოხვდა სამხრეთ კავკასიაში.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული უძველესი არქეოლოგიური არტეფაქტები მიუთითებენ, რომ ამ რეგიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს საფუძველი პალეოლითში ჩაეყარა. უძველეს სავაჭრო ობიექტს ობსიდიანი წარმოადგენდა [Sturua 1994: 21-36; Badalyan 2001: 29-39; Badalyan 2002: 9]. მოგვიანებით ობსიდიანით ვაჭრობა სპილენძით ვაჭრობამ შეცვალა. ლითონი გადიოდა იგივე ტრადიციული საკომუნიკაციო გზებით, თუმცა შეიცვალა სატრანსპორტო საშუალებები. გაჩნდა ბორბლიანი ტრანსპორტი, რამაც სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებზე საფუძვლიანი გავლენა იქონია.

ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში ევფრატის ზემო წელზე შუმერული კოლონიების დაარსებას და ქვემო მესოპოტამიასთან ვაჭრობის გააქტიურებას (ძვ.წ. 3400-3250 წწ) ამ რეგიონში შუმერული ურბანული კულტურის სარკისებური არეკვლა მოჰყვა.

ჩრდილოეთ სირიის ქალაქებში ხაბუბა-ქაბირასა და ჯებელ-არუდაში შენდება შუმერული ტიპის სახლები და ტაძრები. ვრცელდება კონუსის ფორმის ფერადი შორენკეცებით ნაგებობათა კედლების შემკობა, კერამიკული სადრენაჟო მილები, საბეჭდავები, ბულები, ზოომორფული ამულეტები. თუმცა დამწერლობის ნიშნები ჯერ არ ჩანს [Mellaart 1985: 22]. ჯ. მელაარტის აზრით, უცხოელების (გვიანი ურუქის პერიოდის მესოპოტამიელი ვაჭრების) გამოჩენამ, რომლებსაც სურდათ შეესყიდათ ლითონი და სხვა ნედლეული, აღმოსავლეთ ანატოლიაში საფუძველი ჩაუყარა იმ მოვლენას, რომელსაც ადრე ბრინჯაოს ეპოქა ეწოდება [Mellaart 1985: 23-24].

ურუქის პერიოდის შუმერები მთლიანად იყვნენ დამოკიდებული ანატოლიიდან მომავალ ნედლეულზე. სავაჭრო გზა ევფრატის ზემო დინების გაყოლებით ერგანი-მადენის და მის მახლობლად მდებარე სპილენძისა და ვერცხლის საბადოებისაკენ მიდიოდა. ხაბურისა და ტიგროსის გაყოლებით მიმავალი სავაჭრო გზები ხელს უწყობდა ისეთი სავაჭრო ცენტრების განვითარებას, როგორცაა ტელ-ბრაკი და ნინეფია [Mellaart 1985: 24]. ურუქის გავლენა კარგად ჩანს მალათიაში და თეფესიკში. ურუქელი ვაჭრები და ალბათ კოლონისტებიც სამხრეთ კავკასიაშიც შემოდიან. მათი კვალი აშკარაა სამხრეთ კავკასიურ ნეოლითური კულტურების ძეგლებზე.

ადრედინასტიურ პერიოდში სამხრეთული გავლენა ჩრდილოეთით მხოლოდ ანატოლიის მთებამდე ვრცელდებოდა და არა ისე შორს, როგორც ადრე, ურუქის პერიოდში. ამ პერიოდში ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის დამკვიდრება აღმოსავლეთ ანატოლიის მდინარეების დაბლობებში და მათი გაძლიერება ქარაბაბას აუზში. მალათიის რეგიონში, არსლანთეფეში ეს კულტურა ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს დამკვიდრდა [Frangipane 1997: 49, სურ. 73-75, 91, 90]; ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ამ კულტურის მნიშვნელოვანი ნაშთები დაფიქსირებულია ჩრდილოეთ სირიაში – როგორც ტელ-მარდისზე (ებლა), ასევე ორონტის დაბლობის ნამოსახლარებზე – ჰამა, ჰალავა,

მუმბაქათი, ჰაბუბა-ქაბირა, ტელ-ხუერა, ტელ-ფარფარა [Kelly-Buccellati 1990: 123; Ortmann 1985: 63-64]; პალესტინაში კი EB III პერიოდის დასაწყისში (ძვ.წ. 2650-2350 წწ.) ჩნდება [Amiran 1993: 23].

არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ არსებობდა საკონტაქტო ზონები სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას და ძველდამოსავლურ ცივილიზაციებს შორის. სხვადასხვა ეპოქაში საკონტაქტო ზონები სხვადასხვა რეგიონში იყო განთავსებული. მაგ. მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში სამხრეთ კავკასიის, ანატოლიის და მესოპოტამიის უძველესი მოსახლეობისათვის ასეთ საკონტაქტო ზონას მალათიის რეგიონი (არსლანთეფე) წარმოადგენდა. ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან მალათიის რეგიონი წარმოადგენდა ეკონომიკურად აყვავებულ და კარგად ორგანიზებულ რეგიონალურ ცენტრს, რომლის სიმდიდრის წყარო, როგორც ჩანს, ლითონით ვაჭრობა იყო. მ. ფრანჯიპანეს აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურა არსლანთეფეში ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს ჩნდება [Frangipane, 1997: 49]. მტკვარ-არაქსის კულტურის ეკონომიკის წამყვან დარგად, ტრადიციულად, მეტალურგია ითვლება. როგორც ჩანს, არსლანთეფეს ლითონს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი აწვდიდა. უკანასკნელ წლებში ა. გევორქიანის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ სამხრეთ კავკასიის მელითონებისათვის ეტალონურ სისტემას შუმერული წონის ერთეული წარმოადგენდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე (კარნუტი, ჟრაოვიტი) აღმოჩენილი ზოდები და ფორმები შუმერული წონის ერთეულის იდენტურია და ტოლია 1 მინისა, ან 60 სიკლისა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ „მტკვარ-არაქსელი მელითონები და ვაჭრები კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ იგივე წონის ერთეულს, რომელიც გავრცელებული იყო მეზობელ მესოპოტამიაში“ [Gevorkyan 2004: 53]. მ. კელი-ბუჩელატის აზრით, მთელ აღმოსავლეთ ანატოლიაში სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი აკონტროლებდა ლითონის საბადოებს და ლითონით ვაჭრობის ტრადიციულ გზებს [Kelly-Buccellati 1990: 121-122]. მტკვარ-არაქსელების მიერ ჩრდილოეთით მოპოვებული ლითონი, სამხრეთისაკენ ნედლეულის სახით, სირიის დაბლობზე მდებარე პირველ ქალაქებამდე მიჰქონდათ. ნიშანდობლივია, რომ ტელ-მოცანში აღმოჩენილი ლითონის ნაწარმი მტკვარ-არაქსულ კულტურასთან იჩენს მსგავსებას. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ეს კულტურა ხასიათდება ერთგვაროვანი სოფლებითა და მცირე ქალაქებით. თუმცა ამ კულტურის არცერთი ნამოსახლარი არ მოხვდა ძვ.წ. III ათასწლეულის სირიული ქალაქური კულტურის არეალში [Kelly-Buccellati: 1990: 120].

ვ. ორტმანის აზრით, ჩრდილოეთ სირიაში, ტელ-მარდის//ებლასა და ჰამაში ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ვრცელდება [Ortmann 1985: 64]. აქ მას ხირბეთ-კერაქის ტიპის კერამიკა ეწოდება. რ. ამირანის ვარაუდით, ანალოგიური შავპრიალა კერამიკა ძვ.წ. III ათასწლეულში, ადრე ბრინჯაო III პერიოდის დასაწყისში (ძვ.წ. 2650-2350 წწ.) პალესტინას აღწევს [Amiran 1993: 23].

დემოგრაფიული აყვავება ადრე ბრინჯაო II-III პერიოდის პალესტინაში დაკავშირებული იყო ეკონომიკურ განვითარებასთან, რაც თავის მხრივ განპი-

რობებული იყო სავაჭრო-სატრანზიტო გზის არსებობით, რომელიც მდინარეების ორონტის და იორდანეს დინებებს და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლს მიუყვებოდა. ძეგლები, სადაც ხირბეთ-კერაქის ტიპის კერამიკა დადასტურდა მდ. იორდანესა და მდ. ორონტის დაბლობებში იყო განლაგებული [Esse 1991:103-104].

ო. ჯაფარიძის აზრით სამხრეთ კავკასიური შავპრიალა კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიგრაციის შედეგად გავრცელდა ანატოლიასა და ლევანტში [Japaridze 2006: 159].

როგორი იყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური განვითარება და რა უნდა ყოფილიყო მათი სამხრეთ კავკასიიდან მიგრაციის მიზეზები? ერთ-ერთი მიზეზი მოსახლეობის მატება შეიძლება ყოფილიყო. შენიშნულია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე „საგრძობლად მატულობს მოსახლეობის რიცხვი, რაც სოფლის მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ, ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა. ბრინჯაოს ხანის არც ერთ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასია ისე ინტენსიურად დასახლებული არ ყოფილა, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის დროს“ [Japaridze 1976: 288].

კავკასიის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამინათმოქმედო იარაღი მიუთითებს, რომ მტკვარ-არაქსელთა მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს მინათმოქმედება წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი იარაღი (ქვაცხელები) და ნამგლის მრავალრიცხოვანი ჩასართები (მაგ. მინგეჩაურის ნამოსახლარზე 370 ცალი აღმოჩნდა, ხიზანანთ გორაზე აღმოჩენილი ნამგლის ჩასართებიდან კი ათეულობით ნამგალი დამზადდებოდა [Kushnareva, Chubinishvili 1970: 106]), ხელსაფქვავები, მარცვლეულის შესანახი ჭურჭლები და თვით მარცვლეულის (ხორბლის, ქერის, ფეტვის) ნიმუშები [Kushnareva, Chubinishvili 1970: 107-110; Lisitsina, Prishipenko 1977: 65-69]. ცნობილია ბრინჯაოს და სპილენძის ნამგლების (ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, გარნი, ქიულ-თეფე) აღმოჩენის ფაქტებიც [Kikvidze 1976: 54; Kushnareva, Chubinishvili 1970: 126]. მტკვარ-არაქსელები მევენახეობასაც მისდევდნენ [Lisitsina, Prishipenko 1977: 15,25]. კვირისტავების დიდი რაოდენობა და თიხის ჭურჭელების ზედაპირზე დაფიქსირებული ქსოვილის ანაბეჭდები კი ფეიქრობის განვითარებაზე მეტყველებს. მეურნეობაში დიდ როლს მესაქონლეობაც ასრულებდა. ნამოსახლარებზე სადღვებლების და სანურების აღმოჩენა მესაქონლეობის მნიშვნელობაზე და რძის პროდუქციის ფართო წარმოებაზე მეტყველებს [Lortkipanidze 1989: 101].

მიუხედავად იმისა, რომ მრავალფენიანი ნამოსახლარები მრავლადაა შიდა ქართლის ვაკეზე - ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, კვერნაქი, გუდაბერტყა, რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ძეგლები მაინც ცოტაა. [Kikvidze 1976: 45]. დ. მუსხელიშვილის და გ. ცქიტიშვილის აზრით „შესაძლებელია ეს მოვლენა დაკავშირებულია მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან, კერძოდ ბრინჯაოს მეტალურგიის წინა პლანზე წამოწევასთან“ [Muskhelishvili, Tskitishvili 1960: 190]. ჩ. ბერნის აზრითაც, ეს ტომები მეტალურგიის განვითარებაზე

რების გამო ენოლოგია ნახევრადნომადური ცხოვრების წესს [Burney 1993: 315]. როგორც ჩანს, ძირითადი მოსახლეობა მაინც დამჯდარ მინათმოქმედებას ენოლოგია, ამას მოწმობს მრავალფენიანი ნამოსახლარები შიდა ქართლში, თრიალეთში (ბეშთაშენი), აზერბაიჯანში (ნახჭევანის ქიულ-თეფე), დაღესტანში (ველიკენტი). თუმცა არსებობდა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც საბადოების ძიების გამო გადაადგილდებოდნენ, რადგან მათ ძირითად საქმიანობას მადნის მოპოვება წარმოადგენდა. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან მეტალურგია უკვე ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგად არის ჩამოყალიბებული. ხელოსანთა ნაწილი ლითონის დამუშავებით არის დასაქმებული, ნაწილი კი - მადნის მოპოვებით. სპილენძის საბადოების სიახლოვეს მდებარე ძეგლებზე (ბრდაძორი, ალავერდი, ლენინაკანი, სიმონიანთ ხევი, დმანისი) მრავლადაა აღმოჩენილი კომბინირებული იარაღი - ცულ-წერაქვა, რომელიც შესაძლოა მადნის მოსაპოვებლად იხმარებოდა [Kushnareva, Chubinishvili 1970: 113-114]. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების ტოპოგრაფიას რომ გადავავლოთ თვალი, ადვილი შესამჩნევია მათი კონცენტრაცია სპილენძით მდიდარ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სომხეთის ზეგანი, ერგანი-მადენი). იშვიათია მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლი, სადაც ლითონი და ლითონის წარმოება დამონმებული არ იყოს. „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კულტურა მეტალურგიის ბაზაზეა განვითარებული“ [Kikvidze 1976: 75]. ნამოსახლარებზე მრავლადაა აღმოჩენილი მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთები: ყალიბები (ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, გარნი, ბაბა-დერვიში II, ქიულ-თეფე, გეოი-თეფე), ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ტიგელები (ხიზანანთ გორა, გარნი, ბაბადერვიში II), ლითონის დამუშავების პროცესში დარჩენილი შლაკი (ხიზანანთ გორა, გარნი) [Kushnareva, Chubinishvili 1970: 114]. მეტალურგიული წარმოების ნაშთების დადასტურება ისეთ ძეგლებზე, რომლებიც საბადოებიდან მოშორებით მდებარეობენ, მოწმობს, რომ სპეციალისტი მელითონეები მუშაობდნენ სამთამადნო რეგიონებიდან მოშორებით (ლითონსადნობი ღუმელი აღმოჩნდა ამირანის გორაზე და ბაბადერვიშზე) [Kushnareva, Chubinishvili 1970: 114].

მეურნეობაში და საერთოდ ყოფაში ლითონის იარაღის ფართოდ დანერგვამ უთუოდ აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღმა კი საგრძნობლად გაზარდა მოსახლეობის საბრძოლო პოტენციალი, რამაც ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ფართოდ განფენას [Japaridze 1976: 290]. მტკვარ-არაქსის კულტურა ფართოდაა გავრცელებული კავკასიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ურმიის ტბისპირეთამდე აღწევს. იგი ასევე გავრცელებულია აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ადრეტრანსკავკასიური ან ქარაზის კულტურის სახელითაა ცნობილი, ხირბეტ-კერაქის კერამიკის სახით კი სირია-პალესტინაში არის წარმოდგენილი.

როგორც ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის პირველსამშობლოდან, ცენტრალური სამხრეთ კავკასიიდან, ყველა მიმართულებით განვრცობა ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორებით იყო განპირობებული. საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები ახალი ადგილების ათვისებას

ითხოვდა. უპირველეს მიზანს საბადოების ხელში ჩაგდება, ნაწარმის გატანის დაცვა და გასაღების ბაზრის კონტროლი წარმოადგენდა. ეს ყველაფერი სატრანზიტო გზების კონტროლსაც მოითხოვდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით გავრცელების საწყის ეტაპზე, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, შავპრიალა კერამიკა თანდათან ჩნდება აღმოსავლეთ ანატოლიაში და ერგანი-მადენის სპილენძის საბადოებამდე აღწევს. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში კი მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი ტალღა სამხრეთ პალესტინამდე, შესაძლოა, ვადი-არაბას სპილენძის საბადოებამდე ვრცელდება. მთელ ამ ტერიტორიაზე უეცრად ჩნდება ახალი, მოსული კულტურის ელემენტები, რაც ხალხთა მნიშვნელოვანი მასის შემოსვლით უნდა აიხსნას [Schaeffer 1961: 230-231]. მოსახლეობის დიდი მასის აყრას და სამხრეთისაკენ წასვლას რა თქმა უნდა ძლიერი ბიძგი სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მტკვარ-არაქსელთა საზოგადოების ნაწილი ადგილზე დარჩა და ძველებურად განაგრძო ცხოვრება.

მტკვარ-არაქსელები სხვადასხვა მიმართულებით განსახლდნენ. მათი მიგრაცია აღმოსავლეთ ანატოლიაში ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დასტურდება. ამ დროს მცირე რაოდენობით ჩნდება მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკა ევფრატის ზემო წელზე ელიაზიგ-მალათიის რეგიონში [Burney 1993: 313]. ამ რეგიონის ეკონომიკური აყვავება დაკავშირებული იყო ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში ურუქელი ვაჭრების შემოღწევით ამ რეგიონში. ამას ადასტურებს კორუჯუთეფე B-ს მდიდრული სამარხები, რომელთა ინვენტარი და დასაკრძალავი აკლდამების არქიტექტურა ახლო პარალელებს პოულობს თეფე გავრა XI-IX ფენებთან. არსლანთეფეს მონუმენტური არქიტექტურა და სიმდიდრე მ. ფრანჯიპანეს ადმინისტრაციული აპარატის და ადრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციული სისტემის არსებობას ავარაუდებინებს [Frangipane 1997: 45-48].

ამდენად, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულს მალათიის რეგიონი წარმოადგენდა ეკონომიკურად განვითარებულ და კარგად ორგანიზებულ რეგიონალურ ცენტრს, რომელსაც, შესაძლოა, მტკვარ-არაქსული ტომები ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან აწვდიდნენ ბრინჯაოს და შესაძლოა ოქროსაც.

არსლანთეფეს მოსახლეობის სიმდიდრის წყარო ლითონით ვაჭრობა იყო. ამას მოწმობს III შენობის ერთ-ერთი ოთახში (A 113) აღმოჩენილი იარაღის საწყობი [Burney 1993: 314-315]. არსლანთეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგან სხვადასხვა კულტურულ არეალებს შორის არსებულ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. ჩვენი აზრით, ურუქელი ვაჭრების და მტკვარ-არაქსელი ადრეული მეღიბონეების საკონტაქტო ზონა სწორედ ამ რეგიონში იყო.

ელიაზიგ-მალათიის რეგიონში მტკვარ-არაქსული კერამიკა ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში მცირე რაოდენობითაა. ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევარში ეს კერამიკა ქებანის რეგიონში სირიული, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიური კერამიკის 35% შეადგენდა, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე 60%, ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში 80% -მდე გაიზარდა [Abay 1997: 18-19].

მტკვარ-არაქსელთა შემოსვლამ არსლანთეფეს განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. „კავკასიელები“ ვერ ჩაერთნენ ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემაში, რამაც მალათიის რეგიონში ხანმოკლე პერიოდით კრიზისი გამოიწვია [Frangipane 2003: 32-34]. როგორც ჩანს, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, ბრინჯაოს ნანარმის გასაცვლელად, მალათიის რეგიონში მშვიდობიანად მოსული მტკვარ-არაქსელები, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას, რასაც არსლანთეფეს დანგრევა და იქ არსებულ ეკონომიკური წყობის შეცვლა მოჰყვა.

ამდენად, დგება საკითხი თუ რა როლი ითამაშეს მტკვარ-არაქსელებმა აღმოსავლეთ ანატოლიაში. ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი საუკუნეებიდან მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა ელიაზიგ-მალათიის რეგიონში ფართოდ ვრცელდება და ევფრატის აუზში მკვიდრდება [Burney 1993: 313]. ახალმოსულთა ოკუპაციამ გამოიწვია მდიდარი და განვითარებული არსლანთეფეს დაცემა.

მანამდე, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში, მალათიის განვითარება და სიმდიდრე ამ რეგიონში მესოპოტამიელი ვაჭრების შემოღწევასთან იყო დაკავშირებული. ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში არსლანთეფე VI A ფენის მოსახლეობა სამხრეთთან ძირითადად ლითონის ნანარმით ვაჭრობს. ამას მოწმობს III შენობის A 113 აღმოჩენილი იარაღი - სატევრები და შუბისპირები, როგორც ჩანს, ადგილობრივი წარმოებისაა. ამ იარაღს, რომელიც დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული, პარალელები შუემურულ მასალაში არ გააჩნია. მოლუნულტარიანი შუბისპირის მსგავსი იარაღი კი მხოლოდ გვიან პერიოდში ჩნდება ურში [Burney 1993: 314-315]. ერგანის სპილენძის საბადოები, რომელიც არსლანთეფესთან მდებარეობს, დარიშხანის შემცველია. დარიშხანიანი ბრინჯაოს დამზადება სწორედ ანატოლიისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად, სირიის და მესოპოტამიის ლითონის ნანარმი სწორედ არსლანთეფე VI-ს III შენობაში აღმოჩენილი მასალის მსგავსია [Burney 1993: 314-315].

არსლანთეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგან სხვადასხვა კულტურულ არეალებს შორის არსებულ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში არსლანთეფეში რთული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ამსახველია 1996 წელს აღმოჩენილი ე.წ. „სამეფო“ სამარხი. ქვის ფილებით ნაგებ, დიდი ზომის სამარხ კამერაში ერთი, ძირითადი მიცვალებულია დაკრძალული. სამარხი კამერის გადახურვის დონეზე ოთხი ახალგაზრდა ადამიანის ჩონჩხი ესვენა. ორი მათგანი, ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი, ერთმანეთის პირისპირ, ქვის კედლების თავზე იყო დასვენებული. 13 და 15 წლის ახალგაზრდები, კი ძირითადი მიცვალებულის ფეხებთან იყვნენ დაკრძალულნი. მიცვალებულების ძვლების გამოკვლევამ უჩვენა, რომ მათ მიღებული ჰქონიათ მრავალი ტრამვა და მოტეხილობა, რაც გამთხრელებს ავარაუდებინებს, რომ ეს ტრამვები მიღებული ჰქონდათ საომარი მოქმედებების დროს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „მეფის“ ფეხებთან დასვენებული ორი ახალგაზრდა მსხვერპლად იყვნენ შეწირულები. ქვის ფილებზე დასვენებულებს

სპილენძის საკინძები, ხვები და ვერცხლის და სპილენძის შენადნობისგან დამზადებული დიადემა ეკეთათ. ეს ნივთები, მ. ფრანჯიპანეს აზრით მათდამი ღრმა პატივისცემის გამომხატველი იყო, რაც შესაძლოა აიხსნას მიცვალებულების დიდებული წარმომავლობით და ერთი ოჯახის კუთვნილებით [Frangipane 2003: 33-34]. ძირითად მიცვალებულს, „მეფეს“, ჩატანებული ჰქონდა დიდი რაოდენობით ლითონის იარაღი, სამკაული და კერამიკა. მთის ბროლის, ოქროს და ვერცხლისგან დამზადებული მძივები ისე მრავლად და იმგვარად იყო განლაგებული, რომ შესაძლოა ტანსაცმლის და სუდარის მოკაზმულობას წარმოადგენდნენ. ლითონის ინვენტარი (შუბისპირები, სატყვერები, მახვილები, ცულები, სკალპელები, ჭურჭელი, ხვები, დიადემა, სარტყლები, ბეჭდები და სამაჯურები) დამზადებულია სპილენძის, დარიშხანიანი ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა და ისეთი არატიპიური შენადნობისაგან როგორცაა ვერცხლი და სპილენძი. ლითონის იარაღი მიცვალებულის ზურგს უკან იყო განთავსებული. ძირითადი მიცვალებულის ფეხებთან ელაგა კერამიკა, რომლის ერთი ნაწილი ძველი, გვიანქალკოლითური პერიოდის, ადგილობრივი ნაწარმი იყო, ხოლო მეორე ნაწილი შავპრილა, ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლები იყო და ახალმოსულებს ეკუთვნოდა. აღნიშნულია, რომ ამ სამარხში აღმოჩენილი შუბისპირები, საკინძები, დიადემა ახალი ტიპისაა და სამხრეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებენ. სამარხი ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით (3000-2900 წწ) თარიღდება და ასახავს იმ დიდ ცვლილებებს, რომელიც სამხრეთ კავკასიიდან მოსული ხალხის შემოსვლას მოჰყვა. „მეფის“ სამარხის ინვენტარი და დაკრძალვის რიტუალი მიუთითებს, რომ იგი უცხოელია, მაგრამ ამავე დროს ძველი ელიტის მემკვიდრეცაა [Frangipane 2003: 33-34]. ქვაცხელას და არსლანთეფეს სამარხებში აღმოჩენილი დიადემა მსგავსება ეჭვს არ იწვევს. ძველ აღმოსავლეთში დიადემა უმაღლესი წოდების ინსიგნია იყო (ლ. ვულის მიერ ურის სამეფო სამარხებში აღმოჩენილი იყო დიადემა, რომელიც დედოფალ პუაბის ეკუთვნოდა [Wooley 1961: 67-68]. ოქროს დიადემა ალაჯა-ჰუიუქის სამეფო სამარხებშიც იყო აღმოჩენილი [Koşay 1951: 158, 169]). დიადემა მონიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოების გარკვეულ ნაწილს „მეფობის“ პრეტენზია ჰქონდა, თუმცა ეს საზოგადოება „ქალაქური ცივილიზაციის“ დონემდე მაინც ვერ ამაღლდა. ახალმოსულების იდეოლოგიაში უპირატესობა სიმდიდრეს და ომს ენიჭება. „ბარბაროსებს, როგორც წესი, აინტერესებდათ მხოლოდ ორი სახის საქონელი: ფუფუნების საგნები თავიანთი ბელადებისა და მათი ახლობლებისთვის და იარაღი. ... ომი და ვაჭრობა – ეს არის ორი მთავარი არხი, რომლითაც ხორციელდება ურთიერთობა დაშლის პროცესში მყოფ ცივილიზაციასა და მის საგარეო პროლეტარიატს შორის“ [Toynbee 2003: 25-26].

როგორც ჩანს, არსლანთეფე VI-B-1 პერიოდში მოსულმა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ხალხმა ლითონით ვაჭრობის მონოპოლიზება და გამანაწილებელი პუნქტების რეორიენტაცია მოახდინა. ისინი აკონტროლებდნენ ბუნებრივ რესურსებსა და სავაჭრო გზებს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ლითონის საბადოებისა და ლითონის ტრანსპორტირების ტრადიციული სა-

ვაჭრო გზის ჩათვლით [Kelly-Buccellati 1990: 122]. ამგვარად, ახალმოსულმა მტკვარ-არაქსელებმა შეძლეს აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზრის მონოპოლიზირება. ამის გარდა, არსლანთეფეს ეკონომიკა ალბათ სამხედრო კონფლიქტმაც დაასუსტა. მოთარეშე ლაშქრებთან განუწყვეტელმა შეტაკებებმა მათი ხაზინა ალბათ სულ გამოფიტა. „... მეორე ფაქტორს, რომელიც აჩქარებს ცივილიზაციის დაშლას, აგრესიულ, „ბარბაროსულ“ საზოგადოებასთან შერკინება წარმოადგენს, ომის გავლენა მის რთულ ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. მაშინ როდესაც ბარბაროსულ საზოგადოებას ძალუძს, პროფესიონალურადაც და ორგანიზებულადაც, მთლიანად გადაერთოს ომზე, ცივილიზებული საზოგადოების ენერჯია გაფანტულია შიდასახელმწიფოებრივი საქმიანობის რთულ სპექტრზე. შეიარაღებული ძალების ზრდა ინვესტს გადასახადების ზრდას და გამომდინარე აქედან სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების დონის დაცემას“. „თუ თავდაცვაში მყოფი ცივილიზაციის მოქალაქეთათვის სასაზღვრო ომი ნიშნავს, ... ზედმეტ ფინანსურ და ფსიქოლოგიურ ტვირთს, ბარბაროსთათვის პირიქით, ომი ტვირთი კი არა, გამდიდრების ხელსაყრელი შესაძლებლობაა“ [Toynbee 2003: 29-31].

მტკვარ-არაქსელთა შემოსვლამ და სირია-მესოპოტამიასთან ვაჭრობის შეწყვეტამ არსლანთეფეს განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. მ. ფრანჯიპანეს გამოთქმით „კავკასიელმა ოკუპანტებმა“ თავიანთი ქოხები (ტაბ. XI-XII) აღმართეს დანგრეული სასახლეების ადგილას. ისინი ვერ ჩაერთვნენ ადგილობრივ ეკონომიკაში და ხელი შეუწყეს წინა პერიოდის მესოპოტამიური ტიპის ეკონომიკური სისტემის მოშლას [Frangipane 2003: 32-34], რამაც მალათიის რეგიონში ხანმოკლე პერიოდით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

მტკვარ-არაქსელები ლევანტში. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში მტკვარ-არაქსელთა შავპრიალა კერამიკა ჩნდება ამუქის ველზე და ლევანტში. რას-შამრა (უგარიით) III ფენაში ადგილობრივ კერამიკასთან ერთად გვხვდება ხელით ნაძერწი, შავპრიალა და წითლად ანგობირებული პრიმიტიული ჭურჭელი, რომელიც პალესტინაში „ხირბეთ-კერაქული“ კერამიკის სახელითაა ცნობილი [Schaeffer 1961: 229-230].

ეს კერამიკა სრულიად განსხვავდება ადგილობრივი პროდუქციისაგან და სპორადულად ჩნდება ჰამაში და მის სამხრეთით, პალესტინაში - ბეთ-შანში, აფულაში, იერიხონში, მეგიდოში, გეზერში და აი-ს ტაძარში. ცალკეული ფრაგმენტები იორდანიაშიცაა აღმოჩენილი. ყველგან, სადაც მათი კვალი აშკარაა, ნამოსახლარები გადამწვარია [Schaeffer 1961: 231]. თუმცა, ეს ეპიზოდური მომენტია, რადგან მთლიანობაში პალესტინის EB II-III პერიოდებს ახასიათებს ეკონომიკის აღმავლობა და დემოგრაფიული აფეთქება, რასაც განაპირობებდა ამ ტერიტორიაზე გამავალი მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომლებიც სირიას ეგვიპტესთან აკავშირებდა. ხირბეთ-კერაქის კერამიკის შემცველი ძეგლები სწორედ ამ გზაზე მდებარეობდნენ [Esse 1991: 103-104]. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ჩრდილოეთიდან მოსული მტკვარ-არაქსელები აკონტროლებდნენ სავაჭრო-სატრანზიტო გზის გარკვეულ მონაკვეთს. აღსანიშნავია, რომ ქვარ-მონაშში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღის განძის ნაწილი,

ქიმიური ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით, ა. ბენ-ტორის მიხედვით კავკასიური წარმომავლობის აღმოჩნდა [Ben-Tor 1992: 113]. შესაძლოა, კავკასიელი ტომები სამხრეთ პალესტინის (ვადი არაბა) და სინაის ნახევარკუნძულის სპილენძის საბადოებისკენ მიისწრაფვოდნენ, რომელთა დამუშავება ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ივარაუდება [IDV 1988: 204].

რ. გრინბერგის აზრით EB II პერიოდის მინურულს, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, ეკონომიკური კრიზისის გამო, მდ. იორდანეს დაბლობის ზოგიერთი ქალაქი მიტოვებული იყო, ზოგ ქალაქში კი ცხოვრება გრძელდებოდა, მაგრამ ნაკლებად ინტენსიურად. EB III პერიოდში ადრეტრანსკავკასიური (მტკვარ-არაქსის) კულტურის მატარებელი ხალხის ერთი ნაწილი მოსახლეობისაგან მიტოვებულ ადგილებში დასახლდა, მეორე ნაწილი კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად (თელ იაქუში, თელ ქიშიონი, ბეთ იერახი, ჰაზორი) ცხოვრობდა. მიგრანტებს მდ. იორდანეს დაბლობში ხანგრძლივად ცხოვრების პირობებში აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა, ტრადიციები და სოციალური ურთიერთობები. რ. გრინბერგი მიუთითებს, რომ რეგიონის ეკონომიკა დაფუძნებული იყო ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაზე, რისი მაგალითიც არის ბეთ-იერახის მარცველულის სანახები. მიგრანტების ტრადიციული საქმიანობა – ლითონის როგორც ნედლეულის, ასევე დამუშავებული პროდუქციის გაცვლა, ამ რეგიონის ეკონომიკურ სტრუქტურაში ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო [Greenberg 2007: 258].

მტკვარ-არაქსელები ჩრდილოეთ სირიაში. მტკვარ-არაქსული შავპრიალა კერამიკა ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებში ჩნდება ჩრდილოეთ სირიაში, ევფრატის შუა წელზე - მდ. ხაბურის და მდ. ბალხის ნაპირებზე. ძვ.წ. XXV-XXIV სს. შავპრიალა კერამიკა ადგილობრივ ადრესირიულ კერამიკასთან ერთად თანაარსებობს სირიულ ქალაქებში (ტელ-ხუერა, ჰალავა, მუმბაქათი, ტელ-ფარფარა და ტელ-ბრაკი).

როგორცა ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი ორ ტალღად წამოვიდა მალათიის რეგიონიდან. ერთი ნაწილი ამუქის ველზე გავიდა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისშივე და მდ. ორონტის გაყოლებით პალესტინამდე ჩავიდა, ხოლო მეორე - მოგვიანებით მდ. ევფრატის გაყოლებით ცენტრალურ სირიამდე მივიდა. ამ გზას არანაირი გეოგრაფიული ბარიერი არ ეღობება. ეს არის აღმოსავლეთ ანატოლიის ლითონის საბადოებიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ყველაზე ადვილი და მნიშვნელოვანი გზა. ის სირიის დაბლობებისკენ, თანამედროვე ქალაქ მარდინთან ჩადიოდა. გვიანდელ ხანაში ამ გზას სპარსეთის სამეფო გზა ეწოდებოდა [Kelly-Buccellati 1990: 118-120]. ქალაქ მარდინთან მდებარეობს ნამოსახლარი ტელ-მოცანი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ცნობილი იყო, როგორც ხურიტული ქალაქი ურქიში [Fortin 1999: 170]. აქ აღმოჩენილი ლითონის ნაწარმი დიდ მსგავსებას იჩენს მტკვარ-არაქსის კულტურის ლითონთან [Kelly-Buccellati 1990: 121, ტაბ. 28ბ]. ადრეტრანსკავკასიური შავპრიალა კერამიკა ჩნდება აქადური პერიოდის (ძვ.წ. XXIV-XXIII სს) ტელ-ბრაკში (ებლას და მარის არქივების მიხედვით ქ. ნალარი) [Bunatz et al. 1999: 77; Oates 1987: 64].

მტკვარ-არქის კულტურას ანატოლიაში ახასიათებს ერთგვაროვანი სოფლები და მცირე ქალაქები. სირიაში კი ძვ.წ. III ათასწლეულის ქალაქური კულტურის არეალში ახალმოსული ხალხის არც ერთი ნამოსახლარი არ მოხვდა [Kelly-Buccellati 1990: 120].

როგორც ჩანს, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან კავკასიიდან მოსულმა მელითონეებმა დაკარგეს თავისი ფუნქცია, რადგან მანამდე მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული დარიშხანიანი ბრინჯაოს ნაცვლად მესოპოტამიასა და ანატოლიაში უფრო მსუბუქი, კალიანი ბრინჯაო ჩნდება. თუმცა, ებლაში უკვე ძვ.წ. XXIV საუკუნიდან ჩნდება კალიანი ბრინჯაოს დამზადების ახალი ტექნოლოგია. ეს შენადნობი გაცილებით უფრო პროგრესული და მომგებიანია, ვიდრე ძველი წესით დამზადებული ლითონი, რადგან იგი უფრო სუფთა და მსუბუქონიანი შენადნობია, ვიდრე დარიშხანიანი ბრინჯაო. თუ ებლაში აღმოჩენილი კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული მახვილი 159 გრამს იწონის, მალათიაში აღმოჩენილი დარიშხანიანი ბრინჯაოს მსგავსი იარაღის წონა 500 გრამამდე აღწევს [Archi 1993: 617-618]. შესაბამისად მსუბუქი იარაღის წარმოება უფრო რენტაბელური ხდება.

ებლას სასახლის არქივებში ხუთასზე მეტი პროფესიონალი მჭედელია მოხსენიებული [Archi 1993: 616]. როგორც ჩანს, მონოპოლია ახალი ტექნოლოგიით წარმოებულ ბრინჯაოზე ხელთ იგდეს ებლას მეფეებმა.

შესაძლოა, მესოპოტამიაში და სირიაში დარიშხანიანი ბრინჯაოს ჩამოტანა ამის გამო შეწყდა. ძვ.წ. XXIII საუკუნის დასაწყისისათვის ხირბეთ-კერაქის კერამიკა ქრება. როგორც ჩანს, „კავკასიელები“ ასიმილირდნენ ადგილობრივ დასავლეთსემიტურ მოსახლეობასთან და შეიძინეს ახალი ნიშან-თვისებები.

ის მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სწორედ მაშინ, როდესაც მესოპოტამიური, ანატოლიური და მტკვარ-არაქსის კულტურების მატარებელი ჯგუფები მალათიის რეგიონში შეხვდნენ ერთმანეთს, კულტურულად განსხვავებული ხალხების რთული ურთიერთობებს ამსახველია. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მაჩვენებელია არსლანთეფეს მდიდრული სამარხი; ასევე, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის გავრცელება ქებანის რეგიონის ძეგლებზე (ნორშუნთეფე, თაშქუნ მეექვსე და დეგირმენტეფე) და ტრანსკავკასიური წარმოშობის სარლასტური სტრუქტურების გაჩენა (არსლანთეფე).

პალესტინისაგან განსხვავებით, მტკვარ-არაქსული კერამიკა იშვიათად გვხვდება ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში. შესაძლოა ამ რეგიონში მის გავრცელებას ხელს უშლიდა ჩრდილოეთ სირიაში ისეთი ქალაქური ტიპის დასახლებების აყვავება, როგორც იყო ტელ-მოზანი/ურქემი, ტელ-ბრაკი/ნაგარი, ტელ-ბეიდარი/ნაზადა და სხვა. ამ ქალაქების ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მათ სამხრეთით მიმავალი სავაჭრო გზების გაკონტროლების საშუალებას აძლევდა [Kelly-Buccellati 1990: 124].

მტკვარ-არაქსის კერამიკა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში, იშვიათად გვხვდება ტარსუსის მთებში, ტელ-ხუერასა და ტელ-მოცანში, აგრეთვე იშვიათია ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში (ტელ-ფარფარა). კელი-ბუჩელატის აზრით ამ კერამიკის

იშვიათობა ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში და მათი დიდი სიმრავლე სირიის სიღრმესა და პალესტინაში მოწმობს იმას, რომ არსებობდა რაღაც ძალა, რომელიც კავკასიური ლითონით ვაჭრობის აღმოსავლეთ ანატოლიიდან სამხრეთით განვრცობას უშლიდა ხელს. შესაძლოა ამ კულტურის გავრცელებას ხელი შეუშლეს ქალაქური ტიპის დასახლებებმა (ტელ-მოზანი, ტელ-ბრაკი, ტელ-ლეილანი), რომლებმაც ჩაკეტეს სამხრეთით მიმავალი ტრადიციული სავაჭრო გზები. ეს ქალაქები აკონტროლებდნენ ლითონით და სხვა ნივთებით ვაჭრობას სამხრეთისაკენ - აყვავებული, მაგრამ ნედლეულით ღარიბი შუმერული ქალაქებისკენ. ჩრდილოეთ სირიის ამ მონაკვეთში კონცენტრირებული ქალაქების აყვავება დაკავშირებული იყო გეოგრაფიულ და ეკონომიკურ პირობებზე. ეკონომიკურ ბაზას განვითარებული სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა წარმოადგენდა, რომელიც განპირობებული იყო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით [Kelli-Buccellaty 1990: 124].

სავარაუდოა, რომ სამხრეთ კავკასიიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებს ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოდან ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე მტკვარ-არაქსელები აკონტროლებდნენ. ძვ.წ. III ათასწლეულის მინურულიდან კი ჩრდილოეთ სირიაში, ევფრატზე წარმოქმნილმა ქალაქებმა გადაკეტეს ჩრდილოეთიდან მესოპოტამიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები.

მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ.წ. III ათასწლეულში სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანში ვრცელდება. ამ კულტურის ნამოსახლარები ურმიის ტბის, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებსა და ყაზვინის პლატოზეა აღმოჩენილი [Rothman 2005: ნახ. 2].

მტკვარ-არაქსელები ლითონის საბადოების მოძიებისა და დამუშავების მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილსაც ითვისებენ. ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ცენტრალურ კავკასიაში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში და ალბათ დაღესტანშიც მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტი ვრცელდება [Japaridze 2006: 290].

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურას შუა ბრინჯაოს ხანის კულტურები ენაცვლება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თრიალეთის კულტურას, რომლის გავრცელების არეალი მტკვარ-არაქსის კულტურასთან შედარებით მცირეა და სამხრეთით არც სირია-პალესტინამდე აღწევს, არც ურმიისტბისპირეთს მოიცავს, თუმცა სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების საზღვრებს ემთხვევა. მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურების ძეგლების კონცენტრაცია ლითონის (ძირითადად სპილენძის) საბადოებთან [Twaltschrelidze 2001: 78-89; Palmieri, Sertok, Chernykh 1993: 573-599], ან მათი განლაგება სატრანზიტო გზებზე, სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე [Dscharidze 2001: 92-119; Inanischwili 2001: 142-149; Maisuradze, Gobedschischwili 2001: 130-135; Tschartolani 2001: 120-129] მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბება და აყვავება ლითონის წარმოებასთან არის დაკავშირებული [Japaridze 1991: 182], განსაკუთრებით

კი კალიანი, და არა დარიშხანიანი ბრინჯაოს იარაღის წარმოებით, როგორც ეს მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში ხდებოდა [Japaridze 1991: 184].

სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში გავრცელებული თრიალეთის კულტურის დანიშნულება წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთან არის დაკავშირებული [Japaridze 1991: 166, 187]. შუა ბრინჯაოს ხანაში ისევე არსებობდა ის სავაჭრო გზა [Kushnareva 1974: 33-34], რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიას (მტკვარ-არაქსის კულტურა) სირია-პალესტინასთან (კერბეთ-კერაქის კულტურა) აკავშირებდა [Dschaparidze 2001: 92-119]. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ელიაზიგ-მალათიის რეგიონის აყვავება შუმერის, შემდგომში კი ასირიელი ვაჭრების მოქმედებასთან არის დაკავშირებული და მათი დაინტერესება ანატოლიით იქ ლითონის არსებობით იხსნება [Burney 1980: 161; Mellaart 1985: 23-24].

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური კულტურების აყვავების ეკონომიკურ საფუძველს, როგორც ჩანს, კავკასიის სპილენძის, სურმის და დარიშხანის საბადოების ინტენსიური ექსპლოატაცია წარმოადგენდა. სწორედ მეტალურგიამ გაიყვანა კავკასია საერთაშორისო არენაზე. ეს დასტურდება ისეთი არქეოლოგიური მასალით, როგორიცაა საბრძოლო იარაღი. ბედენურ-ალაზნის და თრიალეთური ტიპის იარაღი ვრცელდება სირიაში და პალესტინაში, ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში, ასევე მესოპოტამიაში და ირანის მთიანეთში. სავაჭრო ურთიერთობებს სტიმულს აძლევდა ქანების სავაჭრო ფაქტორია, რომელიც კავკასიის სამხრეთ საზღვრებთან იყო განთავსებული [Kushnareva, Risin 2001: 105]. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ თრიალეთის კულტურის ხანაში საზოგადოებრივი „ცხოვრება შედარებით მშვიდობიანი ხასიათისა უნდა ყოფილიყო“ [Kuftin 1948: 45; Japaridze, Kikvidze, Avalishvili, Tsereteli 1981: 164].

თრიალეთის კულტურის დაცემა ანატოლიაში მიმდინარე პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძვ.წ. XIX-XVIII სს. ასირიული ვაჭრობის ფინალური ფაზა იყო [Burney 1980: 164]. ხეთური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ლითონით ვაჭრობა ხეთების ხელში გადავიდა, მოიშალა ტრადიციული სავაჭრო კავშირები, რამაც სამთამადნო საქმეში და მეტალურგიაში სპეციალიზირებული სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებას გასაღების ბაზარი დროებით დაუკარგა.

ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში აშურელების ძირითადი სავაჭრო ექსპედიციების ჩვენთვის ცნობილი გზები სირიაში, ასევე აღმოსავლეთ მცირე აზიაში, სპილენძის, ვერცხლისა და ტყვიის საბადოებით მდიდარი რაიონებისაკენ მიდიოდა. აქედან, შუამავლების მეშვეობით, აშურელების კავშირები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენაც ვრცელდებოდა. ბაზრებთან დაკავშირებული ხელოსნები ლითონის გასუფთავებას ახდენდნენ და ზოდებს ამზადებდნენ, ე.ი. ლითონი იმ კონდიციამდე მიჰყავდათ, რომელიც მიღებული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში. მცირე აზიის და ჩრდილოეთ სირიის ვაჭრობაში დაფუძნების შემდეგ აშურელმა ვაჭრებმა შექმნეს სავაჭრო კოლონიების მთელი სისტემა, ცენტრით ქანეში [IDV 1988: 30].

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მესოპოტამიურ წყაროებში აღწერილია შორეულ და ეგზოტიკურ ქვეყნებთან ვაჭრობა და საბრძოლო მოქმედებები. ტექსტებში თითოეული რეგიონი მოხსენიებულია იმ სპეციფიკურ ნედლეულთან კავშირში, რითიც იყო მდიდარი. მაგ. აღწერილია, რომ მაგანი (იდენტიფიცირებულია თანამედროვე ომანის ნახევარკუნძულთან), მელუჰა (ინდის დაბლობი) და არატა (თანამედროვე ირანის სამხრეთ-დასავლეთი) მდიდარი იყო ძვირფასი ქვებით და ლითონით.

ცნობილია, რომ ურუქის მეფე ენმერქარი, მოგვიანებით კი სარგონ აქადელი, დასავლეთისკენ და აღმოსავლეთისკენ სავაჭრო გზების გააქტიურებით იყვნენ დაინტერესებული. სარგონმა, მაგალითად, თავისი ვაჭრების დასაცავად მოაწყო საომარი კამპანია მცირე აზიაში, პურუშხანდაში (იდენტიფიცირებულია აჩემჰუიუქთან, ცენტრალურ ანატოლიაში). მერი ჰელმსი აღნიშნავდა მოგზაური ვაჭრების მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში, აგრეთვე ომში მოპოვებული სიმდიდრის იდეურ მნიშვნელობას. მ. ფონ დე მიეროპის მიხედვით, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა პერიოდის მესოპოტამიური ელიტა მოპოვებული სტატუსის აღსანიშნავად თავიანთ სიმდიდრეს წარმოაჩენდა თავის სახლებსა და სამარხებში, ასევე სავარაუდოდ, ტაძრებში ღვთაებებისადმი შეწირულობების სახით. მმართველ ელიტას სტატუსის შენარჩუნება შორეულ ქვეყნებში საბრძოლო და სავაჭრო ექსპედიციების მოსაწყობად სტიმულს აძლევდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა გაცვლითი საჩუქრები მეზობელი ქვეყნების მეფეებისთვის. შორეულ ქვეყნებში მოვაჭრეების მეშვეობით მოპოვებული ძალაუფლების სიმბოლოებით ელიტა იმყარებდა და იმაღლებდა სტატუსს საკუთარ მოსახლეობის თვალში. განსაკუთრებული მასალისაგან დამზადებული ნივთები რელიგიურობას და მაგიურ ასოციაციებს ინვევდა, რადგან ისინი მოიპოვებოდნენ შორეული ქვეყნებიდან საზღვაო და სახმელეთო გზებით, რომლებიც საკმაოდ სახიფათო იყო. ამის შედეგი იყო შორეულ ცივილიზაციებს შორის ინტერკულტურული გაცვლა [Aruz 2003: 239].

ხელოვნების იმ ნიმუშების ფორმალურ-სტილისტური, იკონოგრაფიული და ისტორიული ანალიზი, რომლებიც დამახასიათებელია ელიტური საგნების ცალკეული ჯგუფებისათვის, განსაკუთრებით ეს ეხება ეგზოტიკური მასალისაგან დამზადებულ ნივთებს, ასახავს კულტურულ გაცვლას სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის [Aruz 2003: 240]. მაგალითად, ებლას სამეფო სასახლის მდიდარ მონაპოვარს შორის აღსანიშნავია ეგვიპტური წარმომავლობის დიორიტის და ალბასტრის ვაზები, რომლებზეც ამოკვეთილია IV და VI დინასტიების ფარაონების სახელები; ურთიერთობა ხორციელდებოდა სავაჭრო გზით ლევანტის სანაპირო ქალაქების გავლით. ინდის დაბლობის ქალაქებში კი აღმოჩენილია იმპორტი ცენტრალური აზიიდან [Aruz 2003: 241].

არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული იშვიათი მასალა და განსხვავებული არტეფაქტები ინტერკულტურული გაცვლის არსებობაზე და ფართო გეოგრაფიული სივრცის ათვისებაზე მიუთითებს. ეს ეხება არა მარტო ოქროს, ან ვერცხლის სამკაულს და ძვირფას ქვებს, არამედ ქლორიტის და ალბასტრის ჭურჭელს, ქვის ქანდაკებებს, კოსმეტიკურ ინსტრუმენტებს, ნიჟარებს,

სადაფს, სპილოს ძვალს, ხეს, სამაგიდო თამაშების ფიგურებს, აგრეთვე ისეთ საყოფაცხოვრებო ნივთებს, როგორცაა სანონი, ან ცოცხალი ცხოველები, მაგალითად მაიმუნი [Aruz 2003: 241].

ზოგიერთ მასალას რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ის გამოიყენებოდა სატაძრო რიტუალებში, ტაძრების საკურთხეველის დეკორში, ღვთაებების გამოსახულებებში და ქანდაკებების შესამკობად. ელიტურ სამარხებში მიცვალებული მდიდრული საიუველირო ნაწარმით იყო შემკული, რადგან შესაძლოა, როგორც ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში, მისი სხეული ღვთაებისადმი მსხვერპლის აღმნიშვნელი იყო. შორეული აღმოსავლეთის მთებიდან ჩამოქონდათ ლაზურიტი, რის გამოც მას საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ლაზურიტი ქალღმერთ ინანას ქვა იყო და ინერებოდა როგორც “ბრწყინვალე ნათება”. ის იყო ერთ-ერთი იმ პრესტიჟულ ქვათაგან, რომელიც ადრეული ეპოქის მესოპოტამიაში გამოიყენებოდა ღვთაებებისათვის შესანიშნავად. უძველესი საბადო, საიდანაც მოქონდათ ლაზურიტი ძველ აღმოსავლეთში იყო სარ-ი სანგ-ის საბადო ბადახშანის მთებში, თანამედროვე ჩრდილო ავღანეთში.

აქედან მომდინარე ლაზურიტი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ.წ. III ათასწლეულის დასავლეთ ცენტრალურ აზიაში, ირანში, მესოპოტამიაში, სირიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. საინტერესოა, რომ ეს ქვა ჰარაპულ სამყაროში ამ ცივილიზაციის აყვავების ეპოქაში არ იყო პოპულარული. მესოპოტამიაში კი ფირუზია საკმაოდ იშვიათი (მაგალითად ის არაა დადასტურებული ურის სამეფო სამარხებში). თუმცა, ის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ირანსა და ცენტრალურ აზიაში [Aruz 2003: 242-243].

ირანთან გარკვეულ კავშირებზე შესაძლოა მიუთითებს ლაზურიტის აღმოჩენის ფაქტები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში [Gogadze 1972: 135; Simonyan 2004: 126]. სერდოლიკი, გიშერი, ქარვა და ფირუზია ჩასმული თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩენილ ნახევრადძვირფასი ფერადი ქვებით ინკრუსტირებულ ოქროს თასში (ტაბ. XLI₆). ამ თასის შესამკობად ლაზურიტიც გამოიყენებიათ [Apakidze 2003: 23-25]. ლაზურიტი და სერდოლიკი მესოპოტამიაში საკმაოდ პოპულარული იყო. ეს ქვები ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ჰარაპას ქალაქებში. უძველესი წყაროების მიხედვით, სერდოლიკი მოქონდათ მესოპოტამიურ წყაროებში მოხსენიებული მითოსური ქვეყნიდან – მელუჰადან [Aruz 2003: 243].

სამხრეთ კავკასიაში, თრიალეთის კულტურის საიუველირო ნაწარმში აქატიც გამოიყენება. აქატიტ შემკული უნიკალური ყელსაბამები თრიალეთის VIII და ყარაშამბის მდიდრულ ყორღანებშია აღმოჩენილი. თრიალეთის კულონი (ტაბ. XLIV₂) ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიახლოებულა ქურუმი ქალის აბაბაშტის ურუქ-ვარკაში აღმოჩენილ ყელსაბამს [Kuftin 1941: 94, XCIV, XCV].

ოქროს და ვერცხლის სამკაული, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა ახლო აღმოსავლეთში, ხშირად შორს, დასავლეთითაც ვრცელდებოდა. მაგალითად, მძივები, რომლებიც წარმოადგენენ მილაკით შეერთებულ დისკებს, აღმოჩენილია ანატოლიაში, ესკიაპარში და ტროაში, ეგეოსურ სამყაროში კუნძულ აიგინაზე გვხვდება. ამ ტიპის მძივი მრავლადაა ნაპოვნი ინდის ცივილიზაცი-

ის ქალაქებში, მათ შორის ლოტკალის პორტში, აგრეთვე თურქმენეთში, ალტინ თეფეზე, ირანში – თეფე ჰისარში, ურის სამეფო სამარხებში. ისინი ასევე ნაპოვნია სამხრეთ კავკასიაში, ლორი-ბერდსა (ტაბ. XLIV₆) და ლჭაშენში (ტაბ. XLIV₇). კავკასიაში აღმოჩენილი ოქროს ნახევარმთვარისებრი საყურეების მსგავსი სამკაული მთელ ძველ სამყაროში – მესოპოტამიაში, სირიასა და ირანში, ტროასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული.

ძვ.წ. III ათასწლეულის ძველ აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული ოქროსგან, ან ვერცხლისგან დამზადებული ოთხსპირალიანი მძივები (ურის სამეფო სამარხები, ლარსა). მსგავსი მძივი აღმოჩენილია ლჭაშენში (ტაბ. XLIV₇) დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული მსგავსი დიდი ზომის საგანი ცნობილია არსლანთეფეს ე.წ. “სამეფო” სამარხიდან. R. Maqsvel-Hislop-ი ამ სიმბოლოს ხსნის, როგორც წყლის ნაკადის ნიშანი და უკავშირებს ქალღმერთ ნანშეს, წყლის ღვთაება ენქის ქალიშვილს. მსგავსი ფორმის მძივი აღმოჩნდა ტელ-ბრაკში, ერთ-ერთ განძში, აგრეთვე აშურში, ძვ.წ. XX საუკუნით დათარიღებულ სამარხში, რომელშიც დაკრძალული მიცვალებული, სავარაუდოდ ჩაბმული იყო სავაჭრო ქსელში, რომლის პრიორიტეტი ანატოლიური ლითონით ვაჭრობა იყო. თეთრად გრავირებული ოთხი სერდოლიკის მძივი აღმოჩნდა ამავე სამარხში, რაც სავარაუდოს ხდის ამ ვაჭრის კავშირურთიერთობას აღმოსავლეთთანაც, მაგალითად ინდოსტანის ნახევარკუნძულთან [Aruz 2003: 244].

ძვ.წ. III ათასწლეულში ძველ აღმოსავლეთში პოპულარული იყო თეთრი ფერის პასტით ინკრუსტირებული სერდოლიკის მძივები. ერთი ასეთი მძივი თრიალეთის XIII ყორღანშიც [Kuftin 1941: 437, ტაბ. CI] აღმოჩნდა (XIV ყორღანში – ჟორჟიკაშვილისა და გოგაძის მიხედვით - Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 84). ასეთი მძივების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა თეთრი ფერის თვალისებური სპირალებით შემკული სერდოლიკის მძივები, რომლებიც გავრცელებული იყო ინდოსტანში, ბაჰრეინსა და მესოპოტამიაში [Aruz 2003: სურ. 74]. ამ სახეობის შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ძვ.წ. II ათასწლეულში მითანის სამეფოსა და შემდგომ ასურეთში გავრცელებული „თვალეზიანი“ მძივები, რომელთა ადგილობრივ მინაბადს, სავარაუდოდ, წარმოადგენდა ძვ.წ. I ათასწლეულში სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი თრიალეთში გავრცელებული ე.წ. „დომინოსებური“ მძივები.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ძირითადი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში, როგორც ჩანს, გადიოდა მაღალთაზე, რაც კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურების განვითარებას და მათ სამხრეთით გავრცელებას უწყობდა ხელს. ამავე ეპოქაში ფუნქციონირებს ურმიისა და ვანის ტბებისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა.

ძვ.წ. XVIII საუკუნისათვის მაღალთაზე გამავალი სავაჭრო გზა, ისევე როგორც ანატოლიაში არსებული ასირიელთა სავაჭრო კოლონიები განადგურდა. იგივე ეპოქაში (ძვ.წ. 1760 წ.) ნადგურდება უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი ევფრატზე – მარი [Margueron 1999: 12]. იგი წარმოადგენდა ქალაქს, რომელზეც გადიოდა სავაჭრო გზა „ამომავალი მზიდან ე.ი. არაბეთის სრუტიდან

ჩამავალ მზემდე ე.ი. ხმელთაშუა ზღვამდე“ [Bahnessi 1987: 17]. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში და შუახანებში მარიში ხე-ტყე და სპილენძი ჩამოჭკონდათ ანატოლიიდან, ხოლო ავღანეთიდან - დიდი რაოდენობით ლაზურიტი [Fortin 1999: 94, 157]. შესაძლოა მარისტან ურთიერთობის შედეგად სამხრეთ კავკასიაში მოხვდა ლაზურიტის და თვალისანი მძივები [Simonyan 2004: 126].

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში მომხდარმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გავლენა იქონია სავაჭრო-გაცვლით ურთიერთობებზე. შამში-ადად I-ის (ძვ.წ. 1813 – 1781 წწ) მოქმედებებმა დაარღვია მთელი აღმოსავლეთის საქარავნო გზების სტრუქტურა [IDV 1988: 30]. ამავდროულად იქმნება ხეთების ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს აკონტროლებდა მცირე აზიაში [IDV 1988: 128]. შეცვლილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მალათიაზე გამავალ გზას მნიშველობა დაუკარგა. ანატოლიის სავაჭრო კოლონიების დაცემამ და ძველი სავაჭრო გზების მოშლამ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების დაცემაც გამოიწვია.

ძვ.წ. XVI საუკუნის მიწურულიდან სამხრეთ კავკასიაში ახალი კულტურის აყვავების ხანა იწყება. ამ დროს იწყებს გავრცელებას ერთიანი არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც ჩვენ ბარეთის კულტურას ვუწოდებთ [Narimanishvili 2006; Narimanishvili 2006]. ამ კულტურის ძეგლები პირველად თრიალეთში ბარეთის მინდორზე (ადგილი „ბაიბურთი“) აღმოჩნდა. ბ. კუფტინმა აქ მოპოვებული მასალები შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანებს შორის მოათავსა. შემდეგში ბარეთის მინდორზე გათხრილ სამარხებში მოპოვებული კერამიკა სამხრეთ კავკასიის არაერთ ადგილზე აღმოჩნდა და მას პირობითად „ბაიბურთულ კერამიკას“ უწოდებდნენ. მოგვიანებით ბ. კუფტინის მიერ ბარეთში გათხრილი სამარხები კ. ფიცხელაურმა „გარდამავალი ხანის“ ძეგლებს შორის მოაქცია. ამ ტიპის ძეგლების აღსანიშნავად ზოგჯერ ხმარობენ ტერმინებს – გარდამავალი ხანის ძეგლები, ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა, ლჭაშენ-წითელგორული კულტურა, ბაიბურთული ტიპის ძეგლები. ჩვენ ტერმინი „ბარეთის კულტურა“ უფრო მისაღებად მიგვაჩნია.

ბარეთის კულტურის საზღვრები თრიალეთის კულტურის არეალს ემთხვევა. ის სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული და ძირითადად ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებს მოიცავს.

სამხრეთ კავკასიის ის რეგიონი, სადაც ბარეთის კულტურაა გავრცელებული, შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპთან შედარებით უფრო კონსოლიდირებულია, შეინიშნება კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობა.

გვიანი ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში კულტურის ახალი ელემენტების გაჩენა თან სდევს ხური-მითანის სახელმწიფოს აყვავებას. ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში მითანის სამეფო ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ეგვიპტის ფარაონები და ხეთების მეფეები.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, სამხრეთ კავკასიის სავაჭრო კავშირები ძირითადად ვანისა და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზებით ხორციელდებოდა. მცირე აზიაში და მესოპო-

ტამიაში მსხვილი სახელმწიფოების წარმოქმნამ საერთაშორისო ვაჭრობის ძველი ფორმებით აღდგენა შეუძლებელი გახადა [IDV 1988: 128]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა მესოპოტამიისაკენ ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ან ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან გადიოდა, შემდეგ მდ. მცირე ზაბს მიუყვებოდა და არბელას გავლით ზემო მესოპოტამიაში ჩადიოდა. როგორც ჩანს, ამ გზით სარგებლობდნენ ვაჭრები სამხრეთკავკასიური ლითონების გატანისას. ქარავანთა ძირითად ტვირთს ასევე ქსოვილები და მარილი წარმოადგენდა.

შემდგომში, მდ. ხაბურის აუზში წარმოქმნილმა მითანის სამეფომ აშური დასავლეთის კომუნიკაციებს ჩამოაშორა, ასევე შეწყდა მისი კავშირი აღმოსავლეთთან, როდესაც მდ. ადემის აუზში ჩამოყალიბდა არაპხას ხურიტული სამეფო, რომელიც მდ. მცირე ზაბზე (ტელ-მახუტის რ-ნი) არსებულ მნიშვნელოვან გადასასვლელს ფლობდა. ირანის პლატოსკენ მიმავალ მეორე გასასვლელს, რომელიც დიალას ველზე გადიოდა, აშურთან მტრულად განწყობილი კასიტების სამეფო აკონტროლებდა.

ხურიტები ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან სახლობდნენ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ზაგროსის მთიანეთში უკვე არსებობდა ხურიტული სახელმწიფოები (კარახარი, მოგვიანებით შუშარა, არაპხა და ა.შ.). შესაძლოა ძვ.წ. III ათასწლეულში სწორედ ხურიტები იკავებენ ევფრატის ზემო წელს. ნამოსახლარი ტელ-მოცანი, აქ აღმოჩენილი არქივის მასალების მიხედვით, გაიგივებული იყო ქალაქ ურქიშთან, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ხურიტული ქალაქი იყო [Fortin 1999: 170]. ხურიტულენოვანი წარმომადგენლობა არსებობდა ქანეშის სავაჭრო ცენტრში და მასთან დაკავშირებულ სხვა ქალაქებში (განსაკუთრებით ურშუში). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ტავროსისა და ზაგროსის მთიანეთის მოსახლეობა ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ოლქებთან ვაჭრობას უფრო ადრე აწარმოებდა, ვიდრე მათთან პოლიტიკურ კონტაქტებს დამყარებდა [IDV 1988: 66-67].

ძვ.წ. XVI საუკუნეში ხურიტული მოსახლეობის გავლენა ევფრატის დასავლეთით უკვე ძლიერი იყო. ძვ.წ. XV საუკუნისათვის ხური-მითანის სამეფო უძლიერეს პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძველი ეგვიპტელები მითანის იცნობდნენ „ნაჰარინას“ სახელით [Melikishvili 1954: 19]. შესაძლოა ეს სახელი უკავშირდებოდა ტოპონიმს „ნაირი“, რომლსაც ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში ასირიელები იყენებდნენ სამხრეთ კავკასიის ერთი ნაწილის და თანამედროვე აღმოსავლეთ ანატოლიის, ჩრდილოეთ ქურთისტანის და სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიების აღსანიშნავად [IDV 1988: 93]. სემიტურ ენებში „ნახარაინა“ და „ნაირი“ ჩრდილოეთით მდებარე მხარეს, ქვეყანას აღნიშნავდა [Melikishvili 1954: 19]. ასირიელები ხური-მითანის სახელმწიფოს „ხანიგალბატს“ უწოდებდნენ. მითანის სახელმწიფოს ადგილობრივი თვითდასახელება კი „მაითენე“ იყო [IDV 1988: 71].

ძვ.წ. XIV საუკუნისათვის მითანის სამეფო იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა იყო, რომ ეგვიპტის ფარაონები მასთან ბრძოლას მითანის მეფეებთან ნათე-

საური კავშირების დამყარებას ამჯობინებდნენ. მითანის სამეფო დინასტია ნათესაურ კავშირს ამყარებს ეგვიპტის XVII დინასტიის ფარაონებთან. ცნობილია, რომ ამენხოტეპ II ცოლი ართათამა I-ის ასული იყო; ამენხოტეპ III ცოლად ყავდა შუთარნა I-ის ასული, კელუ-ხეფუ [Podany 2010:186, 195-196].

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის მანძილზე მითანის ჩრდილოეთ რეგიონებიდან და არაპხადან თანამედროვე სომხეთისა და სამხრეთ საქართველომდე, შესაძლოა კავკასიის მთებამდეც, მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო [IDV 1988: 90]. ბ. პიოტროვსკის აზრით, მრავალი საერთო ნიშანი შეინიშნება ამ რეგიონებში გავრცელებულ კერამიკაში, შეიარაღებაში, მშენებლობაში და ა.შ., საერთო ნიშნები ჩანს სამხრეთ ოლქების ხურიტებსა (ტიგროსის სამხრეთი, ზემო მესოპოტამია, ჩრდილოეთ სირია) და ცენტრალური სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას შორისაც [IDV 1988: 90].

თანამედროვე ლინგვისტიკური მონაცემებით ხურიტული ენა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენების მონათესავეა. უძველესი ხურიტული ტექსტები ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდანაა ცნობილი. ძვ.წ. I ათასწლეულიდან კი ამ ენაზე შესრულებული ტექსტები აღარ გვხვდება [Khachikyan 1990: 574]. დიაკონოვის აზრით, ცალკეული ლექსიკური მსგავსება ხურიტულსა და ქართველურ ენებს შორის შესაძლოა შორეულ ნათესაურ კავშირებზე მეტყველებდეს [Dyiaconov 1980: 104].

პირველად ა. სვანიძემ მიაქცია ყურადღება ქართულ ენაში დადასტურებულ გამოთქმებს „ყირამალა“, „თავდაყირა“, „ივრი არაღე“, „არი არაღე“, „თარი არაღე“. გ. მელიქიშვილი ამ ლექსიკის ქართულ ენაში გაჩენას ურარტული ტომების გარკვეული ნაწილის ქართველურ ტომებთან ასიმილაციით და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შესვლით ხსნის [Melikishvili 1959: 117]. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხურიტულ-ქართველური ლექსიკური თანხვედრა იმ უძველეს ერთობაზე მიუთითებს, რომელიც ურარტულ ხანაზე გაცილებით ადრე, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, ან უფრო ადრეც უნდა არსებულებოდა.

ძვ.წ. XV-XIV სს. სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული მესოპოტამიური, ეგვიპტური, თუ ლევანტიური იმპორტი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ანარეკლს წარმოადგენდა. ამ დროს ცილინდრულ საბჭდავებთან ერთად კავკასიაში ვრცელდება ნინა აზიური ტიპის სატევრები და მახვილები, ამულეტები, სკარაბეები, სკარაბეოიდები, ბრინჯაოს ქანდაკებების და სირიული ღვთაებების რელიეფური გამოსახულებები, მინის მძივები და ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში გავრცელებული ოქროს სამკაული. გავრცელებას იწყებს კერამიკის დამზადების სრულიად ახალი ტექნოლოგია და ახალი ტიპები. ჩნდება ორბორბლიანი ეტლები და საზიდრები, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენები იყო შებმული.

მითანიელები თავიანთ დაპყრობით ომებში ეყრდნობოდნენ სამხედრო ელიტას, ჯარს, რომელსაც როგორც მითანში ისე სირია-პალესტინაში ეწოდებოდა მარიჯანნი-ნა. ამ სიტყვას დაუსაბუთებლად უკავშირებდნენ ძველ ინდურ მარყა-ს რაც „ახალგაზრდა კაცს“, ავესტაში კი „მამაკაცთა კავშირის ნევრს“ ნიშნავდა. შემდგომ ეს ფენა გადაიქცა თავისებურ დიდგვაროვანთა

ნოდებად – „საბრძოლო ეტლებზე მოარულებად“, თუმცა ალაღახის არქივის ტექსტებიდან ცნობილია ისეთი marijanni-na, რომლებსაც არა აქვთ საბრძოლო ეტლი [Wilhelm 1992: 47-48]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ სირია-პალესტინაში ცხენის და ეტლის შენახვა მხოლოდ მდიდარ ხალხს შეეძლო, რადგანაც ძალიან ძვირი ჯდება [Wilhelm 1992: 47].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამხრეთ კავკასიაში ეტლით, ან ხის სარეცელით (საზიდარით) მიცვალებულის დაკრძალვა, ან მიცვალებულისათვის ურმის დეტალების ჩატანება [Narimanishvili 2009: 23, სურ. 39], შესაძლოა, კავკასიის ტერიტორიაზე სწორედ ამ სოციალური ფენის არსებობაზე მიუთითებდეს. ამ ფაქტზე შეიძლება ისიც მეტყველებდეს, რომ ეტლიან სამარხებში დაკრძალულები არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები (საფარ-ხარაბას № 30 სამარხი [Narimanishvili 2010: 302], ბერიკლდეები [Mansfeld 2001: 44-52, სურ. 20], ლჭაშენი [Martirosyan 1964: 96-98]). ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ეტლიან სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები სწორედ ეს marijanni-na დიდგვაროვნები არიან და მათი მაღალი სოციალური წარმომავლობის მაჩვენებელი ეტლია (საინტერესოა, რომ სვანურად მამაკაცი, მამრი არის მაარე და სახელი marijanni-na შესაძლოა ქართულენოვანი წარმომავლობის იყოს). არ არის გამორიცხული, რომ სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი შტანდარტები, რომლებსაც ცხენშებმულ ეტლზე ამხედრებული მეომრების გამოსახულებები (ქანდაკებები) ამკობს, სწორედ ამ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში, მითანის ძლიერების ხანაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი განიცდიდა ამ სამეფოს ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას, რის შედეგად ამ ეპოქის ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე ჩნდება წინააზიური ტიპის მახვილები, მინის მძივები, ეგვიპტური სკარაბეები და „Common Style“-ის მითანიური საბეჭდავები, რომლებიც B.Salje-ს კატალოგის მოხედვით სირიულ-ლევანტიურ ჯგუფს ეკუთვნის [Salje 1990: ტაბ. V-XII].

გვიანი ბრინჯაოს ხანა ეგვიპტეს, ლევანტს, მესოპოტამიას, ანატოლიას, კვიპროსსა და ეგეოსის აუზს შორის ინტენსიური საერთაშორისო ინტერაქტივობით ხასიათდება, რაც სხვადასხვა ფორმით (ვაჭრობა, დიპლომატია, სამეფო ქორწინება, საომარი კონფლიქტები) გამოიხატა. ამ ეპოქის ინტერნაციონალური ატმოსფერო მჟღავნდება ხელოვნების ნიმუშების ისეთ თვისებებში, რომელიც გასაგები და მისაღებია სხვადასხვა რეგიონებში.

ხმელთაშუაზღვის აუზის ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეების ხელოვნებაში მეცნიერების მიერ გამოყოფილია ე.წ. ინტერნაციონალური სტილი [Feldman 2002]. უგარითის სამეფოს ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებზე დაყრდნობით, მ. ფელდმანმა გამოყო ტერმინი “ინტერნაციონალური სტილი”. უგარითი (ძვ.წ. XVI-XIII სს.) მდებარეობდა თანამედროვე სირიაში, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, იმ გზაჯვარედინზე, რომელზეც გადიოდა სახმელეთო და საზღვაო გზები ხმელთაშუა ზღვის აუზში, ანატოლიასა და მესოპოტამიაში. ეს გზები სირიას აკავშირებდა ბალკანეთთან, ირანსა და ინდოეთთან. უგარითის არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები სხვადასხვა ენაზეა დაწერილი. უგა-

რითულ ენაზე შედგენილი საბუთების გარდა ნაპოვნია აქადურ, ხურიტულ, ეგვიპტურ, ხეთურ და კვიპროსულ-მინოსურ ენაზე დანერგილი დოკუმენტები. უგარითში აღმოჩენილ ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს შორის ბევრი დამზადებულია, ან შემკულია ისეთი ეგზოტიკური მასალისაგან, როგორცაა სპილოს ძვალი, ლაზურიტი, ალუბასტრი და სხვა. მრავლადაა ოქროს და მინის სამკაული და ჭურჭელი. მასალის ნაწილი სამეფო სასახლეში იყო აღმოჩენილი, ნაწილი კი სამარხებში. უგარითული ხელოვნება ინტერნაციონალური სტილის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

საერთაშორისო ურთიერთობებმა, შორეულმა სახმელეთო და საზღვაო მოგზაურობებმა, წერილობითა კომუნიკაციამ საფუძველი ჩაუყარა ფუფუნების საგნების და ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშების გავრცელებას ხმელთაშუაზღვისპირეთში და ახლო აღმოსავლეთის შიდა რეგიონებში. “ინტერნაციონალური სტილის” ხელოვნების ნიმუშები ავლენენ ისეთ დამახასიათებელ თვისებებს, რომლებიც სცილდება კულტურულ და გეოპოლიტიკურ საზღვრებს. ეს ეხება ადვილად გადასატან ფუფუნების საგნებს, რომლებიც დამზადებულია სპილოს ძვლის, ოქროს, ალუბასტრის, ან ფაიანსისაგან და არ ექვემდებარებიან ატრიბუციას ამა თუ იმ კულტურული რეგიონისადმი, რადგან სხვადასხვა რეგიონისათვის დამახასიათებელი მოტივები ერთმანეთშია შერეული [Feldman 2002].

ინტერნაციონალური სტილის გავრცელების არეალში გარკვეულწილად სამხრეთ კავკასიაზე ხვდება. ამის დასტურს წარმოადგენს აქ აღმოჩენილი მითანური ცილინდრული საბეჭდავები, მინის და ფაიანსის მძივები, სკარაბეები და სკარაბეოიდები, ლევანტიური სტილის ქალის ქანდაკებები. არ არის გამორიცხული, რომ სამხრეთკავკასიური ცხოველსახიანი შტანდარტებიც ამ ინტერნაციონალური სტილის გამოვლინება იყოს. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ნუზის არქივებში აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავების ანაბეჭდები. კომპოზიციებში გამოსახულ ადამიანებს უჭირავთ ფრინველისა და ხარის ფიგურებით შემკული შტანდარტები, რომლებიც ეგვიპტური ე.წ. ჰოროსის შტანდარტების მსგავსია [Porada 1947: 15,43,115, ტაბ. 30,35,43].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში ინტერნაციონალური სტილის გავრცელება XIV საუკუნეში მითანის სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა.

ძვ.წ. XIV ს-ს მეორე ნახევარში ხეთების სამეფო, ეგვიპტე და ასურეთი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ მითანის წინააღმდეგ. ხეთების მეფე სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1340-1325 წწ) დაიპყრო მითანის მთელი მიწები ხმელთაშუაზღვამდე, კარხემიშის ჩათვლით [Wilhelm 1992: 69]. ხოლო ძვ.წ. XIII ს-ის შუა ხანებში ასურეთის მეფე ადადნერარი I-მა დაიპყრო მითანის დიდი ნაწილი [Wilhelm 1992: 75].

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ხური-მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ნაირის ქვეყნების გაერთიანება იკავებს, რომლის სათავეში დიაუხის სამეფო ჩანს. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისათვის, ნაირის ქვეყნების კოალიციიდან წინა პლანზე ურარტუ გამოდის, რომელიც ძვ.წ. IX საუკუნიდან უძლიერესი სახელმწიფო ხდება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში პოლიტიკური ძალების გადანაწილებას და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში ძველი საქარავნო გზების მოშლა. მანამდე (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში გადიოდა მალათიაზე. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას ანატოლიაში [Mellaart 1985: 24] და შესაძლოა კავკასიაში, აგრეთვე მათ გავრცელებას სამხრეთით. ეს სავაჭრო გზა, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები განადგურდა. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კავშირი სამხრეთ კავკასიასა და მესოპოტამიას შორის, შესაძლოა მცირე ზაზისა და არბელას გავლით ხორციელდებოდა. ამ ტერიტორიებს კი ძვ. წ. XV-XIV სს. აკონტროლებდა მითანი [Narimanishvili 2004: 105].

ძვ.წ. II ათასწლეულში სავაჭრო ქარავნების ძირითად ტვირთს წარმოადგენდა ქსოვილები. მათ შორის იყო სხვადასხვა ფერის შალის და სელის ქსოვილები. ტანისამოსი, განსაკუთრებით კი კარგი ტანისამოსი ხეთურ ანატოლიაში საკმაოდ ძვირად ფასობდა. ლამაზი ტანსაცმელი ღირდა 30 სიკლი, რაც 30 ცხვარს შეესაბამებოდა [Gurney 1987: 78-79]. სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაფიქსირებულია სხვადასხვა ფაქტურის და ფერის (მენამული, ფირუზისფერი, ყავისფერი, ნაცრისფერი და ლურჯი) სელის და შალის ქსოვილები. ზოგი ნიმუში უხეში და შეუღებავია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნითელი-მენამული ფერის ქსოვილის ნაშთი (№ 85 სამარხიდან). მენამული ფერის ქსოვილების წარმოება და გავრცელება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას წარმოადგენდა. ნითელი საღებავი კეთდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროზე არსებული მოლუსკების სახეობისაგან [IDV 1988: 74; Bernhardt 1982: 90]. ამ მოლუსკებისაგან საღებავს ფინიკიელებამდეც აკეთებდნენ, მაგრამ ფინიკიელებმა იზრუნეს მის გავრცელებაზე მეზობელ ქვეყნებში [Bernhardt 1982: 90]. სწორედ ფინიკიელებმა დაიწყეს ამ მოლუსკებისაგან (Murex) მიღებული საღებავით სელის და შალის შეღებვა მენამულისფერ-ნითლად და ლილისფერ-ლურჯად. ამის შედეგად დიდ სამეურნეო მნიშვნელობას იძენს იაფი შეუღებავი შალის შემოტანა სირიის მეცხოველეობის რაიონებიდან და შემდეგ კი მთელი წინა აზიიდან. ფინიკიიდან კი ნითლად და ლურჯად შეღებილი ქსოვილი დიდ ფასად გადიოდა. თავად საღებავი, შეღებილი ნივთებისგან განსხვავებით, ვერ უძლებდა ხანგრძლივ შენახვას, ამიტომ ექსპორტის საგანი ვერ იქნებოდა [IDV 1988: 236].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება იმპორტული ნაწარმი, თუ მათი ასლები ეგვიპტიდან და ლევანტიდან. რიტუალური ქვები ეგვიპტიდან [Narimanishvili 2009: 23, სურ. 25], ლურჯი მინის მძივები და სკარაბეები [Nikolaishvili, Narimanishvili 1995: 72; Narimanishvili 2004: 105], სხვადასხვა ამულეტები: გულის [Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 84], ბაყაყის [Pitskhelauri 2005 85-86] და ღორის [Nikolaishvili, Narimanishvili 1995: 72] გამოსახულებები. ძველ ეგვიპტესა და ლევანტში გავრცელებული

იყო ამულეტების და სკარაბეების ჩატანება სამარხებში. გულის, ბაყაყის და სკარაბეის გამოსახულება აღორძინებასთან და სასიცოცხლო ძალების განახლებასთან იყო დაკავშირებული. ეს ამულეტები იდებოდა მიცვალებულის სხეულზე, რათა მისი ძალა მისცემოდა. ისინი ხმარებაში იყო უძველესი სამეფოდან რომაულ ხანამდე [Budge 2001: 150; Budge 2003: 165, 189].

ეგვიპტეს სავაჭრო ურთიერთობა პალესტინასთან უძველესი დროიდან ჰქონდა. ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისში ეგვიპტეში პალესტინიდან შეაკვთ ლითონები, განსაკუთრებით კი სპილენძი. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ეგვიპტეს ქანაანიდან შემოჰქონდა ცხენები, ხე-ტყე, ვერცხლი, სპილენძი, ღვინო, სხვადასხვა ზეთები. ეგვიპტიდან კი ლევანტში შემოდიოდა ოქრო, სხვადასხვა სახის ტანსაცმელი, საკვები, თოკები, სელის საფენები. აგრეთვე მრავლად შემოჰქონდათ სხვადასხვა სამშენისეები, ამულეტები და წვრილმანი მაგიური, თუ საკულტო დანიშნულების ნივთები [Bard 1999: 842-844], რომელიც ქანაანიდან შესაძლოა სამხრეთ კავკასიაშიც ხვდებოდა. შესაძლოა კავკასიაში უკვე მათი ქანაანში დამზადებული ასლები ჩაჰქონდათ, თუმცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ურთიერთობა ეგვიპტესა და კავკასიას შორის XII დინასტიის ხანაზე (ძვ. წ. 1991-1786 წწ) უფრო ადრე იწყება [Hubert 1925: 29].

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ზოგიერთი მცირე ზომის ქანდაკება [Pitshelauri 1973: ტაბ. XLIV-1] გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქანაანურ ქანდაკებებთან [Frankfort 1977: 259, სურ. 299-300] და შესაძლოა მათ უხეშ ასლებს წარმოადგენენ.

სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის საგანს ალბათ წარმოადგენდა ლითონი, მატყლი, ტყავი, ხე-ტყე და ცხენები. ძვ.წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ცხენი და ცხენშებმული ეტლი ძალზე ძვირად ფასობდა. შესაბამელი ცხენი ანატოლიაში 30 სიკლი ღირდა [Gurney 1987: 78]. ცნობილია კიკული მითანელის და უგარიტის არქივებში შემონახული ტრაქტატები ცხენების მოვლის შესახებ. ეტყობა ცხენი იმდენად ეგზოტიკური ცხოველი იყო და მისი მოვლა იმდენად უჩვეულო საქმე, რომ მეფინიბეებსა და მეეტლებისათვის სპეციალური ინსტრუქციები იყო საჭირო. ჩვენამდე არ მოუღწევია შრომებს, თუ როგორ უნდა მოიხნას მინა, ანდა გამოიძერწოს ქოთანი. ასეთი ინფორმაცია შთამომავლობას გადაეცემოდა როგორც საყოფაცხოვრებო ცოდნის ელემენტი, რომელიც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ტრაქტატები ცხენის მოვლის შესახებ გამონაკლისს წარმოადგენდა [Shifman 1987: 41-42].

ძვ.წ. II ათასწლეულში სირია-პალესტინაში ცხენი დიდი იშვიათობა იყო. ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII სს. ცხენები სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდნენ და ძალზე ძვირად ფასობდნენ [Shifman 1987: 41]. ასირიული წყაროების მიხედვით, ასურეთში უძველესი დროიდან ცხენები მეზობელი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებიდან შემოჰყავდათ [Piotrovski 1959: 151]. თიგლათფილესერ I-მა ნაირის მეფეთა კავშირზე გამარჯვების შედეგად, მათ დააკისრა ვალდებულება: 1200 ცხენი და 2000 მსხვილფეხა რქოსანი. სალამანსარ III ცხენების დიდ რაოდენობას იღებდა ურმიის ტბისპირეთიდან. ურარტულ წარწერებში ხშირადაა მოთხრობილი ამიერკავკასიის

რეგიონებიდან ცხენების გამორეკვის შესახებ ვანის სამეფოს ცენტრში. ნადავლის სიაში პირველ ადგილას ცხენებია მოხსენიებული [Piotrovski 1959: 151]. მოშინაურებული ცხენი ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში სავარაუდოდ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში არსებობდა [Burney 1993: 314]. თრიალეთში ძვ.წ. XVII-XVI სს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალით დასტურდება ამ ცხოველის გამოყენება ყოფაში. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კი შეიძლება ვილაპარაკოთ განვითარებულ მეცხენეობაზე. შესაძლოა, ძვ.წ. II ათასწლეულში იგი ვაჭრობის, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის ობიექტი იყო, რასაც აადვილებდა ეთნიკურად ერთგვარი მოსახლეობის და ძვ.წ. XVI-XIV სს ხური-მითანის სამეფოს არსებობა სამხრეთ კავკასიიდან სირია-პალესტინამდე.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიისათვის ვანის და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზის მნიშვნელობა უფრო იზრდება. ძლიერდება ასურეთის ბრძოლა ჩრდილოეთით მდებარე „ნაირის ქვეყნების“ წინააღმდეგ. საყურადღებოა ტიტული, რომელიც მიიღო თუქულთი-ნინურთა I-მა (ძვ.წ. 1244-1208 წწ.) – „მეფე ძლიერი, მეფე ასირიის, მეფე ქარდუნიაშის, შუმერის და აქადის, მეფე სიპარის და ბაბილონის, მეფე თილმუნის და მელახას, ზემო და ქვემო ზღვების მეფე, მთების და ფართო სტეპების მეფე, შუბარეელების, კუთიების და ნაირის ყველა ქვეყნის მეფე“. ასურეთის მეფეები არასოდეს ყოფილან თილმუნის (ბახრეინის) და მელახას (ინდოეთი) მფლობელები. როგორც ჩანს, მეფის ტიტულში ასახულია მთელი პროგრამა, რომელიც ახალი ქვეყნების, საერთაშორისო სავაჭრო გზების და ცენტრების ხელში ჩაგდებას ითვალისწინებს. ძვ.წ. 1112 წელს თიგლათფილესერ I-მა დალაშქრა ხეთების ყოფილი სამეფო. მისი მიზანი იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის დაპყრობა, რომელიც მიუყვებოდა ზემო ევფრატის და ქოროხის დაბლობებს, რომელთა სიახლოვეს მდებარეობდა იმ ეპოქისათვის უმნიშვნელოვანესი სპილენძის, ვერცხლის და ტყვიის საბადოები [IDV 1988: 103,108].

ძვ.წ. XIII საუკუნიდან, მითანის სამეფოს დაცემისა და ასურეთის მილიტარისტული პოლიტიკის დაწყებიდან ახლო აღმოსავლეთში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობასაც შეეხო. სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ახლო აღმოსავლური არტეფაქტები, ან მათი ასლები შედარებით იშვიათად ჩნდება.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის სავაჭრო კავშირები ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან ძირითადად ვანის და ურმიის ტბებისაკენ მიმავალი გზებით ხორციელდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ზეგანისაკენაა მიმართული (ტაბ. II). კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ნაპოვნი არტეფაქტები მიუთითებენ კონტაქტებზე ირანსა და მის მიმდებარე რეგიონებთან. საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილია თვალისანი მძივები (ტაბ. L₄), ჯიხვისთავიანი საკინძი [Kuftin 1941: 77, სურ. 87-1] და ქუსლიანი ჭურჭელი (ტაბ. LVIII₁, LIX₂), რომელთა უახლოესი პარალელები ჩრდილოეთ ირანში, სამხრეთ თურქმენეთსა და ჩრდილოეთ ავღანეთში გვხვდება [Narimanishvili

2010: 303, 333]. თეთრი ან წითელი პასტით ინკრუსტირებული ბიკონუსური მძივები გავრცელებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში (თეფე ჰისარი III); სამხრეთ თურქმენეთში (მურაბის აუზი), ნამაზგა VI პერიოდში; ინდის ველზე, პოსტხარაპულ კულტურაში; ჩრდილოეთ ავღანეთში (მუნდიგაკი) და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდებიან. იგივე რეგიონშია გავრცელებული და ამავე პერიოდს მიეკუთვნება რქოსანი ცხოველის (ჯიხვი, ხარი) თავიანი საკინძები [Sarianidi 1977: 83-84, 102-104]. ქუსლიანი ვაზები და სასმისები გავრცელებულია ზაგროსის მთიანეთში, გიანის კულტურაში, სადაც ქრონოლოგიურად ძვ.წ. II ათასწლეულში ექცევა, ტერიტორიულად კი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ირანშია გავრცელებული [Stankevich 1978: 17-31]. თრიალეთისა და კასპიის ზღვის სამხრეთ რაიონებში მსგავსი მასალების აღმოჩენა ამ რეგიონების გარკვეულ კონტაქტებზეც უნდა მიუთითებდეს.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში სავაჭრო ურთიერთობები მითანის სამეფოს შუამავლობით ან მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ზეგანისაკენაა მიმართული. ამ მიმართულებით სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებამ, უფრო მოგვიანებით, „ნაირის ქვეყნების“ კოალიციიდან ერთ-ერთის – ურარტუს გაძლიერება და გამოყოფა გამოიწვია, რომლის მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები სწორედ ამ გზაზე იყო განლაგებული. სავარაუდოა, რომ სავაჭრო გზებისა და შესაბამისად სამხრეთ კავკასიის ლითონით ვაჭრობის კონტროლმა ურარტუს სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

Trade and Trade Roads between South Caucasus and Near East in 3rd – 2nd Millenniums B.C.

Trading relations between the South Caucasus and the Near East has supposedly existed since the upper paleolithic period [Kushnareva 1974: 28]. These trade relations, along with some chronological interruptions, continued as well through the neolithic and eneolithic periods. Although the foundation of regular barter relation comes from early bronze age [Mellaart 1985: 21].

Between the late 4th millennium and the early 3rd millennium B.C. new cultural elements appeared in the South Caucasus region in the Kura-Araxes cultural area. In our opinion, these could be explained by Mesopotamian cultural influence [Shanshashvili and Nari-manishvili 2009: 13-17].

In this article we are not going to discuss the problem of spreading of weapons, because this issue was studied more than once [Kuftin, 1949: 71-75; Japaridze 1969:151-167; Kushnareva and Risin 2001: 103-109].

We suggest that the appearance of mud-brick buildings (Kvatskhela, Kul-Tepe II, Shengavit) and adornment of buildings with polychrome paintings (Gudabertka) in South Caucasus could be explained by Mesopotamian cultural influence.

The tombs built by a stone plates or bricks (pl. XXV) appear in south Caucasus at the middle ages of IV millenniums B.C. (Tamarisi, Koda, Kiketi, Ardasubani, Saphar-Kharaba, Gegharot, Horom). Stone or brick tombs were very rare in Anatolia and Mesopotamia (Tepe-Gawra [Lloyd, 1984: 72], Korucutepe [Loon van and Güterbrock 1971: 17] and Arslantepe [Frangipane, 2003: 33-34]. Almost in all cases, they were distinguished by rich inventories of grave goods and accordingly represented the tombs of nobles. From our point of view, the stone tombs in south the Caucasus, as well as in Anatolia, were constructed upon the Mesopotamian models.

From the first half of the 3rd mill. B. C. some kinds of sign-symbols appeared on the ceramics of Kura-Araxes culture, which had been drawn on the dump clay before baking. In Ozni [Kuftin 1948: fig. 15] (pl. XXVI-1-3), Beshtasheni [Kuftin 1941: fig. 116] Aradeti and Kve-mo Aranisi sites as well as in the cemetery of Amiranis Gora [Chubinishvili 1963: pl. V] (pl. XXVI-4,5) ceramic pottery with pictographic signs was found. Those signs are similar to archaic scripts of the ancient civilizations: Sumerian, Proto-Elamite, Indus, and Hieroglyphic Luwian [Shanshashvili 1999: 31-36]. Evidently on the defined level of progress, Kura-Araxian society reached the stage where the need for writing appeared, but due to the unknown reasons it could not get over this phase and the sign-symbols did not transform into writing.

In the developed phase of Kura-Araxes culture painted pottery (pl. XXVII-XXVIII) appeared (Kvatskhela, Beshtasheni, Ozni, Avranlo, Kve-mo Aranisi, Shengavit). Iconography is very poor: asymmetrical triangles, wide belts, dots and swastikas [Shanshashvili 2007: 227-229]. Similar painted pottery, but with a richer set of ornaments was spread through the Upper Euphrates region sites dating from the Early Bronze Age II and III (Arslantepe, Korucutepe, Degirmentepe, Norshuntepe, Han Ibrahim Shah, Pulur, Tepecik, Ienikei, Imamo-

glu). We can suggest that the appearance of painted pottery could be connected to a certain social, economical and cultural relation within the region of Malatya.

A Few miniature architectural models were found in Kuro-Araxes sites. At this time there are only six specimens in Kvatskhela (pl. XXIX-2; XXX-5), Amiranis Gora (pl. XXX-1), Khizanaant Gora (pl. XXIX-1, XXX-2) [Kikvidze 1972: pl. XXIV-1], Ozni (pl. XXX-3) and Digasheni (pl. XXX-6). Their height fluctuates from 25 to 55 sm. The use of these subjects is not known yet. Similar model-incense-burners were found in Mesopotamia, in Eridu – Abu Shahrein of Ubeidian period, as well as in stratum XI of Tepe Gawra and in Khafajah of Jemdet Nasr period [Goff 1963: fig. 147,237, 328, 496].

The model of building was also found in Mari (2700-2500 B.C.) [Parrot 1955: tab. XV-1, 2]. A similar Kvatskhela model was found in the temple of Ai, near Jerusalem (pl. XXX-4), and like the subjects from Khizanaant Gora was found in Gerar [Gilead 1993: 470], in Gilat [Levy and Alon, 1993: 517] and in Givataim [Kaplan 1993: 521]. Models from Ai are dated from the middle ages of III millenniums B.C. and the ones from Gerar, Gilat and Givataim are conditionally from eneolithic period. In our opinion, the models of houses that dated from the Kura-Araxes period must be for cult use. Supposedly, these models were either subjects from the south or they were made to imitate the Syria-Mesopotamian models on the spot.

Clay objects with a flat base and two horn-like projections (pl. XXXI, XXXII) are characteristic to Kura-Araxes culture (Kvatskhela, Khizanaant Gora, Kulbakebi, Arich). Similar, small size objects were found in the Level XI in Tepe Gawra [Goff 1963: fig. 562], in a temple. Horn-objects were also found in Tell-Brak [Goff 1963: fig. 667-668]. Such horn-objects as amulets in the Near East region were functioning from the Halaf period [Goff 1963: 154].

Stamp seals found in Akhali Jhinvali (pl. XXXIII-4), Talin (pl. XXXIII-3), Grakliani (pl. XXXIII-1, XXXIV-1, 2) and Gudabertka (pl. XXXIV-3,4,5) are similar to near eastern specimens.

Mesopotamian influence is apparent in the clay anthropomorphic high relief (height 45 cm, width 31 cm) discovered at Natsargora settlement (pl. XXXV) and dates from the end of the Early Bronze Age (the middle of III millenniums B.C.). The upper part of high relief is decorated with seven extensions. The middle and the highest one divide the relief in two symmetrical parts. From the central extension, on both sides of the ridge, at a lower level, there are hollows. On the left part in the hollows, obsidian plates are framed. The lower obsidian “eye” is surrounded by a relief spiral. The right side of the relief is reconstructed only partly, so the reason for the existence of right “eye” can only be guessed. The high relief is stylistically like the anthropomorphic images depicted on big clay vessels discovered in Anatolia, in layers IX-X of Pular [Koşay 1976: tab. 83-58, 59; tab. 85-51, 69, 70].

We can find some similarities between the Natsargora high relief and the small-size anthropomorphic sculptures of four eyed creatures discovered in Syria in the Tell-Brak “Eye temple” [Goff 1963: fig. 657-660] as well as with the image of the anthropomorphic creature with spiral eyes depicted on the alabaster stele discovered in Mari (3rd millenniums B.C.) [Fortin 1999: fig. 295]. According to the existing data, it is very difficult to determine the function of Natsargora high relief. It is known that high relief terracotta figurines, which were placed on the wall of the house altar, existed throughout Mesopotamia from the beginning of the 3rd millennium B.C. Between them were god’s images, mythological, or cult scenes,

also images of different demons, masks which protected the house from evil spirits. We can suppose that the Natsargora high relief represents some kind of protecting god or patron demon. It seems that this high relief also was hanging on wall or set up on podium.

Very refined and luxury subjects appear on the archaeological sites of South Caucasus at the end of 4th millennium and at the beginning of 3rd millennium B.C. Among them, diadems from Kvatskhela and Gudaberka can be distinguished, parade weapons from Sachkhere, weapons and jewelry made from precious metal from Amiranis Gora, Gegharot (pl. XLIV-3), Ananauri (pl. XLIV-1), Bedeni, which are similar to the analogical models from Anatolia and Mesopotamia.

The appearance of these kinds of artifacts in South Caucasus instantly indicates that part of the population, which became rich trading with natural resources, formed the local elite. Although, in spite of that in the early Bronze Age this part of South Caucasian population had distinct political and cultural relations with the civilizations of Near East, they did not manage to reach the level of “town civilization”.

Kura-Araxes culture starts to become suppressed in South Caucasus during the middle ages of the 3rd millennium B.C. By this time a lot of novelty appears, like the “splendid kurgans” of “kings” and aristocrats, with plenty of luxury objects, jewelry (pl. XLIII, XLIV-1-3), metal vessels (pl. XLI, XLII-1,2,3), weapons made from precious metals, textiles, and ornamented clay vessels (pl. XLVI) as well as wooden utensils.

From the eastern side, stone-paved grand ritual-procession roads border upon the kurgans (pl. XXXVI, XXXVII). The length of some roads reach 600 m., with a width of 7.0 m [Narimanishvili 2004a]. Occasionally, the ritual procession traveled along this road to the kurgan and was carrying the deceased or the ash.

A lot of jewelry that was found in the kurgans dates back to the Middle Bronze Age. The greatest similarities between the South Caucasian, Mesopotamian and Syrian products were observed by scholars a long time ago [Kuftin 1941: 94-98; Jafaridze 1969: 176; Puturidze 2005: 17-19].

In some of the early kurgans of the Trialeti culture amulets were found that are probably of Egyptian origin. The foot-shaped amulet from the XIV Trialeti kurgan deserves particular interest (pl. XL-12). It is made from yellow stone with red bands and spots. This amulet finds the closest parallels with the old kingdom of Egypt and the kurgan is dated from the end of the 3rd millennium B.C. [Gogadze 1972: 44, 95]. Foot-shaped amulets were spread in this period of Old Kingdom and in the “first transitional period” i.e. in time of V-VIII dynasties (2465-2100 B.C.). In the next periods we almost do not meet them. The trialetian amulet is absolutely identical to the Egyptian one (pl. XL-13,14), which was presented to the Metropolitan Museum by Helen Miller Gould [<http://www.metmuseum.org>]. Also, it very much resembles the foot-shaped pendants (pl. XL-13), which come from the excavations of F. Petrie [<http://www.digitalegypt.ucl.ac.uk>].

On the sites from the Early and Middle Bronze Age in South Caucasus (Tsartsis Gora, Koreti, Martkopi, Treli, Verin-Naver, Lori Berd, Chachkari, Karashamb, Kudurli) we meet a large number of different kinds of jewelry made from sea shells (pl. XL-2,3). Some of them were determined. They belong to the type of *Arcularia* sp. and *Conus* sp. Existing of them

in one complex (Verin-Naver) points out that they come from Persian Gulf, or from the southern shore of Iran [Simonyan, 1984: 130]. The discovery of nacre jewelry with Cowries shells in Martkopi probably points on their origin from the Indian Ocean.

We find extensive use of shell in IV-III millenniums B.C. in Mesopotamia in both natural and highly worked forms. Pendants and beads made from various shells were discovered in the graves at Tello, Khafajah and Ur [Gensheimer 1984: 67]. T. Gensheimer supposes the occurrence of some shells in Mesopotamian sites during the Proto and Early Dynastic periods coincides with the expansion of trade networks in the Persian Gulf and these shells were without a doubt an important trade commodity. By the 3rd millennium B.C. important trade networks had been developed in the lower Indus Valley whereby whole shells were being distributed to distant inland sites [Gensheimer 1984: 70].

The vessels made from valuable metals in the kurgans of Trialeti have close parallels with Mesopotamian and Iranian materials of the 2nd millennium B.C. Small silver cups from kurgan XV of Trialeti (pl. XLI-2) have close parallels to the metallic vessels excavated in Mesopotamia, Iran and Indostan (Assur, Tell ad-Der, Tello, Tepe Giyan, Mehrgarh, Chankhu-Daro) [Müller-Karpe 1995: fig. 7-1, 6, 10, 18, 22, 23]. A small silver mug with handle found in kurgan XVI (pl. XLI-1) of Trialeti is similar to the small bronze vessels discovered in Qale Nisar and Tepe Guran [Müller-Karpe 1995: fig. 9-7, 10-7]. Golden goblets from Kirovakan (pl. XLII-2) and VII kurgan of Trialeti (pl. XLII-3) also closely parallels with materials discovered in Tell Suleima [Müller-Karpe 1995: fig. 9-7,9].

Domestic subjects are expressed on the silver goblets from Trialeti (pl. XLI-3) and Karashamb (pl. XLI-4): tables, stools, vessels, are analogous to the works of art used in cult practice in Syria-Mesopotamia at the boundary of 3rd – 2nd millenniums B.C. [Narimanishvili 2007].

It has not one marked resemblance to the large sized painted potteries found in the Trialeti kurgans (pl. XLVI, 7-11) and Iranian ceramics [Kuftin 1941: 86; Çiringiroğlu 1984: 139].

Discovery of lapis lazuli on the cemeteries of South Caucasus dated from the Middle Bronze Age points towards close contacts with Iran [Gogadze 1972: 135; Simonyan 2004: 126].

